

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

ISSN 1987-7684

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა  
ფაკულტეტი


საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტი

## სოციალურ მეცნიერებათა საკითხები

# XI

### შრომების კრებული

კრებულის ელექტრონული ვერსია განთავსებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ ბიბლიოთეკა ივერიელში და დაშვებულია ფართო კონტრიბუციისთვის.  
იხ. ბმულზე: <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/140737>



გამომცემლობა „უნივერსალი“  
თბილისი 2017

YDC (უაკ) 316 (051)  
ს 743

**„სოციალურ მეცნიერებათა საკითხები“  
გამოდის 2009 წლიდან**

**საჩემდაძვირო კოლეგიის თაგმჯჯლომარმ,  
ტმდაძტოტი:**

*ირაკლი მანველიძე*

**საჩემდაძვირო კოლეგია:**

*გუსეინ ნიზამი ოლლი ნაჯაფოვი (ბაქო), გენადი  
იაშვილი (თბილისი), შოთა დოლონაძე (თბილისი),  
ლადო მკერვალიშვილი (თბილისი), რობიზონ  
ხურცილავა (ქუთაისი) ინეზა ზოიძე, ნატალია ლაზბა,  
ზაზა ბურკაძე, ირაკლი გორგილაძე, დალი  
დობორჯგინიძე, ლაშა ბაჟუნაიშვილი, გიგა  
ფარტენაძე, ირინე ცინცაძე (პასუხისმგებელი  
მდივანი).*

**რმცმნზმნტმპი:**

*მარინა იტრიაშვილი  
თემურ ჯაგოდნიშვილი  
ბესო შერაზადიშვილი*

**ISSN 1987-7684**

© საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტი

სტატიაში მოდემულ ფაქტებზე, მოსაზრებებსა და დასკვნებზე პასუხისმგებელია ავტორი

**მისამართი:**

საქართველო, ბათუმი, ნინოშვილის 35, უნივერსიტეტის II კორპუსი,  
საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტი №505.

**E-mail** [manvelidze.irakli@gmail.com](mailto:manvelidze.irakli@gmail.com)

**Tel:** 0422 29 33 46 +995577141099

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2017

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 222 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge

# Batumi Shota Rustaveli State University

Faculty of social and Political sciences

The Department of Social and Political Sciences

## Problems of Social Sciences XI

PROCEEDINGS

The digital version of the collection is placed in the “ Ivereli”, the National Library of parliament of Georgia and is allowed for huge contribution. See the link:  
<http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/140737>



Publishing House „Universali“  
TBILISI-2017

# Problems of Social Sciences

**Issued since 2009**

**Chairman of the Editorial Board, Editor:**

*Irakli Manvelidze*

**Editorial Board:**

*Huseyn N. Najafov, Lado Mkervalishvili (Tbilisi), Genadi Iashvili (Tbilisi), Shota Dogonadze (Tbilisi), Lado Mkervalishvili (Tbilisi), Robizon Khurtsilava (Qutaisi), Natalia Lazba, Ineza Zoidze, Zaza Burkadze, Irakli Gorgiladze, Giga Phartenadze, Dali Doborjginidze, Lasha Bajunaishvili, Irina Tsintsadze.*

**reviewers:**

*Marina Itriashvili  
Temur Jagodnishvili  
Beso Sherazadishvili*

**ISSN 1987-7684**

© The Department of Social and Political Sciences

For providing in articles the material, opinions and conclusions responsibility of the author.

**Address: 35 Ninoshvili Street, Batumi, Georgia, Shota Rustaveli State University, The Department of Social and Political Sciences #505,**

**E-mail [manvelidze.irakli@gmail.com](mailto:manvelidze.irakli@gmail.com) Tel: 042 229 33 46 +995577141099**

**Publishing House „Universali“**

**Publishing House „universali“, 2017**


---

Tbilisi, 0179, I. Chavchavadzis ave.. 19, :22 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge

# XI

" "

<http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/140737>



« »

2017

« » 2009

:

:

( ), ( ),  
( ), ( ),  
( ), ( ),  
( ).

:

*Тимур Джагоднишвили*  
*Бесо Шеразадишвили*

**ISSN 1987-7684**

©

: , , 35, II #505 ,

E-mail [manvelidze.irakli@gmail.com](mailto:manvelidze.irakli@gmail.com) Tel: 0422 29 33 46 +995577141099

« », 2017

, 0179, . 19, : 22 36 09, 5(99) 17 22 30

საჯარო პოლიტიკა და მართვა  
Public Policy and Administration

*გიგა ფარტენაძე*  
*ინეზა ზოიძე*  
*ირაკლი მანველიძე*  
**ქალაქის სტრატეგიული მართვის თეორიულ-  
მეთოდოლოგიური ასპექტები..... 13**  
*Giga Phartenadze*  
*Ineza Zoidze*  
*Irakli Manvelidze*  
**Theoretical-methodological aspects of the strategic  
management of the town .....25**

—  
.....27

*ზეინაბ ასანიძე*  
**ელექტრონული მუნიციპალიტეტი - მართვის ახალი  
მოდელი და მისი თავისებურებები.....32**

*Zeinab Asanidze*

**Electronic municipality - a new management model and its features .....40**

–  
.....41

*ხუნაშვილი ნათია*

**მართვის მეთოდების სრულყოფის მექანიზმების  
დამუშავება საქართველოს საჯარო მმართველობის  
ორგანიზაციებისათვის .....44**

*Natia Khukhunaishvili*

**Processing perfection mechanisms of management methods  
for Public Administration Organization of Georgia .....56**

.....57

*გიგა ფარტენაძე*

*ირაკლი მანველიძე*

**ქალაქის სტრატეგიული მართვის პრინციპები .....59**

*Giga Phartenadze*

*Irakli Manvelidze*

**The strategic principles of the city governance .....69**



.....70

მსოფლიო პოლიტიკა

**World policy**

ზაზა ბურკაძე  
საფრანგეთის შიგა წინააღმდეგობის მოძრაობა:  
კონსოლიდაცია.....73

:  
.....97

*ZazaBurkadze*

**FranceInternalResistanceMovement: Consolidation. ....98**

კახაბერ სურგულაძე  
ჩელები ერთი სამხედრო კამპანიის შესახებ..... 100

.....111

*Kakhaber Surguladze*

**Çelebi about One Military Campaign ..... 111**

მასკომუნიკაცია

Mass Communication

*ირმა გაბინაშვილი*

ენის, როგორც ვერბალური სიმბოლოს როლი  
მედიადისკურსის ფორმირების პროცესში .....112

,  
- .....125

*Irma Gabinashvili*

**Language as a verbal symbol in the process of forming a  
media discourse.....126**

*ირინე ცინცაძე*

არავერბალური კომუნიკაციის მნიშვნელობა  
საზოგადოებასთან ურთიერთობაში .....128

*Irine Tsintsadze*

**The importance of nonverbal communication in public  
relations .....135**

.....136

*ირმა გაბინაშვილი*

მედია-სტრატეგიის თავისებურებები და ზეგავლენა  
საზოგადოებაზე .....137

*Irma Gabinashvili*

**Peculiarities of Media Strategy and their Impact on  
Society .....148**

-  
.....149

### იდენტობა

#### Identity

*ცირა ფუტკარაძე*

იდენტობის როლი გარემოსა და პიროვნულობის  
თავსებადობაში..... 150

*Tsira Putkaradze*

**The role of identity in the compatibility of the environment  
and personality.....158**

..160

ბანათლება  
Education

*თინათინ გოგმაჩაძე*

**მულტიკულტურული განათლების სოციოლოგიური  
ასპექტები ..... 162**

*თინათინ გოგმაჩაძე*

*Tinatın Gogmachadze*

**Sociological aspects of multicultural education..... 170**

..... 170

---

საჯარო პოლიტიკა და მართვა  
Public Policy and Administration

---

---

ქალაქის სტრატეგიული მართვის თეორიულ-  
მეთოდოლოგიური ასაქტავი

*გიგა ფარტენაძე  
ინეზა ზოიძე  
ირაკლი მანველიძე*

ინფორმაციულმა რევოლუციამ მნიშვნელოვნად შეცვალა ქალაქის მართვის მექანიზმები და პრინციპები. გაჩნდა ახალი პრობლემები და გამოწვევები, რომლებმაც შესაბამისი ქმედებების განხორციელების აუცილებლობა მოითხოვა. არსებულ პრობლემებს შორის შედარებით რთულად და მტკივნეულად მიიჩნევა ეკონომიკური, სოციალურ და მმართველობითი პრობლემები.

საქართველოს, ისევე როგორც ყოფილი სოციალისტური ქვეყნების ქალაქებს, არ გააჩნდათ ქალაქის საკუთარი მართვის მექანიზმი. ის იყო ჩანაცვლებული მკაცრი ცენტრა-

ლიზებული ადმინისტრირებით. მძიმე ისტორიული მემკვიდრეობა დღემდე ავლენს თავის ნეგატიურ გავლენას ქალაქის მართვაზე.

მიიჩნევა, რომ უმსხვილესი ქალაქები ქალაქის ხელმძღვანელობის მიერ დღემდე რჩებიან არა მართვადაა ან სუსტად რეგულირებად სისტემებად. ქალაქების განვითარების და მართვის პრობლემებს მიეძღვნა გაეროს ფორუმი, რომელიც 1996 წელს სტამბულში ჩატარდა. მან აჩვენა, რომ 2300 მსოფლიოს უმსხვილესი ქალაქიდან, მხოლოდ 22-ს შეუძლია იამაყოს მართვის კარგი და დალაგებული პრაქტიკით. მათ სიაში შედის პარიზი, ილ-დე-ფრანსის რეგიონი, ლონდონი, ვენა და სხვა. მსგავსი გამოცდილების შესწავლა ხელს შეუწყობს ქალაქის მართვის კონსტრუქციული თეორიის შექმნას ქართულ რეალობაშიც.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში მწვავედ გამოვლინდა მოთხოვნა ქალაქის მართვის ახალ სტრატეგიებზე. მიზეზი - მართვის სტრუქტურების რეგულარული ცვლა, გარემოს შეცვლისადმი უინტერესობა, დოტაციური მუნიციპალური განათლების მაღალი პროცენტი, სახელმწიფო ფუნქციების გადაცემა მუნიციპალურ დონეზე რესურსული ბაზის არასაკმარისულობის გაუთვალისწინებლობით.

საქართველოს თანამედროვე პრაქტიკა აჩვენებს, რომ ქალაქის მართვა და სოციალური განვითარება არ ხორციელდება მიზნობრივად. ამ მხრივ ძალიან ბევრი მეთოდოლო-

გიური შეცდომის დაშვება ხდებოდა და ხდება დღესაც. არ ხდება იმის გათვალისწინება, რომ ქალაქი ეს არის სოციალური ერთეული, რომლის მართვაც განსხვავდება კომპანიის მართვისგან. სწორედ ამან გამოიწვია ბევრი სერიოზული გაუთვალისწინებელი შეცდომა როგორც თეორიაში, ასევე პრაქტიკაში. ფაქტია, რომ ქართულ სინამდვილეში ქალაქის ქაოტური განვითარება ხდება.

თანამედროვე ეტაპზეც კი მეორდებოდა ის შეცდომები, რომლებიც დაიშვა გასულ საუკუნეში, როცა ქალაქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი წინაღობა ვინროპიროვნული თუ ჯგუფური ინტერესები იყო. სამინისტროებისა და წარმოებების წინ არსებულ პრობლემებზე ორიენტირებულებს არ სურდათ მონანილეობა მიეღოთ ქალაქის სოციალური მიზნების განხორციელებაში.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, ქალაქებში დაიწყო მართვის სისტემის რეფორმები - ისეთი ახალი სტრუქტურის დამატება, როგორიც არის ქალაქის უშუალო ხელმძღვანელი, მაგ., პრეფექტი, მერი. რეფორმის მიზანი ქალაქებისა და რაიონების ხელმძღვანელების წარდგენა იყო ხელისუფლების რეალურ სახალხო, საჯარო პერსონებად, რომლებიც უნდა ყოფილიყვნენ მოსახლეობის საჭიროების დაკმაყოფილების ორგანიზატორები.

რეფორმის მიუხედავად, საქართველოში ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა ქალაქის მართვის ოპტიმალური და ადაპ-

ტირებული სისტემა, რომელიც შესაბამისად, ვერ ახდენს ადექვატურ რეაგირებას არსებული პრობლემების აღმოფხვრაზე. არადა, ქალაქის განვითარების თანამედროვე პრაქტიკა აჩვენებს, რომ სოციალური პრობლემები შეიძლება მოგვარდეს მხოლოდ მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით. ჯერჯერობით განვითარების არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრაქტიკა ვერ ახერხებს ტერიტორიული სტრუქტურებისა და ცალკეული სუბიექტების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული საქმიანობის ეფექტურ შეთავსებადობას, რისი უმთავრესი პრობლემაც სწორედ ქალაქის მართვის სტრატეგიულად გამართული სტრუქტურის არარსებობაა.

თუ ქალაქი ეს არის ტერიტორიული დასახლება, მაშინ მართვა მიმართული უნდა იყოს ამ ტერიტორიაზე დასახლების ორგანიზებისკენ. ქალაქის მართვის სტრატეგიული მოდელის შემუშავების დროს აუცილებელია მიზანმიმართულად იქნას გამოყენებული სისტემური მიდგომა. აუცილებელია განისაზღვროს გამოსაკვლევ სისტემა, მისი არსი და სისტემური მართვის მნიშვნელობა.

სისტემური მიდგომის მნიშვნელობა მდგომარეობს შემდეგში - იმ დონის სისტემის გამოყოფა, რომელზეც უნდა მოხდეს პრობლემის გადაჭრა. სისტემა - ეს არის რეალობის შემადგენელი ნაწილი, რომლის ელემენტებიც აღმოაჩენენ მათ საზოგადოებრიობას ურთიერთქმედების პროცესში.



სისტემის მახასიათებლების აღწერა განსაზღვრავს მოდელის ისეთ ძირითად ელემენტებს, როგორცაა:

- ერთიანობა: ქალაქის მართვის სტრატეგია უნდა იყოს ორიენტირებული მის ადმინისტრაციულ საზღვრებზე ან აგლომერაციის ზონებში არსებულ დასახლებაზე. საქართველოში მსგავსი რეალობა ქაოსურ ხასიათს ატარებს. ორგანიზაციული განზოგადოების არარსებობა არსებითად ართულებს ქალაქის როგორც მართვას, ასევე განვითარებას. აუცილებელია ქალაქის საზღვრებისა და მართვის სისტემის განსაზღვრა.

- ენერგიულობა: ეს მახასიათებელი იძლევა საშუალებას მივაღწიოთ მართვის ობიექტის განვითარების სისტემურობასა და სინერგეტიკულ ეფექტს.

- იერარქიულობა: ეს მახასიათებელი წარმოდგენას გვიქმნის ქალაქის სტრატეგიული მართვის ანალიზის მიმართულებაზე: რომელი ელემენტები მივიღოთ როგორც გარემოცვის ფაქტორები და რომელი, როგორც გამოსაკვლევი სისტემის ელემენტები. ეს ნიშნავს იმ დონის სისტემის გამოყოფას, რომელზეც მოხდება პრობლემის გადაჭრა.

- თვითორგანიზება: ქალაქის მართვის რთული სისტემის მოცემული მახასიათებელი განიხილავს მასში წარმოქმნილი პრობლემების ბუნებრიობას და მართვის ორგანიზაციის მთელ რიგ კანონზომიერებებს, მათ შორის თვითგანვითარების და სისტემური მართვის ასპექტებს. ქალაქის სტრა-

ტეგიულმა მართვამ უნდა გაითვალისწინოს ეს კანონზომიერება.

მოდელების გარდა, ასევე არსებობს ქალაქის მართვის სისტემის განსაზღვრის სხვადასხვა მიდგომები, რომლებიც ორიენტირებულია მხოლოდ სტრატეგიული განვითარების გეგმების შემუშავებაზე და არა სტრატეგიული მართვის ახალი პრინციპების და მექანიზმების შემუშავებაზე. სამწუხაროდ, ხშირად არსებობს მსხვილი კომპანიის სტრატეგიული მართვის მეთოდოლოგიის ქალაქის სტრატეგიული განვითარებისათვის გამოყენების პრაქტიკა.

ადმინისტრაციულ-პოლიტიკური პოზიციიდან, ქალაქი წარმოადგენს სახელმწიფო ტერიტორიის გამაგრებულ ზურგს, რომელსაც მინიჭებული აქვს მოსახლეობის თანაცხოვრების ორგანიზაციის უფლებამოსილება. სოციალური გადმოსახედიდან - ქალაქი წარმოადგენს სოციალიზაციის ადგილს მაცხოვრებელთათვის და ამ ტერიტორიაზე დასახლებულთათვის, ხოლო ეკონომიკური პოზიციიდან, ქალაქი ქმნის საქონლისა და მომსახურების წარმოების პირობებს, რომლებიც შეიძლება გაიცვალოს სოფლის მეურნეობის საქონელზე. ასევე უზრუნველყოფს ეფექტურ წარმოებას, საქონლისა და მომსახურების რეალიზაციას, რათა მიღწეულ იქნეს მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება და სხვა დასახლებებთან კონკურენციის განვითარების შესაძლებლობა. ქალაქის ასეთი მრავალსპექტრული განხილვა მეთოდო-

ლოგიურ საფუძვლად მიიჩნევს სისტემურ მიდგომას. ასეთი პოზიციებიდან ქალაქი შეიძლება განიხილო როგორც სისტემა, და აგრეთვე როგორც მართვის სისტემა.

როცა ქალაქის მართვის სტრუქტურის და მართვის სისტემის ჩამოყალიბების სხვადასხვა მიდგომების შესახებ ვსაუბრობთ, აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ თავისი ფორმით ქალაქი წარმოადგენს მოსახლეობის დასახლების ტერიტორიას, ხოლო შემადგენლობით კი ამ მოსახლეობის საცხოვრებელ, საქმიანობისა და სოციალურ სფეროს.

ქალაქის მართვისა და სხვადასხვა მიდგომების საკითხების განხილვის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ქალაქის მართვის სისტემის მნიშვნელოვან ხაზად შეიძლება მივიჩნიოთ მისი სტრუქტურულ-ორგანიზაციული ფორმა, მართვის თავისებურებები და განვითარების პრიორიტეტები; აგრეთვე, ქალაქი, როგორც დასახლების სახე - ეს არის ტერიტორია, რომელიც ორგანიზებულია ადამიანების საცხოვრებლად.

ქალაქის საჯარო (სახელმწიფო ან მუნიციპალური - ქალაქის სტატუსისგან გამომდინარე) მართვა საჯარო მართვის ერთ-ერთი ურთულესი საკითხია.

ძოგადად, საჯარო მართვა უნდა განიხილებოდეს, როგორც მისაღები და სარეალიზაციო გადაწყვეტილებების ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავენ ქალაქის, მისი ელემენტების, ინსტიტუტებისა და მოსახლეობის მიმდინარე და

მომავალ რეალურ კეთილდღეობას. მისი არსი კი უნდა მდგომარეობდეს საჯარო მართვის ორგანიზაციულ, სამართლებრივ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვა სახის ადმინისტრირების და უზრუნველყოფი ინსტრუმენტების ფართო სპექტრის შექმნაში, რეალიზაციასა და უზრუნველყოფაში.

ქალაქის, როგორც შედარებით კომპაქტური დასახლების საჯარო მართვას, ახასიათებს რიგი განმასხვავებელი ნიშნები, შედარებით ნაკლებად მჭიდროდ დასახლებული, მაგრამ ბევრად დიდი ტერიტორიის საჯარო მართვისგან.

ქალაქის საჯარო მართვის განხორციელებისას საჯარო ადმინისტრაციის ორგანოები აწყდებიან ისეთ ურთულეს პრობლემებს, როგორცაა ქალაქის განვითარების ტემპებზე და მიმართულებებზე სახელმწიფო პოლიტიკის ზემოქმედების პრაქტიკული შეფასების უკმარისობა, ვინაიდან, ასეთი ობიექტის საჯარო მართვას ახასიათებს მათ მიერ დეტერმინირებული რთული პროცესები, რაც მართვადი სუბიექტების არასწორ რეაგირებაზე მათზე ზემოქმედების საპასუხოდ გამოიხატება.

ქალაქის საჯარო მართვა ითხოვს საქალაქო საჯარო ადმინისტრაციის ორგანოების როგორც ვერტიკალურ, ასევე ჰორიზონტალურ კოორდინაციას, ასევე ქალაქის ყოფაცხოვრების ყველა სფეროში შეთანხმებულ მართვას, გამომ-

დინარე იქიდან, რომ ქალაქი ერთიანი ორგანიზმია ერთმანეთისგან დაშორებული რაიონებით.

ქალაქის მენეჯმენტი აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს ადმინისტრაციულ ავტონომიებს ქალაქის საერთო სტრუქტურაში. როგორც საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, ქალაქი თითქმის ყოველთვის ფლობს პირველი დონის ზონას, რომელსაც დესტრუქციული პროცესები შეაქვს ქალაქის ზოგად განვითარებაში და შედეგად, სოციალური არაჰარმონიულობა მოაქვს. ამიტომ, ასეთი საერთო საქალაქო ზონები თავის დროზე უნდა გამოვლინდეს. აუცილებელია შემუშავდეს მათი აღმოფხვრის გრძელვადიანი სტრატეგიები. მათი მართვა ხომ მხოლოდ საერთო საქალაქო ხელისუფლების ხარჯზე ხდება. ამ ზონებზე მმართველობითი ფუნქციების მინიჭება ძალზედ სახიფათოა, რადგან ეს ართულებს ქალაქის ერთიანობის ფასეულობას.

ქალაქის მართვა შედეგზე ორიენტირებული რომ იყოს, საჭიროა შესაბამისი საინფორმაციო ბაზა. ასევე მერს ხელთ უნდა ჰქონდეს არა უბრალო სტატისტიკა, არამედ მაჩვენებლის უკიდურესი მინიმუმი, რომელიც დესტრუქციული პროცესების მიზეზებს აჩვენებს და შესაძლო შედეგებს. ვინაიდან ჯერ კიდევ არ შექმნილა ქალაქის კონსტრუქციული თეორია და მისი ფუნქციონირების დამაჯერებელი მოდელები, მსოფლიო პრაქტიკას არ შეუმუშავებია ასეთი მინიმუმი.

ქალაქის მართვის საინფორმაციო მოდელის მომნიფე-  
ბა მისი ინფორმაციის დამახასიათებელი სამი სახის ერთია-  
ნობას მოიაზრებს: კარტოგრაფიული ანუ ვიზუალური,  
სტრატეგიული და ტექსტური. აქედან გამომდინარე, უნდა  
შეიქმნას ელექტრონული ქალაქის მართვის სისტემა, რომე-  
ლიც გაადვილებს როგორც ადმინისტრირების პროცესს, ასევე  
გაადლიერებს ორმხრივ პროცესს მოსახლეობასა და ადმინის-  
ტრაცია შორის. ქალაქის მოსახლეობას ჩართავს გადანყვე-  
ტილების მიღების პროცესში.

ამრიგად, ქალაქის მართვა შეიძლება მივიჩნიოთ ჩამო-  
ყალიბებულად საბოლოოდ, თუ მოქალაქეები და ორგანიზა-  
ციები მიიღებენ ინფორმაციას მათი მიკრორაიონების გეგ-  
მების, მერის ანგარიშების, მოქმედების, საკუთარი ქალაქის  
კოდექსის შესახებ, ანუ ინტენსიურად იქნებიან ჩართული  
გადანყვეტილების მიღების პროცესში და ზოგადად ქალაქის  
მართვაში.

ქალაქის სტრატეგიული მართვის განვითარების მთა-  
ვარ ფაქტორად გვევლინება მოსახლეობის აქტიური მონაწი-  
ლეობა ადგილობრივი პრობლემების გადაჭრაში, რაც თვით-  
მმართველობის მიერ ხორციელდება.

საქართველოს რეალობაში მოქმედი მოდელი, რომე-  
ლიც ქალაქების მართვისთვის შემუშავებულა, გამოირჩევა  
შემდეგი მახასიათებლებით:

1. შიდასაქალაქო ტერიტორიების თვითმმართველობის ძირითადი ელემენტების გამოყოფით;

2. ტერიტორიული ერთეულების ფორმირებით;

3. ხელისუფლების შიდასაქალაქო ტერიტორიების წარმომადგენლობითი და შემსრულებელი ელემენტების თვითმმართველობის დონეზე ინტეგრაციით;

4. მოსახლეობას, ხელისუფლების ორგანოებსა და სამეურნეო სტრუქტურებს შორის სოციალური პარტნიორობის მექანიზმის სუსტი ფუნქციონირებით.

ქალაქის სტრატეგიული მართვის პროცესში გამოიყენება რამდენიმე მექანიზმი: ეკოლოგიური, კანონიერი, ადმინისტრაციული, სოციალური.

მართვის სოციალური მექანიზმი სხვა მექანიზმებისგან მიზნების, საგნის, სუბიექტური შემადგენლობის, გამოყენებული ინსტრუმენტების, რესურსების უზრუნველყოფის დახასიათებით განსხვავდება. სტრატეგიული მართვის სოციალური მექანიზმის მოქმედების სამი მიმართულება გამოიყოფა :

1) სტრატეგიული მართვის ორიენტირები;

2) სტრატეგიული მართვის სისტემაში უკუგება;

3) ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობა, როგორც ქალაქის სტრატეგიული განვითარების ფაქტორი.

ამრიგად, ქალაქის სტრატეგიული მართვის ძირითად მიმართულებად კომპლექსური ორგანიზაციულ-სტრუქტურული უზრუნველყოფისთვის სამეცნიერო-მეთოდური უზრუნველყოფა გვევლინება, რომელიც უნდა განხორციელდეს მუნიციპალური რესურსებით ან მხარდაჭერით, რომელიც მიმართული იქნება ქალაქის ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაციის სოციალური და სტატისტიკური დიაგნოსტიკა და სამეცნიერო-პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება მუნიციპალიტეტის პრობლემების გადასაჭრელად.

ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობის განვითარების უზრუნველყოფა აუცილებელია შემდეგი ხერხებით: 1) შიდასაქალაქო ტერიტორიების თვითმმართველობის ძირითადი ელემენტების გამოყოფით; 2) ტერიტორიული საბჭოების ფორმირებით; 3) ხელისუფლების შიდასაქალაქო ტერიტორიების წარმომადგენლობითი და შემსრულებელი ელემენტების თვითმმართველობის დონეზე ინტეგრაციით; 4) მოსახლეობის, ხელისუფლების ორგანოებსა და სამეურნეო სტრუქტურებს შორის სოციალური პარტნიორობის მექანიზმის ფუნქციონირებით.

ქალაქის სტრატეგიული მართვის უზრუნველსაყოფად უნდა შემუშავდეს კომპლექსური ორგანიზაციულ-ტექნოლოგიური სისტემა, რომელიც თავისთავში უნდა მოიცავდეს ათ ელემენტს: კონცეპტუალური, საკადრო, ორგანიზაციული, სამეცნიერო-მეთოდური, ფინანსური, სოციალური, სა-



მართლებრივი, ინფორმაციული, ტექნოლოგიური და ანალიტიკური.

**Giga Phartenadze**  
**Ineza Zoidze**  
**Irakli Manvelidze**

**Theoretical-methodological aspects of the strategic management  
of the town**

Summary

The information revolution has significantly changed the mechanisms and principles of town management. There are new problems and challenges that require the need to carry out relevant actions. Economic, social and managerial problems are considered to be relatively difficult and stronger between the existing problems.

Georgia, as well as cities and towns of former Socialist countries did not have the city's own management mechanism. It was replaced by a strict centralized administration. The hard historical heritage still reveals its negative influence on town management. Even in the modern stage, mistakes are repeated, that were made in the last century, when the main obstacle to the economic and social development of the city was subjective or group interests. Focusing on the problems of the ministries and

industries they did not want to participate in the social goals of the city.

Town management can be considered as a formal, formulated event if citizens and organizations receive information about their micro-plans, mayor reports, actions, code of their own city, or will intensively be involved in decision-making and general management of the town. The main direction of the city's strategic management is to provide scientific-methodological support for complex organizational-structural provision, which shall be carried out with municipal resources or support to address social and statistical diagnostics of the economic and political situation of the town and to develop scientific-practical recommendations to solve municipality problems.

For the purpose of strategic management of the city, a complex organizational-technological system should be developed, which must include ten elements: Conceptual, personnel, organizational, scientific, methodological, financial, social, legal, informative, technological, and analytical.



საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის  
საზოგადოებრივ მეცნიერებების  
სამეცნიერო ცენტრის მიერ  
გამოცემული  
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის  
საზოგადოებრივ მეცნიერებების  
სამეცნიერო ცენტრის მიერ  
გამოცემული  
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის  
საზოგადოებრივ მეცნიერებების  
სამეცნიერო ცენტრის მიერ  
გამოცემული

გამოყენებული ლიტერატურა

ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში 1991-2014 წწ., სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი, თბ., 2015

კანდელაკი კ., ლოსაბერიძე დ., მელაშვილი ი., შ. თენგიზ, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის განვრცობილი კონცეფცია, გამომცემლობა „ნეკერი“, თბ., 2012

Kraaijestein M. Metropolitan Government in London, Paris and Berlin 1920–2000, Dijk H. van (ed.) The European Metropolis 1920–2000. Proceedings of a Conference at The Centre of Comparative European History. Berlin, 2002

Norton A. International Handbook of Local and Regional Government. A Comparative Analysis of Advanced Democracies, Cheltenham: Edward Elgar, UK, 1994.

, . . . -  
 , . . .  
, 2003, 286 .  
. . .  
:  
2013, 8, C. 971-979.

, . . .  
. . .  
-

, 2004, 3.  
..  
, 2013, 7, C. 709-712.  
, ..  
, : ..  
/ ; . . . - ,  
, 1999.  
, .. « », 1999, 9, . 66-67.  
.. .. , - , 2002,  
55 .  
-  
, 2005, 33 c.  
.. ..  
( ),  
2013, 3, C. 116-127.  
, ..  
, . – 2006, 9, . 53-59.  
, ..  
, , 1995. 79.

...  
: , , , , ,  
« » , 2009, 104 .

**ელექტრონული მუნიციპალიტატი - მართვის  
ახალი მოდელი და მისი თავისებურებები**

*ზეინაბ ასანიძე*

საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობა საზოგადოების ერთ-ერთ ძირითად ინსტიტუტს წარმოადგენს და განვითარების მნიშვნელოვან ეტაპზე იმყოფება, თუმცა, ეფექტურად ფუნქციონირებადი მუნიციპალური სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბების გზაზე, წარმოიქმნა ფუნდამენტური პრობლემა - მუნიციპალური მმართველობის ოპტიმალური სისტემის, როგორც საჯარო მმართველობის დაბალი დონის აუცილებლობის შექმნა.

საქართველოში არსებული ელექტრონული მთავრობის ინსტიტუციონალური ბაზის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მან სახელმწიფოს მართვის ყველა დონეზე განვითარების მისთვის დამახასიათებელი გზა განვლო (თუმცა არა სისტემური), კერძოდ, ინტერნეტის ქსელში სახელმწიფო ვებ-საიტების განთავსება მოხდა, სადაც მოცემულია ძირითადი სახელმწიფო ინფორმაცია (სახელმწიფო უწყებების უფლებები და მოვალეობები, ნორმატიული აქტები, განკარგულებები, ბრძანებები, საკონტაქტო ინფორმაცია), სამინისტროებისა და სახელმწიფო სააგენტოების ბმულები.



მართალია, დღეისათვის მოქალაქეებს და ზოგიერთ სახელმწიფო უწყებას შორის ორმხრივი ინტერაქტიული ურთიერთქმედება ხორციელდება. სახელმწიფო უწყებების ორგანოების ვებ-საიტებზე შესაძლებელი ხდება ელექტრონული ფორმების ჩამოტვირთვა, ინფორმაციის მოთხოვნა ამა თუ იმ საკითხზე, საჯარო მოხელეებისათვის ელექტრონული ფოსტით ინფორმაციის გაგზავნა, ასევე შესაძლებელია, თუმცა ნაწილობრივ, მონაწილეობის მიღება ონლაინ დისკუსიებში და ელექტრონული პეტიციების წარდგენა. სახელმწიფო ორგანოებს შორის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა დაინერგა. ხორციელდება სახელმწიფო ორგანოებს, მოქალაქეებსა და ბიზნეს სექტორს შორის ტრანზაქციული ურთიერთქმედება. სახელმწიფო ორგანოების ვებ-საიტზე შესაძლებელია ონლაინ სერვისების გამოყენებით, სხვადასხვა სახის იურიდიული დოკუმენტების ჩამოტვირთვა და მათი ონლაინ შევსება, დეკლარაციების წარდგენა და სხვა. სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის მეშვეობით, ბიზნესი მონაწილეობს ონლაინ ტენდერებში და ა.შ. თუმცა რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეზე, ამ კუთხით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ინტერნეტის ქსელში სახელმწიფო ვებ-საიტების განთავსება მოხდა, სადაც მოცემულია (თუმცა ისიც არა სრული სახით) ძირითადი სახელმწიფო ინფორმაცია (სახელმწიფო უწყებების უფლე-

ბები და მოვალეობები, ნორმატიული აქტები, განკარგულებები, ბრძანებები, საკონტაქტო ინფორმაცია) და სამინისტროების და სახელმწიფო სააგენტოების ბმულები. დღეისათვის მოქალაქეებს და ზოგიერთ სახელმწიფო უწყებას შორის ხორციელდება მხოლოდ ელ-ფოსტის მეშვეობით, ისიც ხარვეზებით და რთულად.

რეგიონალურ და ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოებში საქმისწარმოების ავტომატიზირებული სისტემის დანერგვა, მართალია, ხელს უწყობს ელექტრონული მთავრობის G&G სახეობის განვითარებას, მაგრამ ნაკლები ყურადღება ექცევა G&C სახის განვითარებას, რომელიც მოქალაქეების ინტერაქციის საშუალებაა.

საქმისწარმოების ავტომატიზირებული სისტემაა კომპიუტერული პროგრამა, რომლის მიზანია, დოკუმენტბრუნვის პროცესის გამარტივება, დაჩქარება მისი ხარისხის გაუმჯობესება ძირითადი (რუტინული) ამოცანებისა და აქტივობების ავტომატიზაციის გზით ხელისუფლების ორგანოებს შორის. სწორედ ამის გამო სულ უფრო მეტი ორგანიზაცია მიმართავს საქმისწარმოების ავტომატიზირებულ სისტემებს[95], მათ შორის აჭარის არ საჯარო დაწესებულებები.

ელექტრონული საქმისწარმოების დანერგვამ აჭარის ა.რ. საჯარო დაწესებულებებში მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ელექტრონული მთავრობის მოდელის - მთავრობა G2G

განვითარებას, რაც საშუალებას იძლევა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეშვეობით დამყარდეს შიგა და გარე კავშირები სახელმწიფო ორგანოებს შორის.

საქართველოს საჯარო სამსახურის ბიუროს ინიციატივით, მათი უშუალო ხელმძღვანელობით, შემუშავებულ იქნა საქმისწარმოების ავტომატიზირებული სისტემის მინიმალური სტანდარტი, რაც საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა. სწორედ ამ დადგენილებით რეგულირდება სტანდარდის გათვალისწინება ყველა დამოუკიდებელ პროგრამებში[96].

აჭარის საჯარო დაწესებულებების მეტი ნაწილი ჩართულია eDocument - საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემაში, რომელიც სამსახურებრივი დოკუმენტების ქალაქის გამოუყენებლად მოძრაობის საშუალებას იძლევა. სისტემის მეშვეობით მარტივად ხდება დავალებების, მათზე რეაგირებისა და სხვა ორგანიზაციული საკითხების მუდმივი მონიტორინგის პროცესის განხორციელება.

აღნიშნულ პროგრამაში შემდეგი დაწესებულებებია ჩართული: აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო; აჭარის ა/რ მთავრობის აპარატი; აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო; აჭარი ა.ა მსდ - საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია; თვითმმართველი

ქალაქის - ბათუმის მერია და საკრებულო; ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო; ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო; ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო; შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო; ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო; სსიპ ბათუმის ბულვარი; სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტო“.

საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის მიმართულებით, ზოგადად ქვეყნაში ორი ძირითადი პრობლემა იკვეთება, რომლებიც ჯერ ერთი ამგვარი სისტემების ლოკალურად განვითარების არაეფექტურობასა და არაეკონომიურობაში ვლინდება, ასევე არსებული ლოკალური სისტემების არასრულყოფილებასა და მათ არათავსებადობაში და მეორე, საჯარო დანესებულებები თვითონ, ლოკალურად ცდილობენ მათ საჭიროებებზე მორგებული საქმისწარმოების სისტემის შემუშავებას, ერთი და იმავე პროდუქტის ალგორითმის მოფიქრებასა და შექმნაზე იხარჯება საკმაოდ მნიშვნელოვანი სახსრები. ამავდროულად, რაკი ლოკალურად, (სამინისტროებში და/ან სხვა დანესებულებებში) ხშირ შემთხვევაში არ არის მაღალი ხარისხის პროდუქტის შემუშავებისთვის საჭირო საკმარისი ინტელექტუალური და/ან ფინანსური რესურსი, განეული დანახარჯებით, ფაქტიურად, მაინც ვერ ხერხდება დასახული მიზნის მიღწევა. შედეგად,

ვდებულობთ არასრულყოფილ და არათავსებად ლოკალურ სისტემას.

ამრიგად, e-Document - საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის დანერგვა აჭარის ა.რ. საჯარო დაწესებულებებში ხელს უწყობს ელექტრონული მთავრობის ფორმის - G&G (ელექტრონული მთავრობა მთავრობისთვის) განვითარებას, რაც სახელმწიფო უწყებებს შორის კომუნიკაციისათვის ინტერნეტის გამოყენებას და მნიშვნელოვნად გაზრდის სახელმწიფო აპარატის მოქნილობას გულისხმობს, ხელს შეუწყობს ბიუროკრატის შემცირებას, კომუნიკაცია უწყებებს შორის უფრო მაღალ დონეზე გადავა. მიუხედავად ამისა, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტენსიური ჩართვის ტემპები რეგიონალური და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დონეზე ჯერ კიდევ დაბალია, ვიდრე სხვა სფეროებში. ვიანიდან, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება მმართველობის აღნიშნულ დონეებზე ძირითადად შიდაუნწყებრივ ხასიათს ატარებს. ძირითადად ყველა სახელმწიფო მართვისა თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა შექმნეს საკუთარი ინტერნეტ-საიტები, სადაც განლაგებულია საინფორმაციო, საძიებო და დაზუსტებული-ნორმატიული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია მათი საქმიანობის სფეროებთან, თუმცა მათი შინაარსობრივი, ტექნიკური და

ფუნქციური მხარეები მოუწესრიგებელი. სახელმწიფო ინფორმაციული სისტემების შექმნის მიმართულებით გარკვეული პროექტები და პროგრამები ხორციელდება, რომლებიც უზრუნველყოფენ პროცედურების ავტომატურ ერთობლიობას, ინფორმაციის შესწორებას და შენახვას, რაც აუცილებელია ცალკეული ორგანოების მიერ ფუნქციების ეფექტურად განხორციელებისათვის. ამავე დროს, ინფორმაციული რესურსების დიდი ნაწილი, როგორც ცენტრალური სახელმწიფო მართვის, ასევე რეგიონალურ და მით უფრო ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების მიერ ფორმირდება ნორმატიული ინფორმაციული ბაზის არ არსებობისა და არაკოორდინირებული მუშაობის პირობებში.

საქართველოს რეალობაში აჭარის ავტონომია ქმნის მართვის რეგიონალურ დონეს. სამწუხაროდ, ელექტრონული მთავრობის განვითარების კუთხით, დღემდე არსებულ ყველა სახელმწიფო დოკუმენტში ელექტრონული მთავრობის რეგიონალური დონის განვითარებაზე საუბარიც კი არ არის. ამავე დროს საზოგადოების დიდი ნაწილი არ არის კმაყოფილი იმ საჯარო მომსახურების ხარისხითა თუ წვდომით, რომლებიც ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენენ საზოგადოების მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის. არსებობს საზოგადოებრივი მოთხოვნა საჯარო მომსახურების პროცესის გამჭვირვალობის, მუნიციპალური მომსახურების მიღებასა და გამარტივებული პროცედურების შექმნისათ-

ვის. თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების კვალობაზე, განსაკუთრებით კი ინტერნეტის, მთავარი როლი სახელწმიფო (მათ შორის რეგიონალურ) და მუნიციპალურ დონეზე ინფორმაციულობის კომპონენტს ეკუთვნის. დისტანციურ რეჟიმში ურთიერთობებზე გადასვლამ უნდა მოგვცეს სერიოზული სოციალური და ეკონომიკური ეფექტი.

ვფიქრობთ, რომ რეგიონალურ დონეზე ელექტრონული მთავრობის განვითარების კუთხით მნიშვნელოვანია ელექტრონული კომუნიკაციის ელემენტების გაძლიერება. ზოგადად, საქართველოში ელექტრონული კომუნიკაციის ოთხი მთავარი სფეროა განსაზღვრული: უკუკავშირი ელექტრონულ სერვისებთან მიმართებაში, ელექტრონული სერვისების შემუშავებაში ჩართულობა, ღია მონაცემები, გამჭვირვალობა, ღია მმართველობა და ბოლოს, გადაწყვეტილების მიღება და პოლიტიკის შემუშავება.

**Zeinab Asanidze**

**Electronic municipality - a new management model and its  
features**

Summary

The local-self-governance is one the main institutions of the society in Georgia and is at an important stage of development, though, on the way of developing social-economic system of effectively functioning municipality, appeared a fundamental problem- necessity of optimal system of municipal management system creation as the public governance low level.

In the framework of developing the electronic government at the regional level, it is important to strengthen the elements of electronic communication. Generally, there are four main fields of electronic communication defined in Georgia: feedback in relation to the electronic services, involvement in electronic services development, open data, transparency, open governance and finally, decision making and development of the policy.

In reality, Autonomous republic of Adjara creates governance regional level in Georgia. Unfortunately, there is no talk concerning creation of electronic government on regional level in all the documents of the state for the present moment. At the same time, the large part of the society is not satisfied with the quality and the access of the public service, which are the main instruments for satisfying the demands of the society.



—

,

· ,

-

,

-

·

-

· ,

:

,

-

, , , ,

,

·

·

,

·

### გამოყენებული ლიტერატურა

დოლონაძე შ., იაშვილი გ., „საჯარო სამსახური საქართველოში: რეფორმები, გამოწვევები - „ელექტრონული მთავრობა“, გამომცემლობა ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2013, გვ, 325.

ელ-მმართველობის განვითარების პროექტი, მონაცემთა გაცვლის სააგენტო, იხ. ბმულზე:

[http://dea.gov.ge/?action=project&project\\_id=5&lang=geo](http://dea.gov.ge/?action=project&project_id=5&lang=geo).

ელექტრონული მმართველობის დანერგვა ადგილობრივ თვითმმართველობებში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების სააგენტოს, იხ. ბმულზე: <http://sda.gov.ge/ka-GE/project/> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 12.01.2016.

„ციფრული საქართველო: ელექტრონული საქართველოს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2014-2018“, იხ. ბმულზე - [http://dea.gov.ge/?action=news&news\\_id=47&lang=geo](http://dea.gov.ge/?action=news&news_id=47&lang=geo)

საქართველოს ინფორმატიზაციის სახელმწიფო კონცეფცია მანველიძე ი., „ციფრული საქართველოს“ სტრატეგიული დოკუმენტის შეფასებისთვის, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, სოციალურ, ეკონომიკურ და იურიდიულ მეცნიერებათა სერია, 2013, 5, 46-54

მანველიძე ი., რეგიონალური ელექტრონული მმართველობის ფორმირების თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი აჭარის მაგალითზე, ელექტრონული მმართველობა საქართველოში, სტატიების კრებული, 2015, 69-80

V , ., 25 - 29

2002 . , - .- . - , 2002, . 78-98.

Manvelidze I., Iashvili G., Phartenadze G., Katamadze G., Development of Electronic Governance as an Element of Reforming State Governance According to the Adjarian Example, International Science Index, 2016, 1898 – 1898 p.

**მართვის მეთოდების სრულყოფის მექანიზმების  
დამუშავება საქარველოს საჯარო მმართველობის  
ორგანიზაციებისათვის**

*ხუნაშვილი ნათია*

სახელმწიფო მართვის სათანადო განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია იმ მექანიზმების შემუშავება, რომლებმაც უნდა განსაზღვრონ ქვეყნის ეფექტური ფუნქციონირება, მართვის სისტემის სრულყოფა და ქვეყანაში მიმდინარე პროცესების რაციონალური და მიზანმიმართული წარმართვა. იდეე უფრო მნიშვნელოვანია ის გარემოება, თუ რა მეთოდებით ხორციელდება მართვა.

ეფექტიანი სახელმწიფო მმართველობა დღესდღეობით მაინც მსოფლიო პრობლემაა. საქართველოს საჯარო მმართველობის ორგანიზაციებში ჯერ კიდევ მართვის მრავალი პრობლემა არსებობს, რომელიც უნდა მოგვარდეს მათი გამოვლენით და მართვის მეთოდების დახვეწით.

როდესაც ორგანიზაციების მართვაზე იწყება მსჯელობა, უპირველეს ყოვლისა, ამოცანად რჩება თვით პრობლემის მეცნიერული გააზრება. ქედან გამომდინარე, ორგანიზაციების მართვის მექანიზმების დამუშავების შესწავლა და მისი სწორად ფორმირების გზების მოძიება, რომელიმე ცალკე აღებულ საშუალებას დარგის პრერო-

გატივა კი არ არის, არამედ კომპლექსურად შესასწავლი და დასამუშავებელი პრობლემაა.

ამ მიზნით, სტატია მიმოიხილავს მართვის მოდელებს, ეფექტიანობის განმსაზღვრელ მართვის მექანიზმებს, რათა აღმოიფხვრას ის დაბრკოლებები, რომლებიც ხელს უშლიან საჯარო ორგანიზაციის ეფექტიან ფუნქციონირებას და დაიძლიოს არსებული სისტემებისა და პროცედურების ნაკლოვანებები.

#### **მართვის მეთოდები**

დღეისათვის ნათელია ის ფაქტი, რომ თანამედროვე მსოფლიოს განვითარების მაღალი დონე მეტწილად მართვის წარმატებული მეთოდებით აისახება. მართვა უბრალოდ გულისხმობს იმ მოქმედებებს, რომლებსაც ახორციელებს მთავრობა სასურველი შედეგების მისაღებად.

მართვას, როგორც მეცნიერებას გააჩნია თავისი სპეციფიკური თავისებურებები და მათი გადაწყვეტის მეთოდები, რომლის საფუძველს შეადგენს მართვის შესახებ საუკუნეების მანძილზე დაგროვილი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, მართვის კონცეფციები, წესები და ფორმები, რომლის გამოყენებაც შემდგომში განაპირობებს ეფექტიანობის გაზრდას ამა თუ იმ ორგანიზაციის საქმიანობაში.

თანამედროვე პერიოდში, მსოფლიოში მრავალი კვლევითი ინსტიტუტი და დაწესებულება დაკავებულია მართვის ახალი მეთოდების შესწავლითა და ათვისებით.

შაგულისხმოა რამოდენიმე მეთოდი, რაც უკვე დადასტურებულია და მეტად საგულისხმოა, ესენია:

**იძულების მეთოდი**, რომლის საფუძველს წარმოადგენს სანქციათა გამოყენება ან მათი გამოყენების შესაძლებლობებით გამოწვეული შეგრძნება – შიში, დაუცველობა, გაღატაკების და შევიწროვების შეგრძნებები. იძულების მეთოდს იყენებენ სახელმწიფო ორგანოები მართვის პროცესში სახელმწიფოს სახელით.

**მონაწილეობის მეთოდის** დროს საჯარო მმართველობის მნიშვნელოვან ფუნქციაში ხდება ობიექტის ჩართვა გადაწყვეტილებათა მიღების გავლენის მოხდენის მიზნით. ეს მეთოდი შეიძლება ეფექტური იყოს ტრანსფორმირებად საზოგადოებაში, რომელსაც ახასიათებს არასტაბილური პოლიტიკური სისტემა. მონაწილეობის მეთოდის გამოყენებით პოლიტიკური ხელისუფლება ახორციელებს მართულთა არამართო მართვაში მონაწილეობას, არამედ ობიექტის მართვასაც. მ მეთოდს ხელისუფლება მიმართავს იმ შემთხვევაში, თუ სხვა მეთოდებით საჯარო მმართველობა შეუძლებელია.

**გარეგნული ეფექტურობის მეთოდი** მიეკუთვნება საჯარო მმართველობის სპეციფიკურ მეთოდებს. მ მეთოდის გამოყენებისას მმართველობითი ღონისძიებები წარიმართება არა მთავარი, სასიცოცხლო მნიშვნელობის პოლიტიკური პრობლემების გადასაწყვეტად, არამედ მეორეხარისხოვანი მიზნების მისაღწევად, რომლებიც ხელისუფლებისათვის ადვილად ხელმისაწვდომია და საბოლოო

მიზნის მიღწევის გარეგნულ ეფექტს იძლევა. ს მეთოდი წარმატებით გამოიყენებოდა ტოტალიტარული და ავტორიტარული რეჟიმების მიერ.

ასეობობს კიდევ **საინფორმაციო უპირატესობის მეთოდი**, რომელიც მოიცავს ინფორმაციის გაცვლას არა მარტო ადამიანებს შორის, არამედ კომპიუტერულ და ავტომატურ სისტემებს შორისაც. ინფორმაცია ვრცელდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებით ასევე, შესაბამისად იგი მიიჩნევა მეოთხე ხელისუფლებად, რისი მეშვეობითაც შესაძლოა ადვილად მოახდინო ზემოქმედება საზოგადოებაზე .[1]

### **ეფექტური მართვის მთავარი პრინციპები და მაჩვენებლები საჯარო სექტორში**

1. ეფექტური მართვის ფუნქციას საჯარო სექტორში განსაზღვრავს ის, რომ ორგანიზაციები მოქმედებენ საჯარო ინტერესის შესაბამისად ნებისმიერ დროს.

2. მოქმედება საჯარო ინტერესის შესაბამისად მოითხოვს:

ა) მტკიცე ვალდებულებას ერთიანობის, ეთნიკური ღირებულებების და კანონის უზენაესობის მიმართ;

ბ) ღიაობას და დაინტერესებულ მხარეთა ყოველმხრივ ჩართულობას;

3. გარდა საჯარო ინტერესის მოქმედებაზე მოთხოვნებისა, მართვის ეფექტიანობა საჯარო სექტორში ასევე მოითხოვს:

გ) შედეგების განსაზღვრას მდგრადი ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი უპირატესობების პირობებში;

დ) ინტერვენციების განსაზღვრას, რომლებიც აუცილებელია მოსალოდნელი შედეგების ოპტიმიზაციისთვის;

ე) ორგანიზაციის უნარიანობის გაზრდას, როგორცაა ლიდერობის უნარი, ასევე თვითოეული პიროვნების უნარები;

ვ) რისკების მართვასა და განხორციელებას ძლიერი შიდა კონტროლის მეშვეობით და მტკიცე საჯარო ფინანსურ მართვას;

ზ) კარგი პრაქტიკის განხორციელებას, გამჭვირვალობასა და ეფექტურობას ანგარიშვალდებულებაში; [2]

ეფექტიანი სახელმწიფო მართვის მთავარი ამოცანაა სახელმწიფო მომსახურების გაუმჯობესება. მთავრობის ეფექტურობის მაჩვენებლებიდან აღსანიშნავია:

- სამოქალაქო სამსახურის კომპეტენტურობა; სამთავრობო გადანაცვებების ეფექტური განხორციელება;

- პოლიტიკური ალტერნატივების მართვის უნარი მკვეთრი პოლიტიკური ცვლილებების ან შეფერხებების გარეშე სამთავრობო სამსახურებში;

- მოქნილობა, ცოდნის შექმნა და ნოვატორობა პოლიტიკური ხელმძღვანელობის ფარგლებში, კონფლიქტური მიზნების კოორდინაცია შეთანხმებულ პოლიტიკაში;



- შემოსავლების მობილიზებისა და ბიუჯეტის მართვის ეფექტურობა;

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის, სატელეკომუნიკაციო, ელ. ენერჯის, ჯანდაცვისა და საჯარო სკოლების, ელექტრონული სამთავრობო სისტემების ხელმისაწვდომობის ხარისხის განსაზღვრა;

- პოლიტიკის მდგრადობა;

- ბიზნეს აქტიურობის მიმართ ხელისშემშლელი ბიუროკრატიული ბარიერების მოხსნა

- გადასახადის გადამხდელთა მომსახურებისა და საინფორმაციო პროგრამის არსებობა, ასევე ეფექტური და ეფექტიანი გასაჩივრების მექანიზმი. [3]

მოცემული ეფექტურობის მაჩვენებლები არის დასტური სტრატეგიული მართვის განმსაზღვრელი ფაქტორებისა ტრანსფორმაციის თვალსაზრისით. ამ პრობლემების აღმოფხვრისა და რეფორმების გატარების გზით ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის, სახელმწიფოს სჭირდება მთელი რიგი მოვალეობების შესრულება: უნდა შეფასდეს სახელმწიფო სტრუქტურების მუშაობის კრიტერიუმები და გაიზომოს მიღწეული შედეგები. ეფექტიანი სახელმწიფო მართვისთვის ასევე აუცილებელია სახელმწიფო მართვის რესურსებისა და მეთოდების შეხამება არსებულ შესაძლებლობებსა და რისკებთან.

**საჯარო მომსახურების გაუმჯობესების რეფორმები**

მართვის მექანიზმის საფუძვლიანი ახსნა-განმარტებით მხოლოდ ძლიერ სახელმწიფოს შეუძლია შექმნას ისეთი გარემო, რომელშიც საჯარო სექტორის რეფორმა შესაძლოა იყოს მნიშვნელოვანი და ეფექტური. სახელმწიფოს ცენტრალური ადგილი უკავია სტრუქტურული ცვლილების პროცესისა და საზოგადოებისადმი მომსახურეობის განწესის თვალსაზრისით. სახელმწიფო პასუხისმგებელია ინსტიტუციური ხარვეზების იდენტიფიცირებაზე. ასევე საჯარო მომსახურეობის რეფორმირების პროცესზე და სახელმწიფოს ტექნიკური საშუალებების გაძლიერებაზე. საჯარო მომსახურეობის გაძლიერებისა და გაუმჯობესებით პროდუქტიულობა იზრდება და შედეგად თვალსაჩინო ხდება. მომსახურეობის გაძლიერებისა და გაუმჯობესების რეფორმის მიზნები შეიძლება იყოს შემდეგი სახის:

- რაციონალიზაცია, მოცულობისა და ფუნქციების პირობებში მთლიანად საჯარო სექტორში;
- ფინანსური ანგარიშვალდებულების უფრო ეფექტიანი სისტემების დანერგვა;
- გამჭვირვალება საჯარო დანესებულებების საქმიანობაში;
- კვალიფიკაციის ამაღლება საჯარო დანესებულებებში;
- ფუნქციური პრინციპების, პროცედურებისა და სისტემების მოდერნიზაცია;
- პოლიტიკური გარემოს განვითარება; [4]

ამ რეფორმების შემუშავება და სისრულეში მოყვანა მისცემს სახელმწიფოს საშუალებას მიაღწიოს უფრო მეტ წარმატებას საჯარო სექტორში, იყოს გამჭვირვალე და ეფექტიანი.

**საჯარო რეფორმის განხორციელების აუცილებლობა საქართველოში.**

დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობდა და მეტ-ნაკლები წარმატებით მიმდინარეობს მმართველობითი რეფორმირება. ამ თვალსაზრისით საქართველოში განხორციელდა მმართველობითი რეფორმები მათ შორისაა საჯარო სამსახურის რეფორმა – საქართველოს მთავრობის დადგენილება 627, 2014 წლის 19 ნოემბერი, ქ. თბილისი; ანტიკორიფციული რეფორმა, განათლების რეფორმა, ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა 2013 წლიდან და ა.შ. ამ მიზნით ევროკავშირის მიერ გამოყოფილი იქნა 30 მილიონი ევროს ოდენობის გრანტი.

მნიშვნელოვანია მთავრობის მიერ შემოთავაზებული შემდეგი სახის რეფორმები უფრო მეტი ეფექტიანობის თვალსაზრისით:

- ეკონომიკური რეფორმა
- განათლების რეფორმა
- ქვეყნის განვითარება ოპტიმალური სივრცითი მონყობით
- მმართველობის რეფორმა [5]

**ეკონომიკური რეფორმა** – ორიენტირებული უნდა იყოს კერძო სექტორის მაქსიმალურ წახალისებაზე და მის გაძლიერებაზე.

**განათლების რეფორმის** თანახმად უნდა დაინერგოს გერმანული დუალური განათლების სისტემა, სადაც კერძო სექტორთან ერთად მოხდება კადრების გადამზადება და კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად სახელმწიფო და საწარმოები გადაინაწილებენ კომპეტენციებს, პროფესიული განათლების თეორიული და საწარმოო პრაქტიკის კომპონენტების მიმართულებით. შეიქმნება ზრდასრულთა განათლების სისტემა. შისტემა გახდება ღია და ინკლუზიური. ამალდება პედაგოგთა კვალიფიკაცია. შრომის ბაზრის ანალიზის საფუძველზე, განისაზღვრება და დაფინანსდება უმაღლესი განათლების პრიორიტეტული მიმართულებები. ქვეყნის ეკონომიკის, სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებისა და საზოგადოების საჭიროებების გათვალისწინებით, მოხდება პრიორიტეტული სამეცნიერო დარგების იდენტიფიკაცია და მათი გაძლიერების მხარდაჭერა.

**სივრცითი მონყობის** სქემა უნდა იყოს ქვეყნის განვითარების მთავარი ჩარჩო, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა არის ქვეყნის მდგრადი განვითარების და ცხოვრების ხარისხის ამაღლების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. ქვეყნის განვითარების პოტენციალის ოპტიმალურ ათვისებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე სახელმწიფოს მშენებლობაში.

**მმართველობის რეფორმა** უზრუნველყოფს სახელმწიფო სერვისების დახვეწას და უწყებების მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებას. ფრო სწრაფი ეკონომიკური ზრდისთვის საჭიროა მმართველობის ეფექტიანობის გაზრდა. მთავრობის ადმინისტრაციაში უნდა შეიქმნას სტრუქტურული ერთეული, რომელიც მთავრობის წევრთა მიერ გადაწყვეტილების მიღების ხანგრძლივობის მონიტორინგს განახორციელებს. გაძლიერდეს საზოგადოების ჩართულობა მმართველობის პროცესში და უზრუნველყოფილ იქნეს პროცესების ეფექტიანი მონიტორინგის საშუალება. ოხდეს ონლაინ მომსახურებების დახვეწა და გაუმჯობესება, ახალი დისტანციური სერვისების დამატება და სახელმწიფო სერვისების საფასურის ოპტიმიზაცია.

**საქართველოში ადმინისტრაციული რეფორმის** ძირითადი პრინციპები და მიმართულებები უნდა განისაზღვროს საერთო სტრატეგიული მიზნის შესაბამისად – უნდა ავაშენოთ კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული დემოკრატიული სახელმწიფო (დემოკრატიის 2 პრინციპი: “ინდივიდუალური ავტონომიის პრინციპი” და “თანასწორობის პრინციპი”), რაც გულისხმობს:

დემოკრატიზაციას და დეცენტრალიზაციას საჯარო მმართველობის სისტემაში, სამართლებრივი გარანტიების განვითარების ინსტიტუტს, ადგილობრივ თვითმმართველობას; საჯარო სამსახურის რეფორმას, მათ შორის ცვლილება ანაზღაურებისა და წახალისების სისტემაში, საჯარო მოხელეებისთვის განათლების თანამედროვე და

სპეციფიკური სისტემის შექმნა, უწყვეტი სწავლება და კადრების განვითარება და მოხელეთა დაქირავებისა და შერჩევის ობიექტური მეთოდების დანერგვა, მოვალეობების შესრულების შეფასების სამართლიანი სისტემის შექმნა და ა.შ.

### **საჯარო ეფექტიანობა**

სახელმწიფო აპარატის მუშაობა შეიძლება ჩაითვალოს ეფექტურად, თუ ის წარმატებით წყვეტს ოპტიმალური სახელმწიფო ინტერესებისა და საზოგადოების, სოციალური ჯგუფებისა და თითოეული ადამიანის ინტერესების ოპტიმალურ დაცვის პრობლემას. სწორედ ამ ამოცანაში ვლინდება სახელმწიფო აპარატის ეფექტურობა.

**სტრატეგიული დაგეგმვა** წარმოადგენს სახელმწიფო რეფორმის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ ინსტრუმენტს. ბისმიერი სახელმწიფოს მოდერნიზაციის პროცესში შერჩეული და განსაზღვრული უნდა იყოს შემდგომი განვითარების ძირითადი პრინციპები და მისაღწევი მიზნები. ამისათვის აუცილებელია სტრატეგიული დაგეგმვის პრინციპების გამოყენება, რაც ზრდის ქვეყნის კონკურენტუნარიანობას და საბოლოო ანგარიშით პოლიტიკურ სტაბილურობასა და ეკონომიკურ კეთილდღეობას.

სტრატეგიული დაგეგმვის გარეშე სახელმწიფო კარგავს უნარს გააცნობიეროს საკუთარი მდგომარეობა, განსაზღვროს შემდგომი განვითარების ორიენტირები და ხდება მსოფლიოსა თუ რეგიონში შექმნილი პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების მძევალი.

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს თანმიმდევრული და მდგრადი რეფორმა: აუცილებელია ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ჰქონდეს მართვის კონცეპტუალური გაგება და სამოქმედო გეგმა, მკაფიოდ განსაზღვრული მიზნები და ამოცანები, გარემოებების შეცვლის კვალობაზე სტრატეგიის კორექტირების (ან ძირეული შეცვლის) შესაძლებლობა, რის საფუძველსაც სტრატეგიული დაგეგმვის პრინციპები იძლევა.

ამრიგად, ნაშრომში განსახილველ საკითხად წარმოდგენილია მართვის მეთოდები, საჯარო მომსახურების გაუმჯობესების რეფორმები, ეფექტური მართვის მთავარი პრინციპები და მაჩვენებლები, ეფექტიანობის განმსაზღვრელი კრიტერიუმები და საქართველოს მთავრობის მიერ შემოთავაზებული რეფორმების განხორციელების გზები.

ორგანიზაცია ზოგადად ასახავს სტრუქტურასა და დინამიკას მართვის პროცესში. ორგანიზაციული მართვის დონესა და ხარისხზეა დამოკიდებული მართვის ამოცანების წარმატება და დასახული მიზნების მიღწევა.

საქართველოს საჯარო მმართველობის ორგანიზაციები უნდა ახორციელებდნენ კოორდინირებულ საქამიანობას შიდა დისციპლინის გათვალისწინებით და ახდენდნენ საზოგადოებრივი აზრის მობილიზებას და რეფორმატორული პოლიტიკის გატარებისას მათ გათვალისწინებას. თვითოეული საჯარო დაწესებულება, მისი შემადგენელი

სტრუქტურული ერთეულები, მათი საქმიანობა და ფუნქციები, მასში მომუშავე საჯარო მოხელეების უფლებები და მოვალეობები დეტალურად უნდა იქნას განხილული.

სტატიის მიზანი გამყარებულია იმ მოტივით, რომ მართვის მექანიზმების დამუშავება, ახალი მეთოდების დანერგვა და რეფორმირების გზით ქვეყნის მმართველობაში ცვლილებების შეტანა გახდება ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი.

ეფექტურ და ფუნქციური მართვის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების შემუშავება საშუალებას მისცემს საჯარო მმართველობის ორგანიზაციებს მიაღწიონ მაქსიმალურ შედეგს, რაც გახდება ქვეყნის წარმატების საწინდარი.

**Natia Khukhunaishvili**

**Processing perfection mechanisms of management methods for  
Public Administration Organization of Georgia**

Summary

The article deals with the most important issues of the Public Administration of Georgia, Management methods, principles and mechanisms specifying effective management and their necessity in Public Administration. For this aim the article reviews 4 items plan for public administration reform in Georgia and it's necessity to be



performed in strategic planning viewpoint as one of the initial ability in order to solve the problems existed in Public Organizations of Georgia. The article researches necessary conditions characteristic to effective management which must have Public Administration organizations.

### გამოყენებული ლიტერატურა

საჯარო პოლიტიკური მმართველობის თეორია და პრაქტიკა - გურგენიძე ვ.პ. (პოლიტიკურ-სამართლებრივი პარადიგმები) გამომცემლობა თბილისი 2014 წ. აღებულია ვებგვერდიდან:

<http://www.scribd.com/doc/223479358>

Good Governance in the Public Sector – Consultation Draft for an International Framework, 2013, by CIPFA (The chartered Institute of Public Finance & Accountancy), IFAC (International Federation of Accountants).

აღებულია ვებ-გვერდიდან: <https://www.mcc.gov/who-we-fund/indicator/government-effectiveness-indicator>

Kovac, Polonca. Developing New Governance Models and Administrative Practices in Central and Eastern Europe, in:Kovac, P. Gdjustek, G. Contemporary Governance Models and Practices in Central and Eastern Europe, Bratislava 2015, გვ. 11-12.

აღებულია ვებ გვერდიდან:  
<http://topnews.mediamall.ge/?id=165403>

## ქალაქის სტრატეგიული მართვის პრინციპები

*გიგა ფარტენაძე  
ირაკლი მანველიძე*

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, საბჭოთა სისტემის დაშლის შემდეგ, საქართველოში ქალაქებში დაიწყო მართვის სისტემის რეფორმები - ისეთი ახალი სტრუქტურის დამატება, როგორც არის ქალაქის უშუალო ხელმძღვანელი, მაგ., პრეფექტი, მერი. რეფორმის მიზანი იყო ქალაქებისა და რაიონების ხელმძღვანელების წარდგენა ხელისუფლების რეალურ სახალხო, საჯარო პერსონებად.

საქართველოს თანამედროვე პრაქტიკა აჩვენებს, რომ ქალაქის მართვა და სოციალური განვითარება არ ხორციელდება მიზნობრივად. ამ მხრივ, ძალიან ბევრი მეთოდოლოგიური შეცდომის დაშვება ხდებოდა და ხდება დღესაც. არ ხდება იმის გათვალისწინება, რომ ქალაქი ეს არის სოციალური ერთეული, რომლის მართვაც განსხვავდება კომპანიის მართვისგან. სწორედ ამან გამოიწვია ბევრი სერიოზული გაუთვალისწინებელი შეცდომა როგორც თეორიაში, ასევე პრაქტიკაში. ფაქტია, რომ ქართულ სინამდვილეში ხდება ქალაქის ქაოტური განვითარება. თანამედროვე ეტაპზეც კი მეორდებოდა ის შეცდომები, რომლებიც დაიშვა გასულ საუ-

კუნეში, როცა ქალაქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი წინაღობა იყო ვინროპიროვნული თუ ჯგუფური ინტერესები. სამინისტროებისა და წარმოებების წინ არსებულ პრობლემებზე ორიენტირებულებს არ სურდათ მიეღოთ მონაწილეობა ქალაქის სოციალური მიზნების განხორციელებაში.

ქალაქის მმართველობა წარმოადგენს მართვის სტრატეგიული კურსის შემუშავება-რეალიზაციას და განვითარების ძირითადი პრიორიტეტების განსაზღვრას. ის ეფუძნება მეტ საჯაროობას, მოქალაქეთა მეტ ჩართულობას ქალაქის მართვის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ქალაქის სტრატეგიული მართვის ჩარჩოები ითვალისწინებს ისეთი დოკუმენტების შემუშავებას, როგორცაა ქალაქის ინფრასტრუქტურული განვითარების პერსპექტივაზე დაყრდნობილი კონცეფცია, საშუალო პერიოდული განვითარების კომპლექსური პროგრამა, მსხვილი საინვესტიციო პროექტების განხორციელება და ა.შ.

არსებობს ქალაქის მართვის სისტემის განსაზღვრის სხვადასხვა მიდგომები. არსებული მეთოდები ორიენტირებულია მხოლოდ სტრატეგიული განვითარების გეგმების შემუშავებაზე და არა სტრატეგიული მართვის ახალი პრინციპების და მექანიზმების შემუშავებაზე. სამწუხაროდ, ხშირად არსებობს მსხვილი კომპანიის სტრატეგიული მართვის მე-

თოდოლოგიის ქალაქის სტრატეგიული განვითარებისათვის გამოყენების პრაქტიკა.

ქალაქის მართვისა და სხვადასხვა მიდგომების საკითხების შესწავლა აჩვენებს, რომ ქალაქის მართვის სისტემის მნიშვნელოვან ხაზად შეიძლება მივიჩნიოთ მისი სტრუქტურულ-ორგანიზაციული ფორმა, მართვის თავისებურებები და განვითარების პრიორიტეტები. შესაბამისად, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქალაქის მართვის სისტემაში სუბიექტია მუნიციპალური ხელმძღვანელობა. თვითონ ქალაქის ადმინისტრაცია მართვის ობიექტს წარმოადგენს. ქალაქის მართვის სისტემის მოდელს გააჩნია პრინციპული განსხვავებები კომერციული ორგანიზაციების და სახელმწიფო ორგანოების მართვისაგან.

მართვის მთლიანი პროცესი ხორციელდება განხილვადი სისტემის ჩარჩოებში, ხოლო ელემენტები, რომლებიც არ შედის მასში, მაგრამ ახორციელებს მასზე ზეწოლას, ქმნის შიდა გარემოს. მართვის ობიექტი არ შეიძლება იყოს ერთსა და იმავე სისტემაში მართვის სუბიექტი.

ქალაქის მართვის სისტემა შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთშეთანხმების პროცესი მართვის სისტემის მიზნების მისაღწევად. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია განისაზღვროს, თუ რა უნდა ჩაითვალოს მართვის სისტემად და რა გარემოდ.

ქალაქის გარემო, როგორც მართვის სისტემა, რთულ სტრუქტურას ფლობს. ერთი მხრივ, თვითონ დასახლება წარმოადგენს მოსახლეობის სოციალიზაციის გარემოს. მეორე მხრივ, საკუთრივ დასახლებას გააჩნია შიდა და გარე გარემო. ქალაქი არის უფრო მაღალი დონის სისტემის (სახელმწიფოს) ქვესისტემა, აღიქვამს ამ ქვესისტემას როგორც შიდა გარემოს.

ქალაქის მართვის მექანიზმები, რომლებიც საქართველოში არსებობენ, შეიძლება ითქვას, არ არის გათვლილი მოსახლეობასა და ქალაქის ადმინისტრაციას შორის პირდაპირი ურთიერთობისთვის. არადა, ზოგადად, საჯარო მართვა უნდა განიხილებოდეს, როგორც მისაღები და სარეალიზაციო გადაწყვეტილებების ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავენ ქალაქის, მისი ელემენტების, ინსტიტუტებისა და მოსახლეობის მიმდინარე და მომავალ რეალურ კეთილდღეობას. მისი არსი კი უნდა მდგომარეობდეს საჯარო მართვის ორგანიზაციულ, სამართლებრივ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვა სახის ადმინისტრირების და უზრუნველყოფი ინსტრუმენტების ფართო სპექტრის შექმნაში, რეალიზაცია და უზრუნველყოფაში.

სისტემური, სტრატეგიულად ორიენტირებული, ქალაქის გარემოს განვითარება საშუალებას იძლევა გათვალისწინებულ იქნეს ყველა ის ფაქტორი, რომელიც ქალაქის გან-

ვითარების დინამიკაზე მოქმედებს. თუმცა, სტრატეგიული დაგეგმარება, თუ ის არ არის სტრატეგიული მართვის ნაწილი, ნაკლებეფექტურია.

თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო და უფრო იზრდება სხვადასხვა ზომისა და განვითარების დონის ქალაქების სტრატეგიული მართვის არსის მნიშვნელობა. ქალაქის სტრატეგიული მართვა არის მდგრადი განვითარების კონცეფციის ლოგიკური განვითარება, რომელიც მიმართულია არა მხოლოდ არსებულის შენარჩუნებისკენ, არამედ მომავალში ქალაქის გადარჩენისკენ.

ქალაქის საჯარო მართვის განხორციელებისას, საჯარო ადმინისტრაციის ორგანოები აწყდებიან ისეთ ურთულეს პრობლემებს, როგორცაა ქალაქის განვითარების ტემპებზე და მიმართულებებზე სახელმწიფო პოლიტიკის ზემოქმედების პრაქტიკული შეფასების უკმარისობა, ვინაიდან ასეთი ობიექტის საჯარო მართვას ახასიათებს მათ მიერ დეტერმინირებული რთული პროცესები, რაც გამოიხატება მართვადი სუბიექტების არასწორ რეაგირებაზე მათზე ზემოქმედების საპასუხოდ.

საქართველოში დღემდე გრძელდება მართვის ორგანიზაციის სტრუქტურის შერჩევითობა და აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია დავახასიათოთ ქალაქის სტრატეგიული მართვის უმთავრესი პრინციპები, რომლებსაც სამი შემადგენლობა აქვს, კერძოდ, ობიექტი << მექანიზმი << სუბი-

ექტი. აღნიშნულ პრინციპებში კარგად ჩანს ქალაქის სტრატეგიული მართვის ძირითადი თავისებურებებიც.

I პრინციპი: რთული ანთროპოგენული და სოციალური ხასიათის ობიექტი არის პირველადი, ხოლო მართვის სუბიექტები - მეორადი. უმსხვილესი ქალაქები, წარმოადგენენ რა მართვის რთულ ობიექტს, ბევრ შემთხვევაში განსაზღვრავენ ორგანიზაციულ სტრუქტურასა და მათი მართვის მექანიზმებს. ამიტომ ამ ობიექტების განვითარების თავისებურებები საჭიროა მუდმივად, ყოველმხრივ და ღრმად შევისწავლოთ.

გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან მოყოლებული მიღებულია პრაქტიკაში, რომ ქალაქის მნიშვნელობა/განაშენიანება, ეს არის როგორც ტერიტორია წარმოების განთავსებისა და მასში დასაქმებულების დასახლებისთვის. ასეთი ვიწრო გაგების შედეგად, მიუხედავად ქალაქების სწრაფი მშენებლობისა, არ შეიქმნა ქალაქის შესახებ მეცნიერება და არ ჩამოყალიბდა საკუთრივ ქალაქის მართვის მეცნიერული საფუძვლები.

II პრინციპი: მართვის სუბიექტმა უნდა გაიაზროს და თავისი ობიექტის დელიმიტირება მოახდინოს, როგორც ერთიანის და ავტონომიურის. უმსხვილესი ქალაქების ფუნქციების ღიაობა და სიდიდე ქმნის დელიმიტაციისა და ობიექტის მართვის მუდმივ პრობლემას. უმსხვილეს ქალაქებში ტერი-



ტორიების ბუნებრივი საზღვრები არ არსებობს, ვინაიდან ისინი არამხოლოდ მუდმივად ზრდიან საკუთარ ტერიტორიებს, არამედ გააქვთ ქალაქის ახლო ტერიტორიებზე მათი ფუნქციები და ამ ფორმით ახორციელებენ აგლომერაციას.

ქალაქის აგლომერაცია - ეს არის მთლიანი ავტონომიური ობიექტი, რომელიც ფუნქციონირებს მოსახლეობის თანაცხოვრების ციკლში, და ის მიღებულია მსოფლიო პრაქტიკის საფუძველზე როგორც ქალაქის მართვის ობიექტი. მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან აგლომერაციას იკვლევენ და შესაბამის პროგნოზებსაც აკეთებენ, იკვლევა და პროგნოზირდება გაეროს შესაბამისი სტრუქტურები.

III პრინციპი: შედეგზე ორიენტირებული მართვა მოითხოვს, რომ ობიექტი უფრო მჭიდროდ გამოიხატებოდეს მართვის სუბიექტებში. ცნობილია, რომ თუ მართვის სისტემა ზედმეტად გამარტივებულია, მას არ შეუძლია მიზანმიმართულად იმოქმედოს ობიექტზე. სწორედ საბჭოთა საქართველოს ქალაქებისთვის იყო დამახასიათებელი ასეთი გამარტივებული მართვა, ვინაიდან მოქალაქეებს არ მიუწვდებოდათ ხელი ხელისუფლების გადანყვეტილებებში მოაწილეობაზე; რაიონული მმართველობა ნაკლებად ეფექტური იყო მოსახლეობის დიდი რიცხვის გამო (100 000-ზე მეტი მოსახლე); აგლომერაციის მნიშვნელობა და მმართველობა არ არსებობდა.

IV პრინციპი: რთული ხასიათის ობიექტის სტრუქტურა იერარქიულია. ქალაქები ფლობენ რამდენიმე სახის სოციალურ ორგანიზაციებს, კვარტალებიდან დაწყებული აგლომერაციით დამთავრებული, რომლებიც ასრულებენ ქალაქის ფუნქციებს. ეს იერარქიულობა მოითხოვს მართვის ადეკვატურ იერარქიულობას. თუმცა, მსოფლიო გამოცდილებამ - მართვა როგორც საქმიანობა, რომელიც ხასიათდება საკუთარი სტრუქტურის თვითორგანიზებით, შეიმუშავა ქალაქის მართვის ინსტიტუციონალური ორგანიზაციის ოპტიმუმი, შეზღუდული, როგორც წესია, 3-5 დონით.

V პრინციპი - დამატებითი - ის უზრუნველყოფს მართვადი სისტემის იერარქიის შემცირებას და მართვის სუბიექტების ობიექტებთან შეთავსებადობას. ეს პრინციპი ცნობილია სხვა ფუნდამენტალურ მეცნიერებებშიც და სისტემის თეორიაშიც, სამწუხაროდ, არ შემუშავდება სოციალური ხასიათის მქონე სისტემების მართვაში, თუმცა მისი მახასიათებლები ქალაქის რეალურ მართვაში იშვიათად არის ნათელი.

VI პრინციპი: ქალაქის მართვის მექანიზმი დეტერმინდება შიდა წრეში და გამოიხატება როგორც ადაპტირებადი სისტემა. ქალაქი, როგორც რთული სისტემა, საჭიროებს მართვის მექანიზმების ღრმა შესწავლას. ეს ცოდნა კრიტიკულად უნდა იღებდეს სხვა ქალაქების გამოცდილებას, გან-

საკუთრებით კი საზღვარგარეთის ქალაქების ფუნქციონირების კონკრეტულ მექანიზმებს. ასევე, ქალაქის სტრუქტურისა და მისი აგლომერაციის რეგულირების მეთოდების რანჟირებას.

VII პრინციპი: ქალაქის მართვის მექანიზმები თავსებადობაში უნდა იყოს რესურსებთან, პროგრამულ-საპროექტო დოკუმენტებთან, სამართლებრივ საფუძველთან და საინფორმაციო ბაზასთან. ქალაქის მართვის თანამედროვე მექანიზმები, რომელთა რიცხვიც იზრდება პრობლემების ზრდასთან ერთად, ქმედითი ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ზემოთხსენებული პირველი დონის მთავარი ბლოკები იქნება ურთიერთშეთანხმებული.

შედეგზე ორიენტირებული რომ იყოს ქალაქის მართვა, საჭიროა შესაბამისი საინფორმაციო ბაზა. ასევე მერს ხელთ უნდა ჰქონდეს არა უბრალო სტატისტიკა, არამედ, მაჩვენებლის უკიდურესი მინიმუმი, რომელიც აჩვენებს დესტრუქციული პროცესების მიზეზებს და შესაძლო შედეგებს. ვინაიდან ჯერ კიდევ არ შექმნილა ქალაქის კონსტრუქციული თეორია და მისი ფუნქციონირების დამაჯერებელი მოდელები, მსოფლიო პრაქტიკას არ შეუშუშავებია ასეთი მინიმუმი.

ქალაქის საინფორმაციო მოდელის მომწიფება მოიაზრებს მისი ინფორმაციის დამახასიათებელი სამი სახის ერ-

თიანობას: კარტოგრაფიული ანუ ვიზუალური, სტრატეგიული და ტექსტური.

ქალაქის მართვა შეიძლება მივიჩნიოთ ჩამოყალიბებულად საბოლოოდ, თუ მოქალაქეები და ორგანიზაციები მიიღებენ ინფორმაციას მათი მიკრორაიონების გეგმების, მერის ანგარიშების, მოქმედების, საკუთარი ქალაქის კოდექსის შესახებ ანუ ინტენსიურად იქნებიან ჩართული გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ზოგადად, ქალაქის მართვაში.

ამრიგად, რომ ქალაქის საჯარო მართვის განვითარება შესაძლებელია ოპტიმალური, ადაპტირებული მართვის სოციალური და ინსტიტუციონალური მექანიზმების ჩამოყალიბებით, მისი სწორი მართვით და ქმედითობის ამაღლებით, ქალაქის განვითარების და მართვის სტრატეგიული გეგმის რეალიზაციის კომპლექსური ორგანიზაციულ-ტექნოლოგიური უზრუნველყოფით.



**Giga Phartenadze**  
**Irakli Manvelidze**

**The strategic principles of the city governance**

Summary

The modern practice of Georgia shows that the city governing process and its social development have not been carried out for a specific reason due to many methodological mistakes taken place before and now. It has not been taken into consideration that the city is a social segment and its governing process differs from the company one. This provoked many serious, unforeseen mistakes in theory and practice as well.

The city governance implies to develop and realize the strategic course of the governance and determine the priorities of major development. It is based on more publicity and involvement in the process of the city governance and solutions. The strategic ways of the city takes into account documents such as the conception based upon the development of the city infrastructure, the complex program of average periodic development, implementation of a large-scale projects and etc.

The selection of the structure of organizational management is still kept in Georgia. Hence, the article deals with the main principles of the city governance covering three components, in particular object-mechanism-subject. Above mentioned principles clearly depict the peculiarities of the city governing process.

The development of civil governing process of the city can be implemented by forming social and institutional mechanisms of adapted and optimal governance, raising its effectiveness and realizing the strategic plan of the city development by means of complex organizational-technological maintenance.

გამოყენებული ლიტერატურა

კანდელაკი კ., ლოსაბერიძე დ., მელაშვილი ი., შ. თენგიზ, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის განვრცობილი კონცეფცია, გამომცემლობა „ნეკერი“, თბ., 2012

Norton A. International Handbook of Local and Regional Government. A Comparative Analysis of Advanced Democracies, Cheltenham: Edward Elgar, UK, 1994.

„...“  
, 1997, 4, . 130.

...  
: - , ,  
2013, 8, C. 971-979.

... -  
:  
, - :  
, 2006, 2(28), . 65-70.

... ( ,  
) , ,, 1998.

... « » , 1999, 9, . 66-67.



- ... , - , 2002, 55 .
- 
- ... , 2005, 33 c.
10. ... , 1995. 79.
11. ...
- : ... , ..
- « ... », 2009, 104 .

მსოფლიო პოლიტიკა

World Policy

საფრანგეთის შიგა წინააღმდეგობის მოძრაობა:  
კონსოლიდაცია

*ზაზა ბურკაძე*

ფრანგი ხალხის განმათავისუფლებელმა ბრძოლამ, რომელიც ქვეყნის ოკუპაციისთანავე დაიწყო, უფრო დიდი მასშტაბი 1941-1942 წლების მიჯნაზე შეიძინა, რაც ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ მოქმედ წინააღმდეგობის მოძრაობათა შორის უშუალო კონტაქტის დამყარებით, გერმანული ჯარების მოსკოვთან განცდილი პირველი დიდი დამარცხებით, ამერიკის შეერთებული შტატების ომში ჩაბმით და 1942 წლის ზაფხულისათვის ანგლო-ამერიკული ძალების საფრანგეთში გადმოსხდომის მოლოდინით იყო განპირობებული. ამ მოვლენებმა ფრანგ პატრიოტებს ფაშისტური გერმანიის საბოლოო განადგურების კიდევ უფრო დიდი იმედი აღუძრა.

1942 წლის დამდეგიდან ფრანგი კომუნისტების მიერ შექმნილი წინააღმდეგობის მოძრაობის ყველაზე მძლავრი

ორგანიზაცია „ეროვნული ფრონტი“ და მისი შეიარაღებული ფორმირებები „ფრანტირერები და პარტიზანები“ მკვეთრად გააქტიურდნენ. ფრანგი კომუნისტები თვლიდნენ, რომ აღმოსავლეთის ფრონტზე დიდი რაოდენობით გერმანული სამხედრო შენაერთების გადასროლა (განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ფაშისტურმა სარდლობამ 1942 წლის ზაფხულში კავკასიის და სტალინგრადის მიმართულებით დიდი შეტევის თი ოპერაცია წამოიწყო), ოკუპირებულ საფრანგეთში წინააღმდეგობის მოძრაობის გაფართოვების და ანგლო-ამერიკული ჯარების გადმოსხდომის მომენტისათვის ამ მოძრაობის ეროვნულ აჯანყებაში გადაზრდის შესაძლებლობას ქმნიდა. საფრანგეთის კომუნისტურმა პარტიამ გაზეთ „იუმანიტეს“ მეშვეობით პარტიული კადრების, რიგითი კომუნისტების და სხვა პოლიტიკური შეხედულებების პატრიოტების მობილიზაციის და „ფრანტირერების და პარტიზანების“ რაზმებში მათი მასობრივი ჩართვის დიდი პროპაგანდისტული კამპანია წამოიწყო(8; გვ. 135). ამ პროპაგანდამ „ფრანტირერების და პარტიზანების“ ჯგუფების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა გამოიწვია, რის შედეგადაც მათი მიერ განხორციელებული სხვადასხვა ოპერაციების ინტენსიურობამაც იმატა. ეს ჯგუფები რომლებიც მოსახლეობასთან მჭიდრო კავშირის წყალობით სადაზვერვო ინფორმაციას იღებდნენ და ძალზედ სწრაფადაც მოძრაობდნენ, მთავარ დარტყმას სარკინიგზო, საავტომობილო და სამდინარო

ტრანსპორტზე ანხორციელებდნენ და პერიოდულად ოკუპანტთა სამხედრო გადაზიდვების პარალიზებას ახდენდნენ.

კომუნისტებთან ერთად წინააღმდეგობის მოძრაობის არაკომუნისტური ორგანიზაციებიც გააქტიურდნენ. 1942 წლის აპრილში ლონდონში მოქმედმა „თავისუფალი საფრანგეთის“ ლიდერმა გენერალმა დე გოლმა ოკუპირებული საფრანგეთის მოსახლეობას ნაციონალური აჯანყების მომზადებისაკენ მოუწოდა, რაც ქვეყნის განთავისუფლების წინაპირობა უნდა ყოფილიყო. როგორც „თავისუფალი საფრანგეთის“ მესვეურთა, ისე შიგა წინააღმდეგობის მოძრაობის ჯგუფების ხელმძღვანელთა აზრით ნაციონალურ აჯანყებას საფრანგეთში მოკავშირეთა გადმოსხდომისას ვიშის მთავრობის სწრაფი დამხობა, პოლიტიკურ უნესრიგობათა თავიდან აცილება და ძლიერი ადგილობრივი ხელისუფლების შექმნაც უნდა უზრუნველყო, რომელიც განთავისუფლებულ ტერიტორიებს გააკონტროლებდა. ამ დიდი ამოცანის გადაჭრისათვის ბუნებრივია „თავისუფალი საფრანგეთის“ და შიგა წინააღმდეგობის ორგანიზაციების ურთიერთკონტაქტის გაღრმავება და ამ უკანასკნელთა შეკავშირება იყო აუცილებელი, რაც ჯერ კიდევ 1942 წლის დამდეგს დაიწყო მას შემდეგ, რაც გენერალ დე გოლის სპეციალური ემისარი ე. მულენი საფრანგეთში პარაშუტით საიდუმლოდ დაეშვა და შიგა წინააღმდეგობის ორგანიზაციების მოქმედების კო-

ორდინაციას და მათსა და „თავისუფალ საფრანგეთს“ შორის სისტემატიური კავშირის გაბმას შეუდგა (1; გვ. 78).

1942 წლის ზაფხულში შიგა წინააღმდეგობის მოძრაობის ერთ-ერთმა მძღავრმა ორგანიზაციამ „კომბამ“, რომელსაც ადვოკატ ჟ. რენუვენის მეთაურობით მცირერიცხოვანი შეიარაღებული ფორმირებები ყავდა, „თავისუფალი საფრანგეთის“ მიერ გამოგზავნილი იარაღის მეშვეობით ე. წ. „საიდუმლო არმიის“ ჩამოყალიბება დაიწყო. ამავე დროს „კომბამ“ სპეციალური სამსახურიც შექმნა, რომლის მიზანი ვიშისტურის ადმინისტრაციის მოხელეთა გადმოხირება და მათგან საიდუმლო ინფორმაციის მოპოვება იყო.

შიგა წინააღმდეგობის მოძრაობის გააქტიურებას ხელი იმანაც შეუწყო, რომ 1942 წლის ზაფხულისათვის პეტენის მთავრობის ავტორიტეტი მკვეთრად დაეცა. არცერთი ის დაპირება რაც მარშალმა მოსახლეობას ხელისუფლების სათავეში მოსვლის დროს მისცა არ შესრულებულა. საფრანგეთსა და გერმანიას შორის საბოლოო სამშვიდობო ხელშეკრულება გაფორმებული არ იქნა. ფრანგი ტყვე ჯარისკაცების დიდი უმრავლესობა ისევ გერმანიაში რჩებოდა. ვიშისტების მოლოდინის საწინააღმდეგოდ საფრანგეთმა გერმანიასთან თანამშრომლობისათვის ვერავითარი შეღავათი ვერ მიიღო. ოკუპანტებს ქვეყნიდან სულ უფრო დიდი რაოდენობით გაქონდათ ნედლეული, სურსათი და სამრეწველო ნაწარმი, რის შედეგადაც მოსახლეობის ცხოვრების პირობები უარესდე-

ბოდა.ხალხის დიდ უკმაყოფილებას ინვევდა ისიც, რომ ვი-  
შისტური პოლიცია ოკუპანტებთან მჭიდროდ თანამშრომ-  
ლობდა და მათთან ერთად ფრანგი პარტიზანების წინააღ-  
მდეგ ერთობლივ სამხედრო ოპერაციებს ანხორციელებდა.  
საზოგადოების აღშფოთება კიდევ უფრო გაძლიერდა მას  
შემდეგ, რაც 1942 წლის აპრილში გერმანელთა ზენოლის შე-  
დეგად მარშალმა პეტენმა ვიცე-პრემიერის პოსტზე კვლავ პ.  
ლავალი დანიშნა. ამ უკანასკნელმა კი მაშინვე განაცხადა,  
რომ მას ომში გერმანიის გამარჯვება სურდა, რადგან წინა-  
აღმდეგ შემთხვევაში მსოფლიოში ბოლშევიზმი გაბატონდე-  
ბოდა(7; გვ. 194). მთავრობაში გერმანიასთან თანამშრომლო-  
ბის თავგამოდებული მომხრის, ლავალის დაბრუნებამ, რო-  
მელსაც ფრანგი პატრიოტები ერის მოლაღატედ მიიჩნე-  
დნენ, შიგა წინააღმდეგობის ორგანიზაციების მესვეურთა  
დიდი გაღიზიანება გამოიწვია. მაგრამ ყველაზე უფრო დიდი  
დარტყმა ვიშის მთავრობის პრესტიჟს იმან მიაყენა, რომ  
1942 წლის სექტემბერში ოკუპანტთა ზენოლით მან მიიღო  
კანონი შრომითი ვალდებულების შესახებ, რომელიც 18-  
იდან 50 წლამდე მამაკაცების და 21-იდან 35 წლამდე ქალე-  
ბის გერმანიაში დეპორტაციას ითვალისწინებდა და მათ სამ-  
ხედრო მრეწველობაში ყველანაირი სამუშაოების შესრულე-  
ბის მოვალეობას აკისრებდა.

ვიშის მთავრობის ზემოთაღნიშული ნაბიჯებით გამოწ-  
ვეულმა საყოველთაო აღშფოთებამ გენერალ დე გოლის

ნარმომადგენელს ჟ. მულენს შიგა წინააღმდეგობის ორგანიზაციების შეკავშირების ძალზედ ხელსაყრელი პირობები შეუქმნა. საფრანგეთში დაბრუნებულმა მულენმა საკმაოდ სწრაფად შეძლო სამხრეთის ზონის წინააღმდეგობის მოძრაობის ხელმძღვანელებთან კონტაქტის დამყარება. ჯერ იგი „კომბას“ ხელმძღვანელებს ა. ფრენეს, ფ. დე მანტონს და ჟ. ბიდოს, შემდეგ კი „ლიბერასიონ სიუდის“ და „ფრანტიერის“ ლიდერებსაც შეხვდა. მულენი მათ ფინანსურ მხარდაჭერას და ლონდონთან კავშირს დაპირდა. თავისი ფინანსური ფონდის ნახევარი მულენმა „კომბას“ გადასცა. გარკვეული თანხები „ლიბერასიონ სიუდმა“ და „ფრანტიერმაც“ მიიღეს. აგრძელებდა რა რეგულარულ შეხვედრებს წინააღმდეგობის ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან, მულენი ამ უკანასკნელთ არწმუნებდა, რომ თავიანთი ცალკეული დიდმასშტაბიანი ოპერაციები თანდათანობით ლონდონთან სულ უფრო მეტად შეეთანხმებინათ და საბოლოოდ იმ გეგმის ფარგლებში ემოქმედათ, რომელიც საფრანგეთში გადმოსხდომის მომენტში ანგლო ამერიკული სარდლობის და „თავისუფალი საფრანგეთის“ ხელმძღვანელობის მიერ იქნებოდა შემუშავებული.

შიგა წინააღმდეგობის მოძრაობის კონსოლიდაციის საქმეში მეტად დიდი მნიშვნელობა ქონდა მულენის მიერ შექმნილ სპეციალურ ორგანიზაციებს, რომელთა შორის მთავარი იყო უშუალოდ მისი ხელმძღვანელობით 1942 წლის

გაზაფხულიდან მოქმედი „საჰაერო და საზღვაო ოპერაციების სამსახური“. ეს ორგანიზაცია რომელსაც რადიოსადგურები ქონდა, წინააღმდეგობის მოძრაობასა და ლონდონს შორის უშუალო კავშირს ანხორციელებდა. იგი ქმნიდა საიდუმლო აეროდრომებს, რომელთა მეშვეობითაც ხდებოდა ლონდონიდან ფინანსური სახსრების და სამხედრო ტვირთების მიღება, რაც შემდეგ სამხრეთის ზონის წინააღმდეგობის ორგანიზაციებს შორის ნაწილდებოდა.

ასევე მნიშვნელოვანი იყო „ინფორმაციის და პრესის ბიურო“, რომელსაც ჟ. ბიდო ხელმძღვანელობდა და რომელიც ერთი მხრივ ოკუპირებულ ქვეყანაში ლონდონიდან გამოგზავნილ პროპაგანდისტულ მასალას ავრცელებდა, ხოლო მეორე მხრივ „თავისუფალი საფრანგეთისათვის“ საინტერესო სადაზვერვო ინფორმაციას აგროვებდა. ეს ორგანიზაცია, რომელიც გამოცდილი ჟურნალისტებით იყო დაკომპლექტებული და რომელსაც წინააღმდეგობის ყველა ორგანიზაციასთან ქონდა კავშირიგენერალ დე გოლს მეტად ძვირფას ცნობებს აწვდიდა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ორგანიზაცია „კვლევის გენერალური კომიტეტი“ იყო, რომელსაც სათავეში „კომბას“ ერთ-ერთი ლიდერი პ. ტეტჟენი ედგა. ეს ორგანიზაცია საფრანგეთში მოკავშირეთა შემოჭრის შემდეგ ვიშის მთავრობის დამხობის გეგმების შედგენით და იმ პოლიტიკოსთა



კადრების შერჩევით იყო დაკავებული, რომელთაც განთავისუფლებულ ქვეყანაში დემოკრატიული რეჟიმის აღდგენა უნდა უზრუნველყოთ.

მულენის გავლენა სამხრეთის ზონის წინააღმდეგობის ორგანიზაციებზე თანდათანობით იზრდებოდა, რაც მათ „თავისუფალი საფრანგეთის“ კონტროლქვეშ აქცევდა.

წინააღმდეგობის ორგანიზაციების კონსოლიდაციის ტენდენციები გაჩნდა ჩრდილოეთის ზონაშიც, სადაც აქტიურად საქმიანობდა გენერალ დე გოლის კიდევ ერთი წარმომადგენელი ჟ. რენო (ფსევდონიმი პოლკოვნიკი რემი). აგროვებდა რა სადაზვერვო ინფორმაციას, რემი ჩრდილოეთის ზონის წინააღმდეგობის მოძრაობის წარმომადგენლებსაც ხვდებოდა. 1942 წლის დამდეგს იგი „ლიბერასიონ ნორის“ და „სამოქალაქო და სამხედრო ორგანიზაციის“ ხელმძღვანელებს შეხვდა და მათ საკმაოდ დიდი ფინანსური სახსრები გადასცა. ეს უკანასკნელნი კი დათანხმდნენ, რომ „თავისუფალი საფრანგეთისთვის“ მათ მიერ მოპოვებული სადაზვერვო ცნობები მიეწოდებინათ.

გენერალ დე გოლის დავალებით პოლკოვნიკმა რემიმ კონტაქტიკომუნისტურ პარტიასთანაც დაამყარა. დე გოლს კარგად ესმოდა, რომ კომუნისტური პარტიის მიერ შექმნილ „ეროვნულფრონტზე“ (რომელიც მთელი წინააღმდეგობის მოძრაობის გაერთიანებას ესწრაფვოდა) და მისი ყველაზე უფრო მრავალრიცხოვან შეიარაღებულ ფორმირებებზე

„ფრანტირებზე და პარტიზანებზე“ კონტროლის დამყარება „თავისუფალი საფრანგეთის“ ეგიდით მთელი პატრიოტული ძალების შეკავშირების მნიშვნელოვანი წინაპირობა იქნებოდა.

ჟ. მულენის და პოლკოვნიკ რემის გარდა წინააღმდეგობის მოძრაობის შეკავშირებაში მნიშვნელოვანი როლი ორგანიზაცია „ლიბერასიონ ნორის“ ერთ-ერთმა დამაარსებელმა სოციალისტმა კ. პინომაც ითამაშა. 1942 წლის მარტში იგი ლონდონში ჩავიდა და დე გოლთან ერთადინგლისის მთავრობის წარმომადგენლებსაც შეხვდა, რომელთაც განუცხადა, რომ ფრანგული წინააღმდეგობის მოძრაობა თავის მეთაურად გენერალ დე გოლს აღიარებდა (8;გვ. 158). „თავისუფალი საფრანგეთის“ ხელმძღვანელებს პინო (რომელსაც ეს საკითხი „კომბას“ და „ლიბერასიონ სიუდის“ ლიდერებთან ა. ფრენესთან და ე. დასტიე დე ლა ვიჟერისთან წინასწარ ქონდა შეთანხმებული) დაპირდა, რომ იგი ყველა საშუალებით ეცდებოდა, ჩრდილოეთის ზონაში და მთელ საფრანგეთში მოქმედი წინააღმდეგობის ორგანიზაციები გენერალ დე გოლისათვის დაექვემდებარებინა. თუმცა პინოს აზრით ამ პროცესის დაჩქარებისათვის „თავისუფალი საფრანგეთის“ ლიდერს თავისი პროგრამა განთავისუფლებულ საფრანგეთში დემოკრატიული რეჟიმის აღდგენის შესახებ (რომელიც გენერალმა ლონდონის რადიოთი ჯერ კიდევ 1941

ნლის შემოდგომაზე გაახმოვანა (4; გვ. 353)) ამჯერად ერთიანი დოკუმენტის\_მანიფესტის სახით უნდა ჩამოეყალიბებინა. ეს მანიფესტი პინოს მონაწილეობით იქნა შედგენილი. 1942 წლის ზაფხულში იგი დე გოლმა რადიოთი თავის გამოსვლაში წარმოადგინა, ხოლო შემდეგ ეს მანიფესტი ფრანგულმა არალეგალურმა პრესამაც გამოაქვეყნა.

ამ მანიფესტის გამოქვეყნების შემდეგ, რომელმაც წინააღმდეგობის მოძრაობის ლიდერებს გენერლის პიროვნების და მისი პოლიტიკური მიზნების შესახებ უკანასკნელი ეჭვები გაუფანტა, პატრიოტული ძალების „თავისუფალი საფრანგეთის“ ირგვლივ გაერთიანების პროცესი დაიწყო. ჟ. მულენის, კ. პინოს, ე. დასტიე დე ლა ვიჟერის, პ. ბროსოლეტის (ეს უკანასკნელი 1942 წლის დამდეგს გერმანელთა მიერ წინააღმდეგობის ერთ-ერთი ჯგუფის „ადამიანის მუზეუმის“ განადგურების შემდეგიმავე წლის გაზაფხულზე ლონდონში ჩავიდა და „თავისუფალი საფრანგეთის“ წევრი გახდა) ძალისხმევით წინააღმდეგობის ორგანიზაციები გენერალ დე გოლს მხარდაჭერას უცხადებდნენ. დე გოლს დიდი დახმარება გაუწია სოციალისტთა ლიდერმა ლ. ბლიუმმა(იგი ვიშის მთავრობამ 1940 წლის სექტემბერში დააპატიმრა), რომელმაც ციხიდან საიდუმლოდ ლონდონში წერილის გაგზავნა შეძლო. ამ წერილში ბლიუმი გენერალს არამარტო წინააღმდეგობის მოძრაობის მეთაურად აცხადებდა, არამედ ომის-

შემდგომი გარდამავალი მთავრობის ხელმძღვანელადაც მოიაზრებდა. დე გოლისთვის ასევე მეტად მნიშვნელოვანი იყო 1942 წლის ზაფხულში ე. დასტიე დე ლა ვიჟერის პროპაგანდისტული მოგზაურობა ამერიკის შეერთებულ შტატებში. თავის გამოსვლებში იგი ამერიკელ საზოგადო პოლიტიკურ მოღვაწეებს არწმუნებდა, რომ გენერალი დე გოლი მთელი ფრანგული წინააღმდეგობის მოძრაობის სიმბოლო იყო და მის გარეშე ოკუპირებულ ქვეყანაში მოქმედი პატრიოტული ძალების გაერთიანება ვერ მოხდებოდა.

1942 წლის შემოდგომაზე წინააღმდეგობის მოძრაობის გაერთიანების პროცესი რეალურად გამოიკვეთა. ლონდონიდან მულენმა ორერთიანი ამოცანის გადაჭრის დავალებამიიღო. მას უნდა გაერთიანებინა სამხრეთის ზონის წინააღმდეგობის ორგანიზაციების შეიარაღებული ფორმირებები და ამავე დროს ეს ორგანიზაციები „მებრძოლი საფრანგეთის“ (1942 წლის ივნისში „თავისუფალ საფრანგეთს“ „მებრძოლი საფრანგეთი“ ეწოდა) კონტროლქვეშ მოექცია (3; გვ. 268). მან ამ საკითხზე „კომბას“ „ლიბერასიონ სიუდის“ და „ფრანტიერის“ ხელმძღვანელებთან შეთანხმება შეძლო. ოქტომბერში „კომბას“ და „ლიბერასიონ სიუდის“ ლიდერები ა. ფრენე და ე. დასტიე დე ლა ვიჟერი ლონდონში ჩავიდნენ და დე გოლთან სპეციალურ დოკუმენტს მოაწერეს ხელი, რომლის მიხედვითაც სამხრეთის ზონის სამივე ზემოთაღნიშნული ორგანიზაცია „მებრძოლი საფრანგეთის“ დაქვემ-

დებარებაში გადადიოდა.გადაწყდა, რომ სამხრეთის ზონაში წინააღმდეგობის მოძრაობის მეთაურები საკოორდინაციო კომიტეტს შექმნიდნენ, რომელსაც სათავეში ჟ. მულენი ჩაუდგებოდა. ამ კომიტეტის ხელმძღვანელობის ქვეშ მთელი წინააღმდეგობისმოძრაობის შეიარაღებული ფორმირებები გაერთიანდებოდნენ და ე. წ. „საიდუმლო არმიას“ შექმნიდნენ. ამ არმიას სათავეში ფრენეს ინიციატივით გენერალი დელესტრენი უნდა ჩადგომოდა, რომელმაც უარყო ვიშის მთავრობასთან თანამშრომლობა და რომელსაც წინააღმდეგობის მოძრაობასთან საიდუმლო კავშირი ქონდა. დე გოლი, რომელიც ომამდე ქალაქ მეცში გენერალ დელესტრენის სატანკო ბრიგადაში მსახურობდა, ამ ინიციატივას დათანხმდა. „მებრძოლი საფრანგეთი“ „საიდუმლო არმიის“ დაფინანსების და იარაღით მომარაგების ვალდებულებას იღებდა.

წინააღმდეგობის მოძრაობის განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა იმან, რომ 1942 წლის 8 ნოემბერს ანგლო-ამერიკული ძალები ჩრდილოეთ აფრიკაში საფრანგეთის კოლონიებში ალჟირსა და მაროკოში გადასხდნენ. აქ მყოფი ვიშისტური საფრანგეთის კოლონიური არმია და კოლონიური ადმინისტრაცია ადმირალ დარლანის მეთაურობით ხანმოკლე წინააღმდეგობის შემდეგ მოკავშირეთა მხარეზე გადავიდა. ამის საპასუხოდ გერმანიის ჯარებმა სამხრეთ საფრანგეთის ოკუპირებაც მოახდინეს და ვიშის მთავრობის არმიაც განაიარაღეს. ვიშის რეჟიმი, რომელმაც თავისი ილუზორუ-

ლი სუვერენიტეტის ნიშნებიც (მის მიერ მართული ტერიტორია და არმია) დაკარგა, საბოლოოდ იქნა დისკრედიტირებული. საფრანგეთთან ახლოს მის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან კოლონიაში ალჟირში თავისუფალი ფრანგული ადმინისტრაციის შექმნა (რომელიც საკმაოდ დიდ შეიარაღებულ ძალებს აკონტროლებდა), აგრეთვე ისიც, რომ დეკემბრიდან, დარლანის მკვლელობის შემდეგ, ამ ადმინისტრაციის ახალ ხელმძღვანელს გენერალ ჟიროსა და გენერალ დე გოლს შორის ურთიერთთანამშრომლობის და შესაბამისად კოლონიურ იმპერიაში მოქმედი მთელი ფრანგული ძალების გაერთიანების გარკვეული ტენდენცია გაჩნდა, საფრანგეთის შიგა წინააღმდეგობის მოძრაობის გაძლიერებისათვის დიდი სტიმული იყო. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ საკოორდინაციო კომიტეტის შექმნამდე, 9 ნოემბერს, როცა ალჟირში ამერიკულ სარდლობასა და ადმირალ დარლანს შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მოლაპარაკება მიმდინარეობდა, სამხრეთის ზონის წინააღმდეგობის ორგანიზაციებმა რადიოსადგურ ბიბისის მეშვეობით მოკავშირეთა მთავრობებს დეპეშა გაუგზავნეს, რომელშიც ისინი დაბეჯითებით მოითხოვდნენ, რომ მათ გენერალი დე გოლი განთავისუფლებული ჩრდილოეთ აფრიკის მმართველად ეცნოთ (3. გვ. 266). წინააღმდეგობის მოძრაობას უკვე უფრო დიდი რაოდენობით უერთდებოდნენ მუშები, ახალგაზრდები, ინტელიგენციის წარმომადგენლები. მასში ერთვებოდნენ ის პოლი-

ტიკური მოღვაწეებიც, რომლებიც ადრე პეტენის მთავრობის მიმართ ლოიალურად იყვნენ განწყობილნი.

წინააღმდეგობის მოძრაობის გაძლიერებაში დიდი როლი ითამაშა იმანაც, რომ რაც უფრო მეტად ფართოვდებოდა ვიშის მთავრობის მიერ ორგანიზებული ფრანგული მუშახელის გერმანიაში დეპორტაციის მასშტაბი, მით უფრო იზრდებოდა იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც დეპორტაციაზე თავის არიდების მიზნით ტყეებსა და მთებში გარბოდნენ. ე. წ. „მაკიზართა“ (ეს სახელწოდება წარმოდგება კორსიკული სიტყვისაგან „მაკი“, რაც ხშირ ბუჩქნარს ნიშნავს) შეიარაღებულ რაზმებს ქმნიდნენ და წინააღმდეგობის ორგანიზაციებთან კავშირს ამყარებდნენ. მართალია თავად მაკიზართა რაზმები იარაღის უკიდურესი ნაკლებობის გამო თავდაპირველად საომარ ოპერაციებს თითქმის ვერ აწარმოებდნენ მაგრამ მათი ჩართვა წინააღმდეგობის მოძრაობაში წინააღმდეგობის ორგანიზაციების სამხედრო ფორმირებებს ახალი, ამავე დროს ახალგაზრდა და ბრძოლისუნარიანი ძალებით ავსებდა, ამ მოძრაობის სოციალურ ბაზას აფართოებდა და მის საომარ პოტენციალსაც დიდად ამაღლებდა.

წინააღმდეგობის ორგანიზაციების შემადგენლობის რიცხოვნობრივ ზრდასთან ერთად მათი რაოდენობაც გაიზარდა. 1943 წლის დამდეგს ჩრდილოეთში პარიზის ფინანსური სამსახურის მუშაკმა ჟ. ლეკონტ-ბუანემ, სტუდენტმა იურისტმა პ. არიგიმ, ადვოკატმა მ. დებრემ ორგანიზაცია „სე დე

ლა რეზისტანსი“ დაარსეს. ამ პერიოდში დიდ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა „სე დე ლა ლიბერასიონი“, რომელიც ინჟინერ-მა მ. რიპოშმა პატარა ჯგუფის სახით ჯერ კიდევ 1940 წელს შექმნა.

აღსანიშნავია აგრეთვე „არმიის წინააღმდეგობის ორგანიზაცია“, რომელიც ვიშისტური არმიის დაშლის შემდეგ მისმა ოფიცერთა ნაწილმა დააარსა. მას ჯერ პეტენის სამხედრო მრჩეველი გენერალი ფრერი, ხოლო მისი დაპატიმრების შემდეგ ამ ყოფილი არმიის შტაბის უფროსი გენერალი რევერი ედგნენ სათავეში. ამ ოფიცერთა უმრავლესობა გენერალ ჟიროს მომხრე იყო. ბევრმა მათგანმა შემდეგ საიდუმლოდ ჩრდილოეთ აფრიკაში გაღწევა და ჟიროს ძალებთან შეერთება შეძლო.(5; გვ. 173).ეს ორგანიზაცია სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვებასთან ერთად პატრიოტულად განწყობილ სამხედროებთან კონტაქტის დამყარებით და სამობილიზაციო გეგმების შედგენითაც იყო დაკავებული, რათა მოკავშირეთა გადმოსხდომის მომენტში საფრანგეთში ოკუპანტთა წინააღმდეგ საომარი მოქმედება განახლებულიყო.

1943 წლის დასაწყისში წინააღმდეგობის თითქმის ყველა ორგანიზაციას თავისი შეიარაღებული ფორმირებები ყავდა, რომლებიც ოკუპანტთა ძალებზე, კომუნიკაციებზე და ობიექტებზე თავდასხმებს სულ უფრო ხშირად ანხორციელებდნენ. დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლა თანდათანობით საერთო სახალხო მოძრაობის ხასიათს იძენდა. 1943



ნლის 14 ივლისს მთელ საფრანგეთში ჩატარდა საზეიმო დემონსტრაციები. განსაკუთრებით მასობრივი ეს გამოსვლები პარიზის რაიონში, აგრეთვე სენასა და უაზის, ობის, კოტ დორის, მარნის, ნორის და პა დე კალეს დეპარტამენტებში იყო. განხორციელდა ჰიტლერულ გარნიზონებზე თავდასხმებიც. ამავე ივლისის თვეში პარტიზანებმა პარიზის სამხედრო კომენდანტი ფონ შაუმბურგი მოკლეს. ორი თვის შემდეგ მოკლული იქნა გერმანელი ოფიცერი რიტერი, რომელიც გერმანიაში ფრანგი მუშების დეპორტაციას კურირებდა. პარტიზანებმა ხელთ იგდეს და სიკვდილით დასაჯეს დიჟონის გესტაპოს უფროსი ვერნერი. სექტემბერშიმათ კრეზოს დიდი ელექტროსადგურიააფეთქეს, ხოლო შალონ სიურ სონის ელექტროსადგური მწყობრიდან გამოიყვანეს. ნოემბერში კი გრენობლში მთელი გერმანული საარტილერიო ნაწილი იქნა განადგურებული. დეპარტამენტები ორნი, ენი და დორდონი თითქმის მთლიანად იყო მოცული პარტიზანული მოძრაობით. ზემო სავოიის დეპარტამენტის მთებში პარტიზანთა მიერ კონტროლირებადი მთელი რიგი რაიონები გაჩნდა. აქ გერმანელებმა არაერთხელ გადაისროლეს სამხედრო ძალები, მაგრამ პარტიზანული მოძრაობის ლიკვიდაცია ვერ მოახერხეს (6; გვ. 263) (3; გვ. 255). პარტიზანთა რაზმები უკვე იმისთვისაც იყვნენ მზად, რომ ანგლო-ამერიკული ჯარების შემოჭრის დროს მათ შტაბთან და გენერალ დე გოლთან შე-

თანხმებით გერმანელთა ზურგში საკმაოდ ფართომასშტაბიანი ოპერაციები ეწარმოებინათ.

წინააღმდეგობის მოძრაობის კონსოლიდაციისათვის ძალზედ დიდი მნიშვნელობა ქონდა იმას, რომგენერალ დე გოლის ხელმძღვანელი როლი წინააღმდეგობის მოძრაობის ყველაზე ძლიერმა ორგანიზაციამ კომუნისტურმა „ეროვნულმა ფრონტმა“ აღიარა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ფრანგ კომუნისტთა წარმომადგენელი ფ. გრენიე 1943 წლის იანვარში ლონდონში გენერალ დე გოლს შეხვდა. მიღწეული იქნა შეთანხმება, რომ „ეროვნული ფრონტის“ სამხედრო ფორმირებები „ფრანტირეები და პარტიზანები“ ქვეყნის შიგნით პატრიოტული ძალების გაერთიანების და ნაციონალური აჯანყების მომზადების მიზნით „მებრძოლი საფრანგეთის“ დაქვემდებარებაში იმოქმედებდნენ (8; გვ. 193-194). მეტად მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ თავიანთი საქმიანობა განაახლეს ომამდელმა გავლენიანმა პოლიტიკურმა ძალებმა. 1943 წლის გაზაფხულზე დე გოლს სოციალისტთა წარმომადგენელი დ. მეიერი შეხვდა, რის შემდეგაც მალე მისი ხელმძღვანელობით 8 ნევრისაგან შედგენილისოციალისტური პარტიის იატაქვეშა აღმასრულებელი კომიტეტი შეიქმნა. ამავე პერიოდში მცირერიცხოვანი იატაქვეშა ორგანიზაციები რადიკალურმა პარტიამ, დემოკრატიულმა ალიანსმა და რესპუბლიკურმა ფედერაციამაც შექმნეს.

აღდგენილი იქნა ომამდე მოქმედი კათოლიკური სახალხო-დემოკრატიული პარტიაც, რომლის წევრებიც პოლიტიკურ ჯგუფ ახალგაზრდა რესპუბლიკის წევრებთან ერთად წინააღმდეგობის მოძრაობაში თავიდანვე ჩაერთნენ. მიუხედავად იმისა, რომ მაღალი სასულიერო წრეები პეტენის მთავრობას უჭერდნენ მხარს, ამ ორი კათოლიკური ორგანიზაციის წევრებმა წინააღმდეგობის ჯგუფების შექმნაში მიიღეს მონაწილეობა. ყველაზე უფრო დიდი გავლენა მათ „კომბაში“ ქონდათ (5; გვ.158). აღდგენილმა პარტიამ „ქრისტიან-დემოკრატთა“ სახელი მიიღო. მას სათავეში „კომბას“ წარმომადგენლები ფ. დე მანტონი, ა. ტეტუენი და ჟ. ბიდო ჩაუდგნენ.

ასეთ ვითარებაში წინააღმდეგობის მოძრაობის გაერთიანების პროცესი მკვეთრად დაჩქარდა. 1942 წლის 27 ნოემბერს ლიონში ჟ. მულენის თავმჯდომარეობით სამხრეთის ზონის საკოორდინაციო კომიტეტის პირველი სხდომა გაიმართა, რომელსაც „კომბას“, „ლიბრასიონ სიუდის“ და „ფრანტიერის“ ხელმძღვანელები ა. ფრენე, ე. დასტიე დელა ვიჟერი და ჟ. ლევი ესწრებოდნენ. მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ ამ ორგანიზაციებს თავიანთი შეიარაღებული ფორმირებები გაეერთიანებინათ. 1943 წლის 26 იანვარს კი ეს სამივე ჯგუფი ერთმანეთს შეუერთდა და მათ ერთიანი ორგანიზაცია „წინააღმდეგობის გაერთიანებული მოძრაო-

ბა“ შექმნეს, რომლის დაქვემდებარებაში უკვე გენერალ დელესტრენის მეთაურობით გაერთიანებული შეიარაღებული ძალები „საიდუმლო არმია“ იყო. მალე იმავე წლის გაზაფხულზე „საიდუმლო არმიის“ შემადგენლობაში კომუნისტური „ეროვნული ფრონტის“ და ჩრდილოეთის ზონის წინააღმდეგობის ორგანიზაციების სამხედრო ძალებიც შევიდნენ, თუმცა პოლიტიკურად ეს ორგანიზაციები ჯერ-ჯერობით „წინააღმდეგობის გაერთიანებულ მოძრაობას“ არ შეერთებია.

უნდა ითქვას, რომ „მებრძოლი საფრანგეთის“ ხელმძღვანელობას თავდაპირველად სურდა, რომ „საიდუმლო არმიას“ თავი რაც შეიძლებოდა მეტად შეეკავებინა ოკუპანტთა წინააღმდეგ საომარი ოპერაციების წარმოებისაგან და იგი უფრო მეტად მოკავშირეთა საფრანგეთში შემოჭრისას ნაციონალური აჯანყების განხორციელებისათვის მეთოდური მზადებით ყოფილიყო დაკავებული. მაგრამ ამას წინააღმდეგობის ორგანიზაციების ლიდერები კატეგორიულად უპირისპირდებოდნენ. ისინი თვლიდნენ, რომ მხოლოდ საომარ მოქმედებათა გააქტიურება აქცევდა შიგა წინააღმდეგობის მოძრაობას მასობრივ სახალხო მოძრაობად, მის მებრძოლებს გამოანართობდა და ნაციონალურ აჯანყებასაც რეალობად აქცევდა. დე გოლი მიხვდა, რომ ოკუპანტთა წინააღმდეგ პატრიოტული ძალების ბრძოლის აღმავლობის ვითარებაში „საიდუმლო არმიის“ უმოქმედობა შეუძლებელი

იქნებოდა და ეს „მებრძოლი საფრანგეთის“ ავტორიტეტსაც შეასუსტებდა. 1943 წლის 21 მაისს მან გენერალ დელესტრენს ღირეექტივა გაუგზავნა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ იგი „იზიარებდა დაუყოვნებელი მოქმედების პრინციპს და რომ აქციები უმეტესწილად წინააღმდეგობის ორგანიზაციების ინიციატივით განხორციელდებოდა“ (3; გვ. 270).

„წინააღმდეგობის გაერთიანებულ მოძრაობის“ და „საიდუმლო არმიის“ შექმნა დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იყო, მაგრამ „მებრძოლი საფრანგეთის“ მესვეურებს კარგად ესმოდათ, რომ ეს საკმარისი არ იყო. იმისათვის, რათა გენერალ დე გოლს აფრიკაში მოქმედი „მებრძოლი საფრანგეთის“ ძალების და გენერალ ჟიროს „აფრიკული არმიის“ გაერთიანება მოეხდინა და ალჟირში არამარტო ერთიანი სამხედრო ადმინისტრაცია, არამედ საფრანგეთის დროებითი მთავრობა შეექმნა (რასაც ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლება ეწინააღმდეგებოდა), საჭირო იყო ოკუპირებულ ქვეყანაში უფრო დიდი ორგანიზაციის შექმნა, რომელიც წინააღმდეგობის ყველა ძირითად ჯგუფს საბოლოოდ გააერთიანებდა და რომელშიც ანგლო-საქსონური პოლიტიკური წრეებისათვის ნაცნობი ფრანგული პოლიტიკური ძალები და მოღვაწეები იქნებოდნენ წარმოდგენილნი (3; გვ. 274). ასეთი ორგანიზაციის მხარდაჭერა დე გოლს საშუალებას მისცემდა როგორც გენერალ ჟიროსთან, ისე ამერიკის

შეერთებული შტატების მთავრობასთან მთელი ფრანგული საზოგადოების და პოლიტიკური სპექტრის სახელით ელაპარაკა და დაერწმუნებინა ისინი, რომ მისი ხელმძღვანელობით კოლონიურ იმპერიაში მოქმედი ყველა ფრანგული სამხედრო ძალის გამაერთიანებელი და ამავე დროს საფრანგეთის დროებითი მთავრობის ფუნქციის მქონე ორგანოს შექმნა მთელი ფრანგი ხალხის ნება იყო.

1943 წლის მარტიდან დე გოლის დავალებით ჟ. მულენმა წინააღმდეგობის ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიების და პროფკავშირების წარმომადგენლებთან ინტენსიური მოლაპარაკებები დაიწყო, რაც საბოლოოდ ამავე წლის მაისში წარმატებით დაგვირგვინდა. მაისის შუა რიცხვებში წინააღმდეგობის მოძრაობის საკოორდინაციო კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ შექმნილიყო „წინააღმდეგობის ეროვნული საბჭო“, რომელშიც წინააღმდეგობის მოძრაობის 8 ორგანიზაცია („სამოქალაქო და სამხედრო ორგანიზაცია“, „სე დე ლა რეზისტანსი“, „სე დე ლა ლიბერასიონი“, „ლიბერასიონ ნორი“, „კომბა“, „ფრანტირერი“, „ლიბერასიონ სიუდი“, „ეროვნული ფრონტი“), 6 პოლიტიკური პარტია (კომუნისტური პარტია, სოციალისტური პარტია, რადიკალთა პარტია, ქრისტიან-დემოკრატიული პარტია, დემოკრატიული ალიანსი, რესპუბლიკური ფედერაცია) და 2 პროფკავშირული გაერთიანება შრომის საყოველთაო კონფედერაცია და ქრისტიანულ პროფკავშირთა კონფედერაცია შევი-

დოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ორგანიზაცია ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი, მისი სახელით ჟ. მულენმა მოკავშირეთა მთავრობებს და გოლის მხარდამჭერი კიდეც ერთი მიმართვა გაუგზავნა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ „ფრანგი ხალხი გენერალ და გოლის გენერალ ჟიროზე დაქვემდებარებას არასოდეს არ შეეგუებოდა“ (3; გვ. 267).

1943 წლის 27 მაისს პარიზში საიდუმლოდ შედგა „წინააღმდეგობის ეროვნული საბჭოს“ პირველი პლენარული სხდომა, რომელზეც ამ ორგანიზაციის შექმნა გამოცხადდა. ამ სხდომაზე წინააღმდეგობის ორგანიზაციებს, პოლიტიკურ პარტიებს და პროფკავშირულ გაერთიანებებს წარმოადგენდნენ: კ. ბურდე, პ. კოპო, კ. პეტი („წინააღმდეგობის გაერთიანებული მოძრაობა“, რომელშიც „კომბა“, „ლიბერასიონ სიუდი“ და „ფრანტირერი“ შედიოდნენ), ჟ. სიმონი („სამოქალაქო და სამხედრო ორგანიზაცია“), შ. ლორანი („ლიბერასიონ ნორი“), რ. კოკუენ-ლენორმანი („სე და ლა ლიბერასიონი“), ჟ. ლეკონტ-ბუანე (სე და ლა რეზისტანსი), პ. ვიონი („ეროვნული ფრონტი“), ა. მერსიე (კომუნისტური პარტია), ა. ლე ტროკერი (სოციალისტური პარტია), ჟ. ბიდო (ქრისტიან დემოკრატები), მ. რიუკარი (რადიკალთა პარტია), ჟ. ლანიელი (დემოკრატიული ალიანსი), ჟ. დებიუ-ბრიდელი (რესპუბლიკური ფედერაცია), ლ. საიანი (შრომის საყოველთაო

კონფედერაცია), გ. ტესიე (ქრისტიანულ პროფკავშირთა კონფედერაცია) (3; გვ. 274-275).

ჟ. მულენმა სხდომის მონაწილეებს დე გოლის წერილი გააცნო, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ საფრანგეთი მალე თავის დემოკრატიულ უფლებებში იქნებოდა აღდგენილი. (5; გვ. 162). მულენმა ასევე განაცხადა, რომ ეს ორგანიზაცია, რომლის მიზანი ოკუპანტთა წინააღმდეგ დიდმასშტაბიანი საომარი ოპერაციების გაჩაღება და განთავისუფლების შემდეგ ქვეყანაში რესპუბლიკურ-დემოკრატიული რეჟიმის აღდგენა იყო, „მებრძოლი საფრანგეთის“ შემადგენელი ნაწილი იქნებოდა და გენერალ დე გოლის დირექტივებს დაექვემდებარებოდა. სხდომაზე მიღებული იქნა რეზოლუცია იმის შესახებ, რომ „წინააღმდეგობის ეროვნული საბჭო“ სრულ მხარდაჭერას უცხადებდა გენერალ დე გოლს და მოითხოვდა, რომ ალჟირში მისი ხელმძღვანელობით შექმნილიყო საფრანგეთის დროებითი მთავრობა, რომლის კონტროლქვეშ კოლონიურ იმპერიაში მოქმედი მთელი ფრანგული შეიარაღებული ძალები მოექცეოდნენ. რეზოლუციაში ასევე ნათქვამი იყო, რომ ამ ძალებს სათავეში ჩაუდგებოდა გენერალი ჟირო, რომელმაც ჩრდილოაფრიკული ფრანგული სამფლობელოების განთავისუფლების საქმეში დიდი წვლილი შეიტანა. (2; გვ. 328-329) (8; გვ. 203).



„წინააღმდეგობის ეროვნული საბჭოს“ შექმნა უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო. იგი არამარტო ოკუპირებულ საფრანგეთში არსებული მთელი პატრიოტული ძალების კონსოლიდაციას ახდენდა, არამედ ქვეყნის ფარგლებს გარეთ მოქმედი წინააღმდეგობის მოძრაობის როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური შეკავშირების ნიადაგსაც ამზადებდა.

### გამოყენებული ლიტერატურა

ბურკაძე ზ. საფრანგეთის შიგა წინააღმდეგობის მოძრაობა: პირველი ნაბიჯები, სოციალურ მეცნიერებათა საკითხები, IX, შრომების კრებული, თბილისი 2016.

სვანაძე ლ. შარლ დე გოლი, პოლიტიკური ბიოგრაფია, წიგნი პირველი, პრემიერი, ქუთაისი, 2008.

Jean-PierreAzéma. DeMunich à la Libération 1938-1944. Editions du seuil, 1979.

Арзаканян М. Ц., Ревякин А. В., Уваров П. Ю. История Франции. Москва, 2005.

. 1940-1955.<http://www.fedy-diary.ru/html/032013/0703013-02a.htm>

История Франции. В трехтомах. А. З. Манфред  
(ответственный редактор). Том 3. Москва, 1973.

Смирнов В. П. Новейшая история Франции. 1918-1975.  
Москва, 1979.

Смирнов В. П. Движение сопротивления во Франции в  
годы Второй мировой войны. Москва, 1979.

„

«

».

**Zaza Burkadze**

**France Internal Resistance Movement: Consolidation.**

Summary

The article deals with the existing during the World War II French consolidation of the movement against the German occupation and the collaborative politics of the Vichy puppet government, which set the stage for a large-scale national uprising and played an important role in the final liberation of France. The paper states the reasons for activating the movement of resistance and the maturation of the

circumstances, resulting in the subduing of the consolidation of the main resistance organizations forces and the existing French colonial empire organization, „The Fighting France” by General de Gaulle’s Emissary Zh. Mullen. The research analyzes the unification of patriot forces, political parties and trade unions headed by Zh. Mullen and the leaders of resistance movement organizations, which led from an internal resistance movement to a mass formation process. It was eventually crowned by the creation of a leading united organization, „National Council of Resistance”.

## ჩელები ერთი სამხედრო კამპანიის შესახებ

*კახაბერ სურგულაძე*

XVII ს-ისოსმალო მოგზაურის ევლია ჩელების (თურქ. Evliya Çelebi, 1611-1682 წწ.) ნაშრომი - „მოგზაურობათანიგნი“, რომელიც აღნიშნული პერიოდის ოსმალური სამყაროს



*ევლიაჩელები*

შესახებ უმნიშვნელოვანესი ისტორიოგრაფიულიწყაროა, დაცული არის ცნობა კაზაკების მხრიდან გონიოს ციხის დაუფლების შესახებ. „მოგზაურობათა ნიგნი“ აღნიშნული ფაქტი დაწვრილებით არის გადმოცემული და ვინაიდან ავტორი მოვლენების ეპიცენტრში იყო, ამიტომაც მისი მონათხრობს ოსმალურ-კაზაკურ-ქართული დაპირისპირების თაობა-

ზე, ტენდეციურობის მიუხედავად, მაინცპირველხარისხოვანი წყაროს მნიშვნელობა აქვს. ჩელები თავდაპირველად გადმოცემს კაზაკების მხრიდან ციხის დაუფლების ფაქტს და ამ ნიადაგზე განვითარებული მოვლენების ლოგიკურ გაგრძელებას - ოსმალების ლაშქრობას სამეგრელოს მხარეში.

ვინ არიან კაზაკები, საიდან გამოჩნდნენ ისინი საქართველოში და როდის დაეუფლნენ გონიოს ციხეს? სხვადასხვა ვერსიით „კაზაკი“ (Qazaq) თურქმანული, მონღოლური ანდა ინდოევროპული წარმოშობის სიტყვაა. პირველად იგი ნახსენები არის „მონღოლების საიდუმლო ისტორია“-ში(1240 წ.) და თავდაპირველად თავისუფალ, უბატონო კაცს, თავზეხელაღებულსდა ა.შ.ნიშნავდა [Энциклопедия, 2005:114]. მოგვიანებით ეს სიტყვა შეითვისა სლავურმა ენამ და კაზაკ-



*რეპინი – ზაპოროჟეელები*

ებად (უკრ. Козák; პოლ. - Kozak; რუს. Казак) უკრაინასა და რუსეთშიინოდებოდნენ გაქცეული გლეხები, რომლებიც სახლდებოდნენ განაპირა აუთვისებელ მიწებზე, სადაც ქმნიდნენ გასამხედროებულ თავისუფალ თემებს. ჰოლანდიელი დიპლომატი და მოგზაური ისააკ მასა (ნიდ. Isaac Abrahamszoon Massa, 1586-1643 წწ.) წერდა, რომ „კაზაკებში ძირითადად მიდიოდნენ თავიანთ ბატონებისგან გაქცეული მსახურები“ [Macca, 1937:43].

XV-XVII ს-ბში კაზაკების გასამხედროებული სტრუქტურები დიდ ძალას წარმოადგენდნენ. მათ აქტიურად იყე-

ნებდნე რეჩ პოსპოლიტას (პოლ. Rzeczpospolita Korony Polskiej i Wielkiego Księstwa Litewskiego, 1569-1795 წწ.), რუსეთის (რუს. Российская Империя) და სხვა სახელმწიფოები. კაზაკთა თემების თავის სამსახურში ჩააყენებით, ისინი მათ ლაშქარს იყენებდნენ საგარეო ომებში ახალი ტერიტორიების დაპყრობის საქმეში, ხოლო ქვეყნის შიგნით სხვადასხვა მღელვარება-გამოსვლების ჩასახშობად.

XVII ს-ის I ნახევარში კაზაკები (ზაპოროჟიელი...) აქტიურად ჩაებნენ შავ ზღვაზე მეკობრეობის სფეროში. ჩანს, გადამწყვეტი მაინც ობიექტური მომენტები იყო. საქმე იმაშია, რომ ოსმალების მხრიდან შავი ზღვის „შიდა ტბად“ გადაქცევის მცდელობამ კაზაკებს ზღვისკენ გასასვლელი გზა ჩაუკეტა. ოსმალების მხრიდან მეზობელი სახელმწიფოს თუ ხალხების მიმართ აგრესიის მნიშვნელობნად შემცირება შესაძლებელი იყო მხოლოდ პრევენციული დარტყმებით. შესაბამისად, კორსარობის გზით სიმდიდრის ხელში ჩაგდების გარდა კაზაკების საზღვაო ლაშქრობების ერთ-ერთი მიზეზი იყო სხვადასხვა ეროვნების ხალხების განთავისუფლება ოსმალთა უღლისგან. სწორედ ამ ჭრილში უნდა განვიხილოთ შავ ზღვაზე მათი ლაშქრობები. მარტო XVII ს-ის I მესამედში კაზაკებმა რამოდენიმეჯერ წარმატებული ლაშქრობები განახორციელეს ოსმალეთის ზღვისპირა ქალაქებსა და სოფლებზე. მაგ., 1632 წელს ზაპოროჟიელმა და დონელმა კაზაკ-

კებმა ქ.სინოპიც აიღეს, რაც მათი სიძლიერის დამადასტურებელი ფაქტი იყო. ვფიქრობთ, რომ სწორედ ასეთ ლაშქრობების ჭრილში უნდა განვიხილოთ მათი მხრიდან გონიოს ციხის აღება.

პრინციპში, ჩელებთან დაცული კაზაკების მხრიდან გონიოს ციხის დაპყრობის ისტორია ისტორიოგრაფიაში ნაცნობი ფაქტია (ს.როდონაია, ა.სურგულაძე, ზურაბ დათუაშვილი...). ამის მიუხედევად, ვფიქრობთ, რომ აღნიშნულ საკითხში არის რიგი მომენტები, რომლებიც კიდევ დაზუსტებას საჭიროებს. მაგ., გარკვევას საჭიროებს კაზაკების მხრიდან ციხის დაპყრობის მოტივი, დასაზუსტებელია მათი ეთნიკური საკითხი, ციხის აღების თარიღი, მებ-



გონიოს ციხე

რძოლთა რაოდენობა და ა.შ.

ჩელების ინფორმაციით, გონიოს ციხე კაზაკებს მოულოდნელად აუღიათ. მათ წინააღმდეგ „ათასი რჩეული შეიარაღებული მეომრით“ და დიდძალი მოხალისეებით გალაშქრებულა არზრუმის ვილაიეთის სერასკირი სეიდ აჰმედ ფაშა. უკანასკნელის დახმარება შვიდი ათასი მეომრით განუზრახავთ ყარსის ფაშას, ყარაჰისარისა და მანასკერტის ბე-



გებს, რომლებსაც თითოეულს ორი ათასი მებრძოლი ახლდათ. ჩელების ცნობით ტრაპიზონის ფაშას მათვის დამატებით „ათი შაჰი“ ზარბაზნით გაუგზავნია სამი ათასი კაცი. აღნიშნულ ლაშქარს გონიოს ციხის მახლობლად შეუერთდა ექვს ათასიანი ახალციხის საფაშოს რაზმიც, მოხალისე 3 000 ცხენოსანი (მეგრელი აზნაური - კ.ს.), ათასამდე ქვეითი მეთოფე და სხვა ქართველი დიდებულები [ჩელები, 1971:323]. სულ ასკერთა რაოდენობა 15 ათასი იყო [სურგულაძე, 1972:83].

ოსმალთა ლაშქარი თორთუმის ციხის მხრიდან მისულა გონიოს ციხესთან. მათ ისარგებლეს კაზაკთა გუშაგების უყურადღებობით, რომ ისინი უგონოდ მთვრალეები იყვნენ და უბრძოლველად დაეუფლნენ მათ 70 ხომალდს. შემდეგ, ოსმალებმა სამჯერ განახორციელეს ციხის მიმართულებით ნარეშტებელი შტურმი. მოგზაური წერდა: „კაზაკები ციხეში ალყაშემორტყმული დარჩნენ და განთავისუფლების იმედი რომ გადაუწყდათ, გაცოფდნენ და ცეცხლის ფრქვევა დაიწყეს“. ჩანს, ოსმალები მოვლენების ასეთ სცენარს არ ელოდნენ, ამიტომაც ბათუმის სანჯაყიდან გამოიძახეს დამატებითი ძალები, ხელთ მყოფი ხომალდებისგან საალყო კიბეები დაამზადეს და ციხეზე კვლავ მიიტანეს იერიშები. მათვის რთულ ვითარებაში კაზაკები რადიკალურ ნაბიჯზე წავიდნენ, „პოლკის ბაირალი ააფრიალეს“, გააღეს ციხის კარები

და მონინალმდეგეს შეუტიეს. აშკარა იყო, რომ რიცხოზორივ-  
მა უპირატესობამ თავისი გაიტანა და ცხარე ბრძოლაში კა-  
ზაკები დამარცხდნენ. მოგზაურის ცნობით მათი უმრავლე-  
სობა ბრძოლაში დაიღუპა, ნაწილი მდ.ჭოროხში დაიხრჩო  
(ციხესა და მდინარეს შორის მანძილი 500 მ. - კ.ს.) და ზოგმა  
სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ოსმალებმა მხო-  
ლოდ 200-მდე კაზაკი ტყვედ იგდეს. გამარჯვებულებმა ცი-  
ხის აღება ზარბაზნების ზალპით აღნიშნეს „რომელიც სამი  
დღე და ღამე გაგრძელდა“ [ჩელები, 1971:324-325].


ასეთია გონიოს ციხესთან კაზაკების და ოსმალების  
ბრძოლის ჩელებისეული ვერსია. გვინდა შევნიშნოთ, რომ  
ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს რამდე-  
ნიმე საკითხი. ერთ-ერთი მათგანიალაშქრობის მოტივი. ჩვენ  
ვიზიარებთ იმ პოზიციას, რომ კაზაკები იყვნენ კორსარები  
და მათი ფუნქცია იყო ოსმალების მდიდარი ზღვის პირა ტე-  
რიტორიების ძარცვა და ამ გზით ქონების ჩაგდება.

რაც შეეხება ბრძოლის თარიღს, მას ე.ჩელები წელს არ  
ასახელებს, რის გამოც ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა წლე-  
ბი (1646-1647; 1647 და 1654) ფიგურირებს [სურგულაძე,  
1972:83-84]. ამ შემთხვევაში ჩვენი არგუმენტებიც იმ მეცნი-  
ერთა მხარეს იხრება, რომლებიც კაზაკების მხრიდან გონი-  
ოს ციხის დაკავების ფაქტს 1647 წლით ათარიღებენ [იქ-  
ვე:84]. საქმე იმაშია, რომ 1646 წლის ამბების თხრობისას „მო-

გზაურობათა ნიგნში“ ჩელები არაფერს ამბობს კაზაკების შესახებ. რაც შეეხება 1647 წელს, მოგზაურის მარშუტი თავდაპირველად იყო ერევან-არზრუმში და 1648 წელს იგი სტამბოლს გაემგზავრა. სწორედ, კაზაკების მხრიდან გონიოს ციხის აღება და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ფაქტი ამ ორი მოვლენის თხრობაშია გადმოცემული. მამასადაამე, ჩელები-სეული თხრობით, აღნიშნული ფაქტი მომხდარა 1647 წელს [იქვე:84].ჩვენ კიდევ უფრო დავაკონკრეტებთ თარიღს. ვინაიდან შავ ზღვაზე ზღვაოსნობისთვისმოსახერხებელი პერიოდი იყო ზაფხული და შემოდგომის პირველი თვე, ამიტომაც მიგვაჩნია, რომ კაზაკების ლაშქრობა გონიოს ციხეში მოხდა აგვისტო-სექტემბრის თვეს.

კაზაკების ეთნიკური ჯგუფის შესახებ შევნიშნავთ, რომამ საკითხში ჩელები ვერ ერკვევა.იგიმათ სხვადასხვა სახელებით („კაზაკ-რუსები“, „რუსები“ და ა.შ.) მოიხსენიებს.საერთოდკაზაკების ეთნიკური შემადგენლობისშესახებ შეგვიძლია ვთქვათ, რომXVI-XVII ს-ბში რეჩ პოსპოლიტას სამეფოს და რუსეთის სახელმწიფოში კაზაკთა რამდენიმე გასამხედროებული თემები (დონის, თერგის...) არსებობდა. მათგან, ყველაზე ძლიერი იყვნენ დონის და ზაპოროჟიელი კაზაკები. ჩვენც მიგვაჩნია, რომ გონიოს ციხეში ლაშქრობაში დონელი კაზაკები უნდა გამოირიცხოს. საქმე იმაშია, რომ 1640 წელს აზოვის ციხე-სიმაგრის დაუფლებით ოსმალებმა

დონელ კაზაკებს შავ ზღვაზე გასასვლელი გზა ჩაუკეტეს. ასეთ ვითარებაში უფრო დამოუკიდებელი იყვნენ ზაპოროჟი



ზაპოროჟიელთა „თოლია“  
(ვ.გობოლანის ჩანახატი - 1660)

ელი კაზაკები. ამიტომაცრევენც მიგვაჩნია, რომ ისინი იყვნენ გონიოს ციხეში მოლაშქრეები. კაზაკური სხვა თემებისგან განსხვავებით

იმ მომენტისთვის მათ მოქმედების უფრო მეტი თავისუფლებაც ჰქონდათ.მით უფრო, რომ XVII ს-ში ზაპოროჟიელი კაზაკების საზღვაო ლაშქრობების წარმატებების პერიოდი იყო.

გონიოს ციხესთან კაზაკების რაოდენობა განსაზღვრულია 3500-4300 მეომრით [სურგულაძე, 1972:83], რაც არასწორად მიგვაჩნია. საქმე იმაშია, რომ ჩელები გონიოს ციხესთან ასახელებს კაზაკთა 70 ხომალდს და არა 87-ს, როგორც ეს ნახსენებია სამეცნიერო ლიტერატურაში.XVII-ის დომინიკელი ბერის ემიდიო დ'ასკოლის ცნობით, კაზაკთა სამხედრო ხომალდი „თოლია“ იტევდა 50 მეომარს [Описание..., 1902:99]. დ'ასკოლი იყო ქ. კაფას (დღ. ფეოდოსია) პრეფექტი და სხვებზე უკეთ მას მოეხსენებოდა „თოლია“-ზე მყოფ კაზაკთა რაოდენობით. დ'ასკოლის ცნობაზე დაყრდნობით, მარტივი ნამრავლით (70x50=3500) და გამორიცხვის

მეთოდებიდან გამომდინარე შეგვიძლია გონიოს ციხის ასაღებად მყოფ კაზაკთა რაოდენობა განვსაზღვროთ 3000 მეომრით.

უდავოა, რომ შავ ზღვაზე კაზაკების ლაშქრობები მიდიოდა ქართველ მეფე-მთავრებთან კონტაქტში. სურსათის შევსება, ნადავლის რეალიზაცია, გამოზამთრება და საჭიროებისამებრ ოსმალებისგან თავის შეფარება, კაზაკებს ქართველებთან ურთიერთობებისკენ უბიძგებდათ. ამასთან, საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ინტერესი და რელიგიური ფაქტორი ამ ურთიერთობების შესანიშნავ საფუძველს ქმნიდა[Сванидзе, 1979:239]. იტალიელი მისიონერი პიეტრო დელა ვალე (იტალ. Pietro Della Valle, 1586-1652 წწ) რომის პაპ ურბან VIII (ლათ. Urbanus VIII, 1623-1644 წწ.) 1627 წელს წერდა, რომ „ქართველებს... მათი ნავსადგურებით და დაცული ადგილებით... შეუძლიათ დიდათ დაეხმარონ კაზაკებს მათ საქმეებში“ [სურგულაძე, 1972:84]. აღნიშნულ კავშირებს ადასტურებს ჩელებიც. „მოგზაურობათანიგნში“ იგი პირდაპირ მიუთითებდა, რომ ქართველების (მეგრელები - კ.ს.) მხრიდან კაზაკების მიმართ დაგვიანებული მხარდაჭერა გახდა სამეგრელოს მხარეში ოსმალთა შემდგომი ლაშქრობის მიზეზი (თავი LXXII).



პიეტრო დელა ვალე

ნიშანდობლივია, რომ ოსმალების წინააღმდეგ მიმართული კაზაკების სამხედრო ოპერაციები გეოპოლიტიკურ კონტექსტშიც ჯდებოდა. კაზაკებსჭკონდათ საქართველოს გავლით ირანის შაჰ აბას I თან სამხედრო კავშირის გაფორმების იდეა. ამ გეგმის განსახორციელებლად მათ ირანშიგაგზავნეს პოლონელი კაზაკი შტეფანი, მაგრამ იმ მომენტისთვის შაჰის ინტერესში შედიოდა ოსმალეთის მიმართებაში სამშვიდობო პოლიტიკის შენარჩუნება[Сванидзе, 1979:241].

დასასრულ შევნიშნავთ, რომ ასეთია კაზაკების გონიოს ციხეში ლაშქრობის და მასთან დაკავშირებული სამხედრო ბატალიების ჩელებისეული ვერსია. 1647 წლის კაზაკების სამხედრო კამპანია წარუმატებლად დასრულდა. შევნიშნვთ, რომ ზოგადად იმ პერიოდის ისტორიის ანარეკლია ქართული ენის გურულ დიალექტში „ვაჟკაცის“ და „ძლიერის“ სინონიმად გავრცელებული სიტყვა „ყაძახი“[სურგულაძე, 1961:2]. ასევე დას საქართველოში (სამეგრელო) გავრცელებული ტოპონიმი „ნახუტურუ“ [დათუაშვილი] და ა.შ.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

- ზ. დათუაშვილი, კაზაკები და საქართველო  
([http://www.for.ge/view.php?for\\_id=14165&cat=12](http://www.for.ge/view.php?for_id=14165&cat=12));
- ა.სურგულაძე, უკრაინელ კაზაკებთან გურიის სამთავროს  
ურთიერთობის წარსულიდან, ლენინის დროშა, 1961, №8,  
გვ. 2 (ქართ. ენაზე);
- ა.სურგულაძე, უკრაინელი კაზაკები გონიოს ციხეში, ქო-  
როხი, 1972, №4გვ. 81-87 (ქართ. ენაზე);
- ე. ჩელეხის, მოგზაურობის წიგნი, თარგმნა, კომენტარები  
და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ, ნაკ. 1, თბ., 1971  
(ქართ. ენაზე);
- МассаИ., Краткое известие о Московии в начале XVII в. М.,  
1937(რუს. ენაზე) (<http://www.hist.msu.ru>);
- Описание Чёрного моря и Татарии, составил доминиканец  
Эмиддио Дортелли Д'Асколи, префект Каффы, Татарии и  
проч. 1634, Записки Одесского общества истории и  
древностей, Том XXIV. 1902 (<http://www.vostlit.info>);
- Сванидзе М., Грузия, страны Причерноморья и Восточной  
Европы в первой половине XVII в., Россия, Польша и  
Причерноморье в XV–XVIII вв. М., 1979  
(<http://annales.info/kavkaz/gruzia/gruzia.htm>)
- Энциклопедия культур народов Юга Росии, т. I, Ростов-на-  
дону, 2005 (რუს. ენაზე).

XVII

1647

( « » « »

. .).

**Kakhaber Surguladze**  
**Çelebi about One Military Campaign**

Summary

The article studies the 1647 Cossacks' siege of the Gonio Fortress and the battles carried out in West Georgia and related to the siege of the fortress. The author uses the information given in EvliaChelebi's work.

It is noticed that because of the geopolitical situation of XVII century the warriors at the Gonio fortress were Zaporozhian Cossacks.

The words "kadzakhi" and "Nakhuturu" spread in the Guruli dialect reflect the being of the Cossacks in Georgia in General.



## მასკომუნიკაცია

### Mass Communication

#### ენის, როგორც ვერბალური სიმბოლოს როლი მედიადისკურსის ფორმირების პროცესში

*ირმა გაბინაშვილი*

ადამიანთა კომუნიკაციის პროცესი წარმოუდგენელია ენის გამოყენების გარეშე. ენა კულტურის ნაწილია, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ვითარდებოდა და თანდათანობით სულ უფრო და უფრო რთულდებოდა. არც ერთი მოვლენა არ მოხდებოდა ისე, როგორც ის სინამდვილეში ხდებდა და არ იქონიებდა ამ სინამდვილეზე აქტუალურ გავლენას საინფორმაციო საშუალებათა, ანუ მედიის გარეშე. მედია საზოგადოებას ამცნობს და განუმარტავს, ართობს და ანათლებს. ზოგი კრიტიკოსის აზრით, მედია „რეალობის სარკეა“, სხვათა თანახმად კი - თვით გაშუქებული მოვლენების უშუალო და განუყოფელი ნაწილი. მედიის სოციოლინგვისტური თვალსაზრისით განხილვა ერთი მხრივ გვეხმარება იმის გაგებაში, თუ რას წარმოადგენს საინფორმაციო საშუალებები


მათი კომუნიკაციური უნარისა და ეფექტურობის აზრით, მეორე მხრივ კი, საშუალებას გვაძლევს კონტექსტისა და დისკურსის ზუსტი შერჩევით მოვახდინოთ კომუნიკაციის მიმართვა საზოგადოებაზე სასურველი ეფექტის მოსახდენად.

მასობრივი კომუნიკაციის დღევანდელ ეპოქაშიც კი, ჩვენ, როგორც უშუალო, ასევე მედიასთან კონტაქტის დროს ვიყენებთ ვერბალურ და არავერბალურ სიმბოლოებს. სიმბოლო -ეს არის სიტყვა, მოქმედება ან საგანი, რომელიც მნიშვნელობას გამოხატავს”, ანუ აღძრავს გარკვეულ სტანდარტულ შინაგან მნიშვნელობას ადამიანებში, რომლებსაც ესა თუ ის ენა აერთიანებთ. მიღებული წესების (საზოგადოდ შემუშავებული წესების) თანახმად, ყოველი სიმბოლო - მაგ. „ძალი“, „ბავშვი“ ასევე ტერმინები „ კარცინოგენი“ და „ბიოდეგრადირებადი“ უნდა აღძრავდეს ერთსა და იმავე აზრს ყველა ადამიანში, ვინც ამ ტერმინებს იყენებს. ზუსტად ასე, საერთო შეთანხმების თანახმად, დადგენილი მნიშვნელობა აქვს მოქმედებებს, კერძოდ, შესტებსა და სახის გამომეტყველებას. იგივე შეიძლება ითქვას საგნებზე მაგალითად, ჯვარი, დავითის ვარსკვლავი ან საქორწინო ბეჭედი. (დეფლორი დენისი, მასობრივი კომუნიკაციის გააზრებისათვის, თბილისი, 2009 წ., გვ. 9)

ტერმინი „მედიის დისკურსი“, ან, უფრო მოკლედ, „მედი-ა-დისკურსი“ ასახავს ენისა და სხვა სემიოტიკური კოდების ფორმას, სტრუქტურასა და გამოყენებას მასობრივი სა-

ინფორმაციო საშუალებების მიერ. ამ ტერმინს იყენებენ ინფორმაციის შექმნის საფუძველში მდებარე კოგნიტიური სისტემების (ე. წ. იდეოლოგიების) მიმართაც.

აუცილებელია განვასხვავოთ ერთმანეთისაგან საკუთრივ მედია-დისკურსი და ის შეტყობინებები, რომლებსაც იგი ატარებს თავის თავში. კომუნიკაციურ პროცესში იგულისხმება ინფორმაციის გაცვლა ორ ან მეტ ადამიანს შორის. საჭიროა ინფორმაციის გაცვლაში აქტიური როლი შეასრულოს ორივე მხარემ.



ნახ. 1. ინფორმაციის გაცვლის პროცესის მარტივი მოდელი

ინფორმაციის გადაცემის პროცესი იწყება იდეის ჩამოყალიბებით ან ინფორმაციის შერჩევით. გამგზავნი იღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ რომელი იდეა ან ინფორმაცია უნდა გახდეს გაცვლის საგანი. ზოგჯერ ინფორმაციის გაცვლის ცდა წყდება პირველივე ეტაპზე, თუ გამგზავნი არ ხარჯავს საკმარის დროს იდეის მოფიქრებაზე. იდეის გადაცემამდე ხორციელდება მისი კოდირება სიმბოლოების დახმარებით. კოდირებისათვის გამოიყენება სიტყვები, ინტონა-

ცია და ჟესტები. კოდირების შედეგად იდეა გადაიქცევა ცნობებად.

ინფორმაცია ცნობის სახით გადამცემი არხის მეშვეობით მიენოდება დანიშნულების ადგილზე. ცნობის მიმღები ახდენს მის დეკოდირებას. (მენეჯმენტის საფუძვლები შუბლაძე გ. მღებრიშვილი ბ. წონკოლაური ფ. თბ.2008) დეკოდირებაში იგულისხმება ინფორმაციის გამგზავნი პირის სიმბოლოების გადაცემა მიმღებისათვის გასაგები სახით.

კომუნიკაცია შეიძლება ხდებოდეს ერთ ან რამდენიმე დონეზე ან ღერძზე. ერთ-ერთი ასეთი ღერძია შეტყობინების ცალმხრივი მოძრაობა მედიუმიდან რეციპიენტისაკენ. ეს შემთხვევა გვაქვს მაშინ, როდესაც ტელეკომენტატორი თავის საუბარს უშუალოდ აუდიტორიისაკენ მიმართავს. ინფორმაციის გადაცემის სხვა ღერძი მოქმედებს, როდესაც შეტყობინებას რესპონდენტსა და ინტერვიუერს შორის დიალოგის ფორმა აქვს, რომელსაც რეციპიენტი მხოლოდ „ესწრება“. იგივე ითქმის თამაშებისა და სხვა საჯარო ღონისძიებების რეპორტაჟისას. ერთი დონიდან ან ღერძიდან მეორეზე გადასვლას თან ახლავს დისკურსის სხვადასხვა სიგნალები, რომლებიც მედიის პროფესიონალთა კონტროლის ქვეშაა.

ფერდინანდ სოსური ამბობს, რომ სოციალური სტრუქტურის ან ქმედების გაგება შეუძლებელია კულტურული ელემენტების გათვალისწინების გარეშე. როგორც ლინგვის-

ტვისთვის, მისთვის ენაა ამოსავალი წერტილი. იგი აცნობიერებს, რომ ლაპარაკი თავისთავად სოციალური ქმედებაა, რომელიც ფსიქოლოგიურად არის მოტივირებული და კონკრეტულ სიტუაციურ შეზღუდვებს ექვემდებარება. ენა როგორც სიმბოლური სისტემა, რომელიც ურიცხვი სოციალური აქტის თავმოყრაა, წარმოადგენს დამოუკიდებელ ძალას. ენა აბსტრაქტული კოდია, რომლის სტრუქტურაც დეტერმინირებულია კანონების მიერ, რომლებიც შინაგანია თავისთავად და არა სოციალური სისტემის ზენოლის შედეგად მოცემული. (<http://www.nplg.gov.ge> კულტურის სოციოლოგია)

სტუარტ ჰოლის ესეე „ენკოდირება, დეკოდირება“ შეეხება მესიჯების წარმოებასა და გავრცელებას. ჰოლის ანალიზი ეფუძნება სემიოტიკურ პარადიგმას, მის ნაშრომს ტექსტუალური, ასევე ეთნოგრაფიული სახე აქვს. ჰოლის მოსაზრებები ძირითადად ტელევიზიას ეხება. იგი გვთავაზობს კომუნიკაციის ოთხ ეტაპიან თეორიას: წარმოება, ცირკულაცია, გამოყენება (რომელსაც იგი უწოდებს დისტრიბუციას ან მოხმარებას) და რეპროდუქცია. ჰოლის აზრით, თითოეული საფეხური „შედარებით ავტონომიურია“ სხვებისგან. ეს ნიშნავს რომ მესიჯის კოდირება არ აკონტროლებს მის მიღებას და არა გამჭვირვალე სახით, თითოეულ საფეხურს აქვს თავისი საზღვრები და შესაძლებლობები. შედარებითი ავტონომიის კონცეფცია საშუალებას აძლევს მას ისაუბროს პოლისემიაზე, რომელიც არ უნდა მოიაზრებოდეს როგორც

პლურალიზმი. მესიჯები არ ექვემდებარებიან ნებისმიერი სახის ინტერპრეტაციას ან გამოყენებას - რადგანაც თითოეული საფეხური მოცემულ წრეში ზღუდავს მეორის შესაძლებლობებს.

საზოგადოებაში, მესიჯებს აქვთ „დომინაციის კომპლექსური სტრუქტურა“ რამდენადაც თითოეულ საფეხურზე ისინი ექცევიან ინსტიტუციონალური ძალაუფლების ურთიერთობების გავლენის ქვეშ. უფრო მეტიც, მესიჯის მიღება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მას ცნობადი ხასიათი აქვს ან შესაბამისობაში მოდის გარკვეულ წარმოდგენებთან - თუმცა ყოველთვის რჩება პატარა სივრცე იმ მესიჯის გასაგებად, რომელიც არ შეესაბამება საერთო წარმოდგენებს. კომუნიკაციური წრე ყოველთვის ახდენს ძალაუფლების რეჟიმის რეპროდუქციას.

ტელესამაუწყებლო სტრუქტურებმა ენკოდირებული მესიჯები უნდა წარმოადგინონ მნიშვნელოვანი დისკურსის ფარგლებში. ინსტიტუცია - პროდუქციის სოციალური ურთიერთობები უნდა დაექვემდებარონ ენის დისკურსიულ წესებს, რათა მოხდეს მათი პროდუქტის რეალიზაცია. ეს თავისთავად მოცემული ფორმალური დისკურსისა და ენის წესებს ძალაუფლებაში ამყოფებს. ენკოდირებული მესიჯების დეკოდირების შედეგად ისინი ასრულებენ გარკვეულ ფუნქციას - გავლენის მოხდენის, გართობის, დაჯერების - რასაც თავის მხრივ მოყვება კომპლექსური აღქმითი, კოგნიტური, ემოციური, იდეოლოგიური და ქცევითი შედეგები. განსაზ-

ღვრულ მომენტში სტრუქტურა იღებს კოდს და ქმნის მესიჯს. შემდეგ მომენტში, მოცემული „მესიჯი“ დეკოდირების საშუალებით სოციალური პრაქტიკის სტრუქტურების შემადგენელ ნაწილად იქცევა. ტიპური პროცესები, რომლებსაც იკვლევს პოზიტივისტური მეთოდი - შედეგები, გამოყენება, „კმაყოფილება“ - თავად არის მოქცეული გაგების სტრუქტურის ჩარჩოებში და წარმოიქმნება სოციალური და ეკონომიკური ურთიერთობების შედეგად, რომლებიც განსაზღვრულ ფორმას აძლევენ მესიჯის მიღების ფორმას, და შესაძლებლობას იძლევიან რომ მნიშვნელობები, რომლებიც ფიგურირებს დისკურსის ფარგლებში გადავიდეს სოციალურ ცნობიერებასა თუ პრაქტიკაში (იმისათვის რომ მათ მიენიჭოთ სოციალური ღირებულება ან პოლიტიკური გავლენა მოიპოვონ).

ენკოდირებისა და კოდირების კოდები არ არის სიმეტრიული. ანუ „გაგებისა“ და „არასწორად გაგების“ ხარისხი კომუნიკაციურ გაცვლაში დამოკიდებულია სიმეტრია/ ასიმეტრიაზე, რომელიც დამყარებულია ენკოდერის- მწარმოებელსა და დეკოდერს/ მიმღებს შორის. მაგრამ ეს თავისთავად დამოკიდებულია იდენტობის ან არა იდენტობის ხარისხზე კოდებს შორის, რომლებიც ავად თუ კარგად ახდენენ ინფორმაციის გადაცემას, შეწყვეტას თუ დამახინჯებას.

კოდებს შორის შეუსაბამობა ასახავს პროდიუსერებსა და მაყურებლებს შორის სტრუქტურულ განსხვავებულობას. ასევე, ეს შეიძლება გამოწვეულ იყოს კოდების წყაროსა და

მიმღებს შორის არსებული ასიმეტრიით. „დამახინჯება“ ან „გაუგებრობა“ გამონწვეულია ამ ორ მხარეს შორის კომუნიკაციური გაცვლის დროს არსებული ეკვივალენტობის არარსებობით.

ტელევიზუალურ ნიშანს კომპლექსური ხასიათი აქვს. იგი შედგება ორი ტიპის დისკურსის - ვიზუალურისა და ხმოვანის კომბინაციისგან. ამავე დროს, ის გამოსახულების (ხატის) ნიშანია, რამდენადაც მას აქვს იმ საგნის ნიშან-თვისებები, რომლის წარმოსახვასაც ახდენს. ამ საკითხმა გაუგებრობა გამოიწვია ვიზუალური ენის შესწავლის სფეროში. იმდენად რამდენადაც, ვიზუალური დისკურსი სამგანზომილებიან სამყაროს ორგანზომილებიანად გარდაქმნის, მას არ შეუძლია იყოს იმის რეფერენტი ან იდეა, რასაც წარმოადგენს. რეალობა არსებობს ენის გარეთ, მაგრამ მისი გაშუალება ხდება ყოველთვის ენით; როგორც უკვე ითქვა, რაც ვიცით და რასაც ვამბობთ ხდება კონკრეტული დისკურსის ფარგლებში. დისკურსიული ცოდნა წარმოადგენს არა ენაში „ნამდვილის“, გამჭვირვალე რეპრეზენტაციას, არამედ ენის გამოყენებას რეალურ ურთიერთობებთან და პირობებთან მიმართებაში.

შესაბამისად, კოდის მოქმედების გარეშე არ არსებობს გასაგები დისკურსი. ვიზუალური ნიშნები ამრიგად წარმოადგენენ კოდირებულ ნიშნებს - მიუხედავად იმისა, რომ აქ კოდები განსხვავებულად მოქმედებენ. ენაში არ არსებობს



ნულოვანი ათვლის ნერტილი. ნატურალიზმი და „რეალიზმი“ - ნარმოდგენს რეპრეზენტაციის ერთგულებას იმ საგნის თუ იდეის მიმართ რომლის წარმოსახვაც ხდება - და არის ენის „რეალობასთან“ მიმართებაში კონკრეტული გამოყენების წესი, ანუ დისკურსიული პრაქტიკის რეზულტატი. თუმცა, გარკვეული კოდები იმდენად ფართოდ არიან გავრცელებული კონკრეტულ საზოგადოებასა თუ ენაში, რომ ისინი ბუნებრიობის ილუზიას ბადებენ. ანალოგიურად, ხშირად მარტივ ვიზუალურ ნიშნებს უნივერსალური ხასიათი ეძლევათ. უმბერტო ეკოს მიხედვით, „ხატი“ ნიშნები გამოიყურებიან როგორც საგნები რეალურ სამყაროში, იმიტომ რომ ისინი ახდენენ მაყურებელში აღქმის პირობების (კოდების) რეპროდუცირებას. „აღქმის ეს პირობები“ წარმოდგენს დეკოდირების რეზულტატს და კოდირებული, ნაწილობრივ არაცნობიერი ოპერაციების ერთობლიობის. ეს ეხება როგორც ფოტოგრაფიულ ან ტელევიზუალურ გამოსახულებას, ისე ნებისმიერ სხვა ნიშანს.

ენის სპეციალისტები, შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, ალბათ, დაადგენენ სალიტერატურო და საგაზეთო-სატელევიზიო ქართული ენის მოქმედების საზღვრებს. იქამდე ჯერ საკმაოდ შორია. მანამდე იმაზე ვისაუბროთ, რაც რეალურად გვაქვს. საგაზეთო ენისა და სტილის არსებობა კი თანამედროვე პირობებში არავითარ ეჭვს არ იწვევს. ძალიან მოკლედ, ეს არის ყოვლად ჩვეულებრივი ქართული სალიტე-

რატურო ენა ზოგიერთი მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თავისებურებით. სწორედ ამ თავისებურებებზე უნდა ვისაუბროთ და, რაც მთავარია, მომავალში გამოვიყენოთ კიდეც. თანამედროვე ჟურნალისტიკის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ჟურნალისტმა სათქმელი უნდა თქვას მოკლედ, სხარტად და რაციონალურად, ანუ რაც შეიძლება ნაკლები სიტყვებით გადმოსცეს რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია. თანაც, ეს უნდა

გაკეთდეს მაქსიმალურად სწრაფად. (თ.ქორიძე, „დიდი ნვრილმანები“, თბ.2002 წ)

მედია უზრუნველყოფს მიღებული და გადაცემული ინფორმაციის საჯაროობას. მისი დისკურსი ჰოლმა განმარტა როგორც საჯარო იდიომა. ამგვარი ენა არ არის და არც შეიძლება იყოს ჰომოგენური. ინფორმაციის შინაარსი, სანამ მედიის მიერ გადაცემულ შეტყობინებად იქცევა, ინსტიტუციური იერარქიის სხვადასხვა დონეს გადის. გადაცემის თვალსაზრისით შეტყობინებები დროსა და სივრცეში ნაწილდება. შეტყობინებათა ყველაზე გავრცელებული ტიპია ეგრეთ წოდებული დაბალი დონის გამოსავალი (low-level output), ანუ როდესაც ინტერპრეტაციის დონე მინიმალურია. ამ შემთხვევაში შეტყობინების შინაარსი, მისი გადაცემის სემიოტიკური არხი და საბოლოო საზრისი ცალსახად არის დაკავშირებული ერთმანეთთან. ამგვარი შეტყობინება გვაქვს, როდესაც ვღებულობთ ცნობას, მაგალითად, ჰაიტის სამხედრო

მთავრობის გადადგომის შესახებ, ან ვუსმენთ უშუალო ინტერვიუს რომელიმე გამორჩენილ პოლიტიკოსთან, ან თვალს ვადევნებთ სპორტულ შეჯიბრებას. ამგვარი შეტყობინება საკმაოდ ხელსაყრელია იმისათვის, რომ დისკურსსა და შეტყობინებას შორის ურთიერთობის სამ განზომილებას დავაკვირდეთ.

1) იერარქიული განზომილება: ამ თვალსაზრისით დაბალი დონის გამოსავალი პროგრამის ფორმატის რეალიზაციაა. ფორმატი გულისხმობს ინფორმაციის კონკრეტულ სახეს: ახალი ამბები, სარედაქციო სტატია, რეპორტაჟი, შოუ და ა.შ. სხვადასხვა სახის ინფორმაციას აჯგუფებს კატეგორიებად, რომლებიც გამოხატავს ინფორმაციათა ორიენტაციების მსგავსებას. ამ ორიენტაციების მიხედვით შეიძლება დადგენილ იქნეს არა მხოლოდ ცალკეული სტატიები ან გადაცემები, არამედ, მაგალითად, საფინანსო გაზეთი, ან მუსიკალური რადიოარხი. ამგვარი ორიენტაციები შეადგენს „მედია-ენის“, „მეტყველების ნაწილთა“ ერთობლიობას.

2) სივრცე-დროითი განზომილება: ტელეგადაცემათა მიმდევრობა არ შეიძლება იყოს ნებისმიერი. მაგალითად, შოუს გადაცემა სამუშაო დროს არაეფექტურია. დასავლეთის ქვეყნებში ახალი ამბები გადაიცემა იმ საათებში, როდესაც მოსახლეობის უმრავლესობა საკუთარ სახლებში სადილობს ან ვახშმობს. ეს ეკრანთან უფრო დიდი აუდიტორიის შეგროვების გარანტიას იძლევა. ასევე სტრუქტურირებულია გაზე-

თის ან ჟურნალის სივრცე. ხშირად ამ მოვლებას განსაკუთრებული კომენტარი არც სჭირდება. მაგალითად, იტალიური გაზეთებისათვის XX საუკუნის 60-იან და 70-იან წლებში მესამე გვერდი თავისთავად აღნიშნავდა კულტურის სიახლეებს, რომლებიც ამ გვერდზე იბეჭდებოდა. სივრცე-დროითი განზომილება თავისებური «მედია-სინტაქსის» როლს ასრულებს.

3) თემებისა და საინფორმაციო არეალების ურთიერთგადაკვეთის განზომილება: ბევრ თემას (მაგალითად, ქალეზი, რასიზმი, ძალადობა) შეიძლება დამოუკიდებელი ადგილი ეჭიროს და მას განსაკუთრებული გადაცემები შეიძლება მიეძღვნას, მაგრამ იგივე თემები შეიძლება სულ სხვა ფორმატის ინფორმაციაშიც (სპორტული რეპორტაჟი, კულტურის ამბები) შეგვხვდეს თემატური ფრაგმენტის სახით. ამის გარდა, შეიძლება გადაიკვეთოს ინფორმაციის გადაცემის სხვადასხვა არხებიც: ტექსტური ინფორმაცია შეიძლება ორგანულად შედიოდეს რომელიმე სატელევიზიო შოუში, არაფერი რომ ვთქვათ მუსიკალურ ფონზე.

მედიის სამივე განზომილება აქტიურად იყენებს სხვადასხვა სემიოტიკურ კოდებს: ენას, ბგერებს, ვიზუალურ მასალას, ფილმებს. აქვე გამოიყენება კოგნიტური, ანუ შემეცნებითი ელემენტები: სქემები, რუკები, გრაფიკები და სხვა. საზოგადოდ, მედია თავისი სირთულის გამო ვერ დაექვემდებარება ანალიზის რომელიმე ცალკეულ სახეს. ამიტომ იგი

უფრო ფართო, სემიოტიკური მიდგომის ობიექტი უნდა იყოს, რომელიც კულტურის ნებისმიერ გამოვლინებას განიხილავს როგორც კომუნიკაციურ აქტს. (<http://www.nplg.gov.ge/gsd/>)

ამრიგად, ენას, როგორც სიმბოლოს მედიადისკურსის პროცესში უმთავრესი ფუნქცია აკისრია. თანამედროვე სამყაროში მასმედიას ინფორმაციის გავრცელების გარდა, აქვს მეტად მნიშვნელოვანი ფუნქციაც: ცნობიერებაზე ზეგავლენის მოხდენა. ამ თვალსაზრისით, ის, როგორც საზოგადოებრივი ინსტიტუცია, ენობრივი მოდელების, ნიშანთა სისტემებისა და კოგნიტური, ანუ შემეცნებითი ელემენტების საშუალებით განსაზღვრავს საზოგადოების კულტურულ დონესა და განვითარების პროცესებს.

### გამოყენებული ლიტერატურა

დეფლორი დენისი, მასობრივი კომუნიკაციის გააზრებისათვის, თბილისი, 2009 წ.

<http://www.nplg.gov.ge/gsd/>

თ.ქორიძე, „დიდი წვრილმანები“, თბ.2002 წ

მენეჯმენტის საფუძვლები შუბლაძე გ. მღებრიშვილი ბ. ნონკოლაური ფ. თბ.2008

2002.

., 2004.

. – ., 2002

,

-

.

,

„

-

»

.

,

,

,

.

:

,

,

,

.

.

,

,

**Irma Gabinashvili**

**Language as a verbal symbol in the process of forming a media  
discourse**

Summary

Language is one of the most important part of communication between people. Language is also part of culture, which is growing and has very interesting meaning. Language like a system of many symbols has an independent power. On a practical level, language has to do with sounds, symbols and gestures that a community puts in order and associates so that they can communicate. Each direction of media uses many codes: language, sounds, a visual things and films. Television broadcasts should bring out important messages to society. And of course, this process must be controlled by Media rules. By using this messages, they can give some necessary information to people and this can influence to society. Media

provide an easily accessible source of language data for research and teaching purposes. Media is important linguistic institutions. Media ‘discourse’ is important both for what it reveals about a society and for what it contributes to the character of society. Their output makes up a large proportion of the language that people hear and read every day. Media usage reflects and shapes both language use and attitudes in a speech community. After decoding the messages, they execute a specific function, they influence society and finally, as a public institution, determine the level of the cultural and social processes with the languages.



არავერბალური კომუნიკაციის მნიშვნელობა  
საზოგადოებასთან ურთიერთობაში

*ირინე ცინცაძე*

ადამიანთა ერთობლივი ცხოვრების და აქტივობის (საქმიანობის) აუცილებელი პირობა კომუნიკაციაა. კაცობრიობის მთელი კულტურა შესაძლოა ერთ დიდ კომუნიკაციად მივიჩნიოთ, რომლის ცენტრიც ადამიანია. პიროვნება კომუნიკაციის წყალობით ყალიბდება, იზოლირებულად ის არაფერს წარმოადგენს. ადამიანი სწორედაც რომ, თავისი გავლენის სფეროსა და ავტორიტეტის მიხედვით ფასდება, ანუ ერთგვარი ძალაუფლებით, რომელსაც თითოეული ჩვენგანი მეტნაკლებად ფლობს და მას ურთიერთობის საშუალებით ამყარებს.

რაც შეეხება არავერბალურ კომუნიკაციას, მას სხეულის ენას უწოდებენ და ინფორმაციის გადაცემის პროცესს წარმოადგენს, რომლის დროსაც ინფორმაცია სამიზნემდე არასამეტყველო საშუალებების გამოყენებით აღწევს. ამ ტიპის კომუნიკაციის დროს ინფორმაციის მატარებელს წარმოადგენს სახის გამომეტყველება, ჟესტები, პოზა, სხეულის მოძრაობა, შეხება, დეკორატიული დეტალები (ტანსაცმელი, სამკაულები, ვარცხნილობა, ტატუირება). აგრეთვე ხმის ტონი და ტემბრი, მისი სიმაღლე, აქცენტი და ა.შ.

სხვადასხვა მონაცემების მიხედვით, არავერბალური ინფორმაციის წილი ინტერპერსონალური კომუნიკაციის პროცესში 50%-დან 80%-მდე შეადგენს.

კალიფორნიის უნივერსიტეტის (UCLA) პროფესორის ალბერტ მეჰრაბიანის (Albert Mehrabian) მიხედვით, კომუნიკაციის პროცესში ვერბალური ინფორმაციის წილი მხოლოდ 7%-ს შეადგენს. დანარჩენი 93% არავერბალურ ინფორმაციაზე მოდის, საიდანაც 38%-ს ხმის ტონს და ინტონაციას უკავია, 55% კი სხეულის ენას - ჟესტებს, მიმიკას, სხეულის მოძრაობას და ა.შ.<sup>1</sup>

აღნიშნული კანონზომიერება, რომელმაც შემდგომში „7%-38%-55%“ ფორმულის სახელი მიიღო, ალბერტ მეჰრაბიანმა 1967 წელს კლარკის უნივერსიტეტის პროფესორ მორტონ ვინერთან ერთად ადამიანის მიმართ სიმპათიის ფორმირებაზე კომუნიკაციის სხვადასხვა ელემენტის ზეგავლენის კვლევის პროცესში აღმოაჩინა.<sup>2</sup> ხაზგასასმელია, რომ თავად მეჰრაბიანი აღნიშნავს, რომ მისი ფორმულის ბუკვალურად გაგება და აქსიომატურ დებულებად გამოცხადება შეცდომაა, რადგან მისი ექსპერიმენტები უკავშირდებოდა გრძნობებისა და დამოკიდებულებების (attitudes) კომუნიკაციის ასპექტებს (მომწონს-არ მომწონს). ამიტომ თუ კომუნიკატორის მიერ არტიკულირებული არ არის მისი

<sup>1</sup>AMehrabian (1971), "Silent Messages", pp. 1-50, Wadsworth, Belmont, California).

<sup>2</sup> Albert Mehrabian and Morton Wiener (1967). "Decoding of Inconsistent Communications", Journal of Personality and Social Psychology 6 (1): 109-114).

გრძნობები ან დამოკიდებულებები, მაშინ ფორმულა „7%-38%-55%“ გამოსაყენებელი არ არის<sup>3</sup>.

არავერბალურ ინფორმაციას კომუნიკაციის პროცესში არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს რეი ბერდვისტელი, რომელიც კინესიკის ფუძემდებლად ითვლება. მისი მონაცემების მიხედვით, ინტერპერსონალური ურთიერთობის დროს სოციალური შინაარსების ტრანსლირების 65%-70% კომუნიკაციის არავერბალურ ნაწილზე მოდის.

რეი ბერდვისტელი იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც აღწერა შესტებს შორის კულტურათაშორისი განსხვავებები და დაადგინა, რომ არსებობენ შესტი-ომონიმები, რომლებიც გარეგნულად იდენტურნი არიან, მაგრამ სხვადასხვა კულტურულ გარემოში განსხვავებულ შინაარსს აღნიშნავენ (გამოხატავენ).

1944-1946 წლებში, დასავლეთ კანადაში, საველე პირობებში განხორციელებული ანთროპოლოგიური კვლევების დროს მან აღმოაჩინა, რომ ადგილობრივი აბორიგენი ტომის, კუტენაის წევრები განსხვავებულ შესტებს ხმარობდნენ იმის მიხედვით თუ რომელ ენაზე საუბრობდნენ - მშობლიურზე თუ ინგლისურზე.

აგრეთვე, აღმოჩნდა, რომ კუტენაებს შეეძლოთ სიარულის მანერისა და სხეულის მოძრაობებით უპრობლემოდ

<sup>3</sup> Albert Mehrabian and Morton Wiener (1967). "Decoding of Inconsistent Communications", Journal of Personality and Social Psychology 6 (1): 109-114.

გაერჩიათ შორ დისტანციაზე მყოფი ადამიანი მათი ტომის წარმომადგენელი იყო თუ არა.<sup>4</sup> ადამიანის მიმიკებსა და ჟესტებს შორის კულტურათაშორისი განსხვავებების არსებობა-არარსებობა მათი გენეზისის საკითხს უკავშირდება და არავერბალური კომუნიკაციის ერთ-ერთ უმთავრეს საკითხს წარმოადგენს.

არავერბალურ კომუნიკაციაზე საუბრისას შეუძლებელია არ ვახსენოთ მე-19 და მე-20 საუკუნეების მიჯნაზე წარმოშობილი ფენომენი - მუნჯი კინო. მუნჯი კინოს მსახიობები მშვენივრად ფლობდნენ სხეულის ენის საფუძვლებს, რადგან მათთვის ის ეკრანული სახეების გაცოცხლების ერთადერთი საშუალება იყო. იმ დროში საუკეთესო მსახიობებად ითვლებოდნენ ისინი, ვისაც მდიდარი მიმიკა და გამომხატველი სხეულის ენა ჰქონდა, ამიტომ მსახიობები საკმაოდ დროს უთმობდნენ პანტომიმისა და ბალეტის შესწავლას.<sup>5</sup>

არავერბალურ კომუნიკაციას (სხეულის ენას) საზოგადოებასთან ურთიერთობებში უდიდესი როლი ენიჭება. არავერბალურ კომუნიკაციაში გამოიყენება ნებისმიერი სიმბოლოები გარდა სიტყვებისა, თუმცა, ისინი სიტყვებზე არანაკლებ მნიშვნელოვანია. ინფორმაციის გადაცემისას შეიძლება გამოყენებულ იქნას გამომეტყველება, ინტონაცია, ჟესტიკულაცია, ძირითადად ხდება არავერბალური და ვერბალური

<sup>4</sup> <http://bodylanguage-gipa.blogspot.com>

<sup>5</sup> კულტურათაშორისი კომუნიკაციები, #13, თბ. 2010

სიმბოლოების ერთობლივად გამოყენება. „არავერბალური კომუნიკაციით საუკეთესოდ გამოიხატება ემოციები, დამოკიდებულება, მიმართულება, რაც ძნელად გამოითქმის სიტყვებით; არავერბალური კომუნიკაცია უფრო სანდოდ და გულწრფელად არის მიჩნეული, ვიდრე ვერბალური, რადგან არავერბალური მანიშნებლების კონტროლი უფრო ძნელია, ვიდრე სიტყვებისა;“<sup>6</sup>

საზოგადოებასთან ურთიერთობაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სხეულის ენას. შესტებისა და მიმიკების ცოდნა გვეხმარება ადამიანების შინაგანი განწყობისა და ემოციების ასახსნელად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ცოდნა პრეზენტაციების დროს, ვინაიდან ის გაცილებით მეტ ინფორმაციას გასცემს ჩვენზე და ჩვენს ემოციებზე, ვიდრე ვერბალურად მათი გამოხატვა. ზოგადად, შესტები ხუთ ფუნქციას ასრულებენ: სიმბოლოს, ილუსტრაციის, ადაპტაციის, რეგულატორის და ემოციის ინდიკაციის.<sup>7</sup>

ნებისმიერი ფიზიკური შესტი, რომელსაც ვაკეთებთ, ქვეცნობიერად თავისებურადაა აღქმული სხვების მიერ. ეს შეიძლება ჩვენს სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ მოქმედებდეს, თუმცა ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სხეულის ენას ვიყენებთ. ზოგიერთი შესტი ძალიან პოზიტი-

<sup>6</sup> კულტურათშორისი კომუნიკაციები, #13, თბ. 2010

<sup>7</sup> არავერბალური კომუნიკაცია ინტერკულტურული კომუნიკაციის პროცესში; <http://intermedia.ge>

ურ ასოციაციას ქმნის, ზოგი კი პირიქით, ნეგატიურს. არიან ადამიანები, რომელთა პიროვნების ამოცნობა ძალიან ადვილად შეიძლება იმდენად მარტივ სხეულის ენას მიმართავენ.

საზოგადოებასთან ურთიერთობაში, სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან პრეზენტაციების გამართვისას ან ელემენტარული საუბრის შემთხვევაშიც კი აუცილებელია არავერბალური კომუნიკაციების (ჟესტების, მიმიკების) მინიმალურ დონეზე მაინც ცოდნა, რათა ჩვენი შეხვედრა იყოს ნაყოფიერი და წარმატებული. მაგალითად, თავის დაკვრა დასავლეთში თანხმობის ნიშნად აღიქმება, თუმცა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში უამრავი განსხვავებული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს და არ არის აუცილებელი ყოველთვის „დაიხ“ ნიშნავდეს.

მიუხედავად სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებული სხეულის ენისა, არსებობს საერთო ენა, რომლის ამოცნობითაც ჩვენ მივხვდებით თუ რა პიროვნებასთან გვაქვს საქმე, სიამოვნებს თუ არა ჩვენთან ურთიერთობა და ა.შ.

საათის ხშირ-ხშირად შემონმება მობეზრების ნათელი ნიშანია, განსაკუთრებით თუკი ვინმეს ესაუბრებით.

როგორც წესი, ქედმაღლობისა და სიამაყეს გამოხატავს დოინჯშემორტყმული პოზა. ასეთი ჟესტი მხოლოდ ახლო მეგობრების წრეში შეგიძლიათ გამოიყენოთ და არავითარ შემთხვევაში საქმიან შეხვედრაზე.

როდესაც მოსაუბრეს არ უყურებთ პირდაპირ, ეს მიანიშნებს, რომ თქვენ არ გსიამოვნებთ მასთან ურთიერთობა, ან არ გაინტერესებთ რასაც გეუბნებათ. საინტერესო და სახალისო საუბრის დროს მოსაუბრეები ერთმანეთის მიმართ სწორ და პირდაპირ პოზიციაში დგანან და არა გვერდულად.

გადაჯვარედინებული ხელები თავდაცვის პოზაზე მიანიშნებს, ისევე როგორც ჩამოყრილი მხრები - დაბალ თვითშეფასებზე.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სხეულის ენა ის ფენომენია, რომელსაც ვერბალური გამოხატვის გარეშე შეუძლია ადამიანის გრძნობებისა და ემოციების შესახებ ყველაზე მეტი გადმოსცეს.

Irine Tsintsadze

**The importance of nonverbal communication in public relations**

Summary

The article deals with the importance of nonverbal communication in the public relations and discusses the importance of verbal and non-verbal communication in general. Communication is the essential condition of human life and activity. It represents the most important concept or event that has always supported people and not only their existence.

As for non-verbal communication (body language), it plays the major role in the public relations. The non-verbal communication includes any symbols except for words. However, they are no less important than words. In order to transfer information there can be used: an expression, an intonation, a gesticulation. Generally, there is a joint use of non-verbal and verbal symbols.

The body language is a phenomenon that can express more fully human feelings and emotions without any verbal expression.





**მედია-სტრატეგიის თავისებურებები და  
ზეგავლენა საზოგადოებაზე**

*ირმა გაბინაშვილი*

თანამედროვე სამყაროში ეროვნულ ფასეულობათა ფორმირების პროცესში უმნიშვნელოვანესია მედიის როლის განსაზღვრა ისე, რომ სახელმწიფო პოლიტიკისა და საზოგადოების განვითარების პროცესში გამოიკვეთოს კულტურის როლი და დანიშნულება. ამასთანავე, საყურადღებოა კულტურული ტენდენციების მრავალფეროვნების ასახვის დინამიკა და ამ პროცესში მასმედიის, როგორც ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენების ექსპერტისა და მაკონტროლებლის როლის გამოკვეთა. ვფიქრობთ, რომ თანამედროვე ჟურნალისტიკამ უნდა შეიძინოს ქართული კულტურის და ხელოვნების კვალიფიცირებული და კომპეტენტური შემფასებლის და პროპაგანდისტის ფუნქციაც, რადგან სწორედ დარგობრივი მედიის განვითარება და პროფილური კადრების მომზადება წარმოადგენს თანამედროვე მასმედიის მომხმარებლების დაკვეთას, რაც დღემდე ჩატარებულმა არაერთმა სოციოლოგიურმა კვლევამ გამოკვეთა.

დღეს, ყველაზე ფუნდამენტურ ცხოვრებისეულ საკითხებშიც კი, ინფორმაცია იქცა ყველაზე მოთხოვნად ფასეულობად. საზოგადოების სულიერი და კულტუროლოგიუ-

ლი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების პროცესში განსაკუთრებულ ფუნქციას იძენს თანამედროვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ფართო სპექტრი. საზოგადოებრივ-პოლიტიკური დატვირთვის გარდა, მასმედია ერის კულტურული პოტენციალის ამაღლების, გემოვნების ფორმირების და აზროვნების სისტემის განსაზღვრის გარანტიცაა. მასმედიის საშუალებების მრავალფეროვნების, მისი ჟანრობრივი თავისებურებების თუ ტექნიკური ხელმისაწვდომობის გამო, მათ შესწევთ ძალა, მოიცვან თანამედროვე კულტურის თითქმის ყველა სფერო და იქცნენ კულტურის, ხელოვნების და მეცნიერების მემატრიანებად. მათ შესწევთ უნარი შექმნან ფონდები, არქივები, უმნიშვნელოვანესი რესურსები და შეინარჩუნონ ხელოვნების უნიკალური ნიმუშები...

საქართველო კულტურის სფეროში იზიარებს საერთაშორისო კონვენციებს, რაც ქვეყანას საზოგადოების განვითარების პროცესში კულტურის როლის გაზრდას ავალდებულებს და შესაბამისად, უნდა ემყარებოდეს მის სათანადო შესწავლასა და შეფასებას. სწორედ ეს მოცემულობა იქცა აღნიშნული ნაშრომის ლაიტმოტივად. კულტურათა კომუნიკაციისა და დიალოგის პრობლემემატიკის კვლევისას, უმნიშვნელოვანესია განისაზღვროს ამ კონტექსტში მედიის როლი და დანიშნულება. კონკრეტული პერიოდის კულტურის განვითარებასა და მიმართულებებზე განხორციელებული დაკვირვებით უნდა გამოიკვეთოს მედიაპოლიტიკის ზე-

გავლენა, რაც საფუძველს დაუდებს კულტურის სოციოლოგიური კვლევის ერთ-ერთი მიმართულების - "მედიაკულტურის სფეროს" - ჩამოყალიბებას.

ახალი ქართული სახელმწიფოს განვითარების პროცესში, მიმდინარე პოლიტიკური ბატალიების ფონზე, სერიოზულად დაზარალდა ქართული კულტურა. ახალი, სრულყოფილი საზოგადოების ფორმირება, ცივილიზებული, დემოკრატიული ფასეულობების მატარებელი, ზნეობრივად სრულყოფილი და ეთიკურად დახვეწილი სამოქალაქო ერთობის შექმნა, რომელიც ორიენტირებულია ლიბერალურ ღირებულებებზე და აღიარებს ადამიანის თავისუფლების პრინციპებს, შეუძლებელია კულტურული ფასეულობების განვითარების და კულტურული ღირებულებების პროპაგანდის გარეშე. საქართველოს ევროინტეგრაციის კურსის, ევროკავშირთან გაფორმებული ასოციაციის ხელშეკრულების თანახმად და თუნდაც, ევროკავშირის დევიზის „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია“ შესაბამისად, განსაკუთრებული როლი ენიჭება ევროპულ ორბიტაზე მყოფ ქვეყნებსა და სახელმწიფოებს შორის კულტურული ღირებულებების, ტრადიციების, იდენტობის და მულტიკულტურალიზმის პრინციპების გატარებას როგორც სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე, აგრეთვე სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე.

დღეს მედია ძირითადად სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებს აშუქებს და მხოლოდ მინიმალურად

ეხება ქვეყნის კულტურულ ფასეულობათა ანალიზს. ფაქტობრივად, არ ხდება კულტურულ ღირებულებათა პროპაგანდა, ტირაჟირება. საზოგადოებამაც დაივიწყა, რომ მის ცხოვრებაში, სულ ცოტა ხნის წინ, ამ სფეროებს მნიშვნელოვანი როლი ეკავა და თანდათან გაჩნდა ბზარი კულტურასა და საზოგადოებრივი ცხოვრების დანარჩენ სფეროებს შორის. ამ ბზარის ამოვსებაში დღეს, ისე როგორც არასდროს, უდიდესი როლი სწორედ ჟურნალისტიკამ უნდა იტვირთოს, მისი განუზომლად დიდი საზოგადოებრივი ავტორიტეტის გამო. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა განსაკუთრებული და გამორჩეული ყურადღება უნდა დაუთმონ ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენებს, იტვირთონ იმგვარი ექსპერტის და მაკონტროლებლის როლი, როგორც მათ დღეს პოლიტიკურ თუ სოციალურ-ეკონომიკურ სფეროებში უკავიათ. მასმედიის დიდი ავტორიტეტის გამოყენება უნდა შეძლოს კულტურის სფეროში მოღვაწე ობიექტებმაც.

იდეოლოგიის ეფექტურობა განისაზღვრება მთელი მოსახლეობის ან მისი ცალკეული ფენის ცხოვრებისეული გამოცდილების, ტრადიციების, უფლებების, ჩვევების, გრძლევადიანი ინტერესების და უშუალო მოლოდინების შესაბამისად. იდეოლოგია, როგორც სოციალური მოვლენა, სხვადასხვა დროს წარმოდგენილი იყო სგრამმისა და ჰორკ ჰაიმერის მიერ. მათი კონცეფციების უდიდესმა გავლენებმა იდეოლოგი ააქციეს თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერე-

ბის მუდმივი განხილვის საგნად, ასევე ხელი შეუწყვეს ემპირიულ კვლევებზე ორიენტირებული დისციპლინათაშორის მიმართულებების განვითარებას, მაგალითად: ფრანგული სკოლა– დისკურსის ანალიზი, ნეოგრამშიანის – პოლიტიკური ანალიზი, და განსაკუთრებით კი ბრიტანული სკოლა „კულტურული კვლევები“ (Cultural Studies), მაგრამ მიუხედავად მასმედიის იდეოლოგიზაციის პრობლემისადმი ასეთი დიდი ინტერესისა, თანამედროვე მეცნიერებებში ჯერ კიდევ არ არის მკვეთრად ჩამოყალიბებული ამ პრობლემის ანალიზის ერთიანი სურათი, ზოგადი თეორიული პრინციპები და მიდგომები (ჰორუკ ჰაიმერი და ადორნო, 1997).

რამდენადაც, როგორც ნილ პოსტმენი წერს, “ჩვენ ვხედავთ... რეალობას არა ისეთს, როგორც ის არის, არამედ ისეთს, როგორის დანახვის საშუალებასაც ჩვენ გვაძლევს ჩვენი ენები. ჩვენი ენები კი წარმოადგენენ ჩვენი მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებს. ჩვენი მკს (მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები) - ჩვენი მეტაფორებია. ჩვენი მეტაფორები ქმნიან ჩვენი კულტურის შინაარსს”. რამდენადაც კულტურა შემოდის და გადაიცემა კომუნიკაციის გზით, თავად კულტურები, ანუ რწმენებისა და კოდების ისტორიულად შექმნილი სისტემები, ახალი ტექნოლოგიური სისტემის ზეგავლენით განიცდიან ფუნდამენტურ სახეცვლილებას. მასობრივი კულტურის ცნება, რომელიც მასობრივი საზოგადოებისაგან გაჩნდა, იყო ინფორმაციის საშუალებათა სის-

ტემის პირდაპირი ასახვა, იმის შედეგი, რომ ახალი ელექტრონული საკომუნიკაციო ტექნოლოგია კონტროლირდება ხელისუფლებისა და მსხვილი კორპორაციების, ოლიგოპოლიების მიერ. საბოლოოდ კი, ჰეგემონისტების მტკიცებით, დომინანტური იდეები განსაზღვრავენ მედიის ხასიათს, ხოლო ინსტრუმენტალისტებს სჯერათ, რომ მასმედიის საქმიანობაში გადამწყვეტ როლს ასრულებენ წარმოების საშუალებების მფლობელები... ვფიქრობთ, მედიის იდეოლოგიზაციის სინდრომი იმთავითვე იყო თეორიულად გამყარებული, რისი შეცვლაც და სტიგმების რღვევაც თანამედროვე მედიის მონაპოვარია.

რომ გამოვყოთ ცნებები - „კულტურა“ ან „კულტურული“ საჭიროა დავუკავშიროთ ისინი

რომელიმე აკადემიურ დისციპლინას ან სუბდისციპლინას, მაგალითად

ანთროპოლოგიას ან კულტურის სოციოლოგიას ან ანალიზის რომელიმე სტილს, მაგალითად -სტრუქტურალიზმი, ჰერმენევტიკა და ა. შ. კულტურა ამ გაგებით, ანუ როგორც აბსტრაქტული თეორიული კატეგორია, მხოლოდ მხოლოდობით რიცხვში არსებობს. როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ კულტურებზე ჩვენ უნდა მივუბრუნდეთ კულტურის მნიშვნელობის მეორე ფუნდამენტურ გაგებას, რომლის თანახმად , კულტურა ეს არის რწმენებისა და გამოცდილებების განსაზღვრული სამყარო.„ერთობლიობა ცვალებადისა“ ანუ

კულტურა მოიცავს ჰომოგენურ სოციოლოგიურ ასპექტს, კოჰერენტული დეოლოგიურ, ნაციონალურ და კონვერენციულ ასპექტებს. კულტურის ცნების უნივერსალურობა როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების სფერო, სოციალური ინსტიტუტი, პიროვნების განვითარების დონის მახასიათებელი (კულტუროლოგია 2001: 22). თვითიდენტიფიკაციის კრიტერიუმი.

მსოფლიო რელიგიები, იმპერიები, იდეოლოგიები დროის გარეშე დროის კულტის - კულტურის კონტექსტში ერთიანდება. იგივე ითქმის თანამედროვე კულტურის გლობალიზაციაზე - გლობალური ინფრასტრუქტურა, ინგლისური ენა, დასავლური ღირებულებების ექსპორტი, ინდივიდუალიზმი, დემოკრატია, თავისუფლება, ადამიანის უფლებები... თითქოსდა მცირდება უნიკალური ეროვნული მრავალფეროვნება და ყალიბდება ზეეროვნული მასობრივი კულტურა, თუმცა ამით არ ხდება ერთიანი კოსმოპოლიტური კულტურის ჩამოყალიბება, ეროვნული კულტურების ტრანსფორმაცია კი სახეზეა. საკითხი დგას მხოლოდ იმ კუთხით, თუ როგორ და რა მიმართულებით იცვლება კულტურა. და რამდენადაც კულტურა შემოდის და გადაიცემა კომუნიკაციის გზით, თავად კულტურები, ანუ რწმენებისა და კოდების ისტორიულად შექმნილი სისტემები, ახალი ტექნოლოგიური სისტემის ზეგავლენით განიცდის ფუნდამენტურ სახეცვლილებას. მასობრივი კულტურის ცნება კი, რომელიც მასობრი-



ვი საზოგადოებისაგან გაჩნდა, იმთავითვე იყო ინფორმაციის საშუალებათა სისტემის პირდაპირი ასახვა.

ანდრეა ზლატარის აზრით, მთავარია მედიასტრატეგიის განსაზღვრა ყველა კულტურული პროცესისადმი. მთავარი ამოცანაა კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, შენარჩუნება და ახალი კულტურის ჩამოყალიბება, რომელიც ადგილობრივ დონეზე კონტექსტუალური აქტივობებითაა შესაძლებელი. უმნიშვნელოვანესი ფაქტორია განისაზღვროს კულტურული და ნაციონალური იდენტობა ეთნიკურ დონეზე. ტრანსნაციონალური იდენტობა კი უკვე ქმნის მულტიკულტურალიზმს, რაც იმას ნიშნავს, რომ დაუშვებელია ხელი შეეწყოს კონფორმაციას ტრადიციულ კულტურას და მასკულტურას შორის.

ქსელურ საზოგადოებას თავისი წამიერი კომუნიკაციებით ძალუძს მოიპოვოს და გადასცეს ინფორმაცია მთელს დედამიწაზე ჰიპერმედიის დახმარებით, რომლებიც ისტორიაში „ამოჭრას, ამოძვრენას“ ახორციელებენ, იმით, რომ ისტორიულ ფაქტს არ ათავსებენ ისტორიულ კონტექსტში, გვტოვებენ რა „დროისგარეშე მენტალურ ლანდშაფტში“ და ყველაფერი ეს, ქსელური საზოგადოების კულტურაში იყრის ერთად თავს, რომელიც „სისტემურ არეულობა - უნესრიგობას, მუდმივ წამიერობას, კონტინინუმის არარსებობას და სპონტანურობას ნიშნავს“ (გელნერი „ქსელური საზოგადოება“)

„სოციალური მემკვიდრეობა არის სოციალური ტრადიცია“ (თანდაშვილი მ, „კულტურის საკითხები“) კულტურის გადაცემა არის ერთგვარი პროცესი, რომლის მეშვეობითაც კულტურა გადადის მომდევნო თაობებზე არაგენეტიკური ანუ სწავლების გზით. სწორედ კულტურული ტრანსმისიის შედეგია კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, მისი დროში უწყვეტობა. ამ თვალსაზრისით კულტურა არსებითად განსხვავდება სოციალური სისტემისაგან, რომელიც დროში ცვალებადია. კულტურა ხომ სოციალური სისტემისაგან დამოუკიდებლად ვრცელდება ერთი სისტემიდან მეორეზე. (თანდაშვილი მ.)

უნიფიცირებადი კულტურული ძალაუფლება ახლა სოციალურად სტრატეგიფიცირებადი დიფერენციაციით იცვლება და სწორედ ამიტომაც უმნიშვნელოვანესი ქვეყანასა და მსოფლიოში მიმდინარე სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ პროცესებზე საზოგადოებასთან სისტემური კომუნიკაცია, მისი ადეკვატური ინფორმირება, სამოქალაქო ცხოვრებასა და საერთო ეროვნულ დებატების ხელის შეწყობა სარწმუნო და მიუკერძოებელი ინფორმაციით უზრუნველყოფის გზით, რაც საბოლოო ჯამში განსაზღვრავს ინფორმირებულ მოქალაქეთა არჩევანს; ქვეყანაში არსებული ინტერესების, ღირებულებების, შეხედულებების მრავალფეროვნების წარმოჩენა, საზოგადოებრივი დიალოგისა და ტოლერანტობის ატმოსფეროს შექმნა; სამოქალაქო განათლების

ხელშეწყობა, საზოგადოებრივი ცხოვრების აქტიური მონაწილისთვის ადექვატური ცოდნის მიწოდება მეცნიერების სხვადასხვა დარგში; ახალგაზრდა თაობებში სახელმწიფოებრივი და სამოქალაქო თვითშეგნების ამაღლება; თანამედროვე და კლასიკური ხელოვნების მაღალი ხარისხის ნიმუშების საზოგადოებისთვის მიწოდება -ეს არასრული ჩამონათვალია ყველა იმ ფუნქციისა და პრინციპისა, რასაც თავის არსში მოიაზრებს კულტურა, ქმნის რეალობა და განაზოგადებს მედია.

### გამოყენებული ლიტერატურა

<https://www.google.ge/search?q=ლომანი-ადამიანის-კულტურული-უფლებები-და-ბრძოლა-უსამართლობის-წინააღმდეგ>.

რაისნერო, საჯარო ლექცია -, „ინტერკულტურული ევროპული გამოცდილება“

სიგუა ს. „ლიტერატურა და ტრადიციის ბარიერი“; გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1988

თანდაშვილი მ. სამეცნიერო სტატია „კულტურის საკითხებზე“, გამომც. თბილისი 2011

სურგულაძე ა. „ქართული კულტურის ისტორიის ნარკვევები“; გამომცემლობა „ხელოვნება“ თბილისი, 1989

«...»  
// „Symposium”,  
... 3 / 11-13  
2000 - : -  
... , 2000. C.64-66.  
... 1973  
“...”  
“...”, 1998;

Castells, M (1996) The information Age Economy, society and culture . Volume1: The Rise of the Network society Blackwell Publishers, Oxford MA;327

Douglas M. Kellner-, „Cultural Studies, Multiculturalism and media Culture”

The Globalization of World Politics. By J. Baylis@ S. Smits , second Edition. Oxford University ppress. Oxford, 2001, p.p.456-469; p.p. 540-558

**Irma Gabinashvili**  
**Peculiarities of Media Strategy and their Impact on Society**  
Summary

Selecting the present topic for research was stipulated by the special peculiarities of mass media outlets and culture, insufficient forms, methods and tools of reflecting cultural tendencies and processes in media. I consider that it is necessary for modern Georgian journalism to acquire the function of qualified and competent evaluators and promoters of local culture and arts for this reason it is necessary to carry research of cultural journalism, scientific evaluation of development stages and contextual analysis of it, to introduce multicultural tendencies and qualified standards of common media coverage, preparation of professional shots and strengthening the local media. For the genre peculiarities or technical diversity of mass media outlets, they can cover almost all fields of modern culture. Conceptualization of culture or meanings and symbols systems – is the process of getting rid of semiotic and other kinds of influences. Cultural and communicative memory – national cognition and the alive past, transmission information from generation to generation -there are various actors including with media, including some medium from material and spiritual culture, but media in this aspect is the most important tool.



## იდენტობა

### Identity

---

---

#### იდენტობის როლი გარემოსა და პიროვნულობის თავსებადობაში

*ცირა ფუტკარაძე*

იდენტობა-პიროვნების არსებითი, განუყოფელი ნაწილი, ინდივიდის შინაგანი, საკუთარი თავის შესახებ შემუშავებული ძირითადი სუბიექტური კონცეფცია, საკუთარი თავის იგივეობის განცდა, მიკუთვნებულობის განცდა ნებისმიერი ტიპის ჯგუფის მიმართ (რასობრივი, ეთნიკური, სქესობრივი, რელიგიური, პროფესიული და სხვა სახის იდენტობა).

თანამედროვე გლობალურ სამყაროში ბევრი ოდესღაც ცხადი მოცემულობა, როგორცაა სოციალური მიკუთვნებულობა, ოჯახი, მორალური მოთხოვნილებები, სქესი და ზოგიერთი სხვა, სადავო და რთული მოსაპოვებელი ხდება. ცხადია უკვე მოცემულობა, რომ თანამედროვე ადამიანი თავ-

ვისი თავის ამარა რჩება და თავად უნდა იზრუნოს თავის ცხოვრებაზე. ამასთან ერთად დღეისათვის ამ სიძნელეს ემატება იმის განცდა, რომ ერთი ადამიანი არაფერს ნიშნავს, რაც იდენტურობის ჩამოყალიბების სურვილს აკნინებს. საკმარისია და უფრო სასურველიც კი, შექმნა საკუთარი მე-ერთგვარი ხატის, დაახლოებით ის, რასაც იუნგი “პერსონას” უწოდებდა.

რა არის “პერსონა”, რაც ასე გრაფიკაციულად იზიდავს ადამიანების დიდ ნაწილს?

იუნგი განმარტავს , რომ 1)პერსონა არის ადამიანის მიერ შეგნებულად შექმნილი პიროვნულობა ან ინდივიდუალობა (იდენტურობა), რომელსაც ის წარმოქმნის კოლექტიური ფსიქიკის გავლენით სოციალიზაციის, კულტურული ასიმილაციისა და გამოცდილების შედეგად; 2) პერსონა არის „კოლექტიური ფსიქიკის“ მიერ შექმნილი ნილაბი, რომელსაც ადამიანი სოციალურ ურთიერთობებში იყენებს და ისე ირგებს, რომ თავად მას და სხვებსაც სჯერათ მისი შენიღბული ინდივიდუალობა, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ის კარგად გათამაშებული როლია; 3) „მენეჯმენტური პერსონა“ (კორპორატიული ნილაბი) და თავდაჯერება, რომელიც სჭირდებათ მენეჯერებს და აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელებს, რომ სწორად შეაფასონ , სინამდვილეში როგორი პი-



როვნებები არიან მათი დაქვემდებარებული პირები, რათა მართონ ისინი(1.).

ბუნებრივია სანამ პერსონისთვის პიროვნულობა დასრულებული ფორმით გამოიხატებოდეს, მანამ ინდივიდი გარკვეულ ეტაპებს გადის, ანუ , ინდივიდი გადის იდენტობის ჩამოყალიბების სტადიებს.

რამდენად რთული პროცესია ინდივიდისთვის იდენტობის ჩამოყალიბება?

მოზარდისთვის საკმაოდ რთული პერიოდია, მოითხოვს მისგან ძალისხმევას, რაც მეტწილად დამოკიდებულია იმ კონტექსტზე, რომელშიც არსებობს; ეს პროცესი გულისხმობს გარე სამყაროსთან გრძნობიერი ურთიერთობის ფორმირებასაც . ანუ, იდენტობა მუდმივი ქმნადობაა, მუდმივი სვლაა საკუთარ გზაზე და თითოეული ნაბიჯი მიმართულია ადამიანის თვითშეცნობისკენ. „ვინ ვარ მე და რა ადგილი მიკავია ამ სამყაროში? “? განისაზღვრება არა ჩემი ნიჭით და უნარით, არამედ ჩემი არჩევანით. არჩევანი მნიშვნელოვანი ცნებაა, ეს იმას ნიშნავს, რომ პიროვნება თავისუფალია თავის ქმედებაში, ის კი არ ირჩევს მისთვის ბოძებული გზებიდან ერთ-ერთს, არამედ თვითონ აშენებს მას. იდენტობა ასევე მოიაზრებს ღირებულებების, მრწამსის და ცხოვრებისეული გეგმების ფორმირებას. უფროსები მოზარდებისგან მოელოან, რომ ისინი აირჩევენ მომავალ პროფესიას,

სამეგობრო წრეს, საყვარელ ადამიანს, პოლიტიკურ და რელიგიურ შეხედულებებს. ანუ, თავისი შეხედულებებით ქმნის მისთვის სასურველ გარემოს .

ჯეიმს მარსიამ განსაზღვრა იდენტობის ფორმირების ოთხი სახე: წინასწარი იდენტობა, დიფუზური იდენტობა, მორატორიუმი /გადაავადება და მიღწეული იდენტობა. პიროვნულობა და სოციალურ-კულტურული განვითარება მოზარდობის ასაკში გულისხმობს, გაიარა თუ არა ინდივიდმა გადაწყვეტილების მიღების პერიოდი, ეგრეთწოდებული იდენტობის კრიზისი და აიღო თუ არა მან ვალდებულება განსაზღვრული არჩევანისადმი. იდენტობის მიღწევაზე ორი ცვლადით ვმსჯელობთ. ეს არის იდენტობის კრიზისის გადატანა და მსოფლმხედველობის(შეხედულებების) ფორმირება.

წინასწარი იდენტობის სტატუსში მყოფ მოზარდებს აქვთ რელიგიური შეხედულებები, პროფესია, იდეოლოგია და იდენტობის სხვა ასპექტები. ეს არჩევანი უფრო მათ მშობლებმა და მასწავლებლებმა გააკეთეს, ვიდრე თვითონ. ანუ, თუ ინდივიდს არ გაუვლია კრიზისი გარკვეული შეხედულებების ფორმირებისას, მაშინ ადგილი აქვს წინასწარ იდენტობას. იდენტობის ამ ფორმას ვხვდებით იმ შემთხვევაში, როცა ბავშვი განიცდის ძლიერ იდენტიფიკაციას მისივე სქესის მშობელთან. იდენტობის ამგვარი ფორმით ადამიანებში არ მიმდინარეობს ფსიქოლოგიური მომწიფება. ისინი

ზედმეტად არიან დამოკიდებულნი „მნიშვნელოვან სხვებზე“, „ავტორიტეტებზე“, უჭირთ დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება.

მოზარდები დიფუზური იდენტობის სტატუსში განიცდიან იდენტობის კრიზისს (პროფესიის არჩევანი, რელიგიური ან პოლიტიკური შეხედულებების ჩამოყალიბების პროცესი და ა.შ.). იდენტობის ეს სახე მოზარდების ადრეული ასაკისთვის სრულიად მისაღებია, მაგრამ ასაკობრივ ზრდასთან ერთად საზოგადოება მათგან მოითხოვს გარკვეული გადაწყვეტილებების მიღებას. თუკი აღნიშნული მდგომარეობა გრძელდება დიდხანს, გამოიწვევს სულიერ დისკომფორტს; დისკომფორტის მოხსნას, პრობლემებთან შეჯახების თავიდან აცილებას ცდილობენ სხვადასხვა საშუალებებით (ალკოჰოლით, ნარკოტიკებით და ა.შ.). ისინი უბრალოდ, გაურბიან პრობლემებთან შეჯახებას.

მოზარდები მორატორიუმის სტატუსში იმყოფებიან ხანგრძლივი იდენტურობის კრიზისის და გადაწყვეტილების მიღების შუალედურ პერიოდში. ეს გადაწყვეტილებები შეიძლება შეეხებოდეს პროფესიის არჩევას, რელიგიური ან ეთნიკური ღირებულებების ჩამოყალიბებას. მორატორიუმი არის გადაავადებული იდენტობა, მდგომარეობა, როდესაც მოზარდი ირჩევს სხვადასხვა როლებს, მანამ სანამ გააკეთებს საბოლოო არჩევანს. ამ დროს მოზარდები კრიზისის

მდგომარეობაში არიან, განიცდიან ძლიერ შფოთვას. სწორედ ამ დროს ახასიათებთ მოზარდებს ნეგატივიზმი, მეამბოხეობა. იდენტობის ეს სახე უფრო დამახასიათებელია უფროსი ასაკის მოზარდებისთვის.

და ბოლოს, მიღწეული იდენტობა გულისხმობს, რომ მოზარდმა გაიარა იდენტობის კრიზისი და მიიღო თავისი ვალდებულება; აირჩია სამუშაო და ცდილობს იცხოვროს დამოუკიდებლად. მათ უმაღლდებთ მოტივაცია, განიცდიან შინაგან ჰარმონიას, მცირდება შფოთვა. იდენტურობის მიღწევა ჩვეულებრივ განიხილება, როგორც ყველაზე სასურველი და სრული სტატუსი.

არ არის აუცილებელი ადამიანმა გაიაროს ყველა სტადია. სტადიების გავლა გარემოზეც დიდადაა დამოკიდებული. შესაძლოა ინდივიდი შეჩერდეს რომელიმე სტადიაზე ან მორატორიუმის გარეშე მიაღწიოს იდენტობას წინასწარი იდენტობის გამყარებით. არ არის გამორიცხული, რომ მიღწეული იდენტობის შემდეგ ინდივიდმა თავიდან გაიაროს აღნიშნული სტადიები გარემოში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე(3.).

საკითხზე მუშაობისას აქცენტირება გვექონდა მხოლოდ სოციალურ იდენტობაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია იდენტობის როლი გარემოსა და პიროვნულობის თავსებადობაში?

სოციალური იდენტობა, რომელიც წარმოადგენს პერსონალური “მე-“ს “სოციალურ” ასპექტს, განსაზღვრავს ცნებას “ჩვენ”, როგორც ჯგუფის წევრობის განცდას. ვინ ვარ მე? ინდივიდი მოიაზრებს მის თავსებადობას იმ გარემოსთან, სადაც უხდება, სოციალური როლების მიღება, ადაპტაცია, სოციოკულტურული მოდელების ათვისება. „ჩვენ“ ჯგუფის წევრობის განცდისთვის აუცილებელია როლების, სტატუსების, ნორმების და ერთობის განცდა. ანუ, ინდივიდში ხდება გაშინაგანება ინტეგრაციის პრინციპების: ხდება მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ტკბობა აღიარებით და სიყვარულით, ინფორმაციათა მოპოვება, თვითშეფასების ამაღლება; ჯგუფები ახდენენ გავლენას ქცევაზეც, ანიჭებს რა მათ როლებს, სტატუსებს, ნორმებს და ჯგუფურ ერთობას. (2. ტ.406)

ამრიგად, პიროვნება, როცა ჩართულია საზოგადოებრივი ურთიერთობების რთულ სისტემაში, ყველა სახე ურთიერთობისა: მწარმოებლური, ზნეობრივი, სამართლებრივი, პოლიტიკური, რელიგიური, იდეოლოგიური-განსაზღვრავენ რეალურ, ობიექტურ, აუცილებელ და ურთიერთდამოკიდებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს ადამიანებსა და ჯგუფებს შორის. „რეფერენტული ჯგუფი“, რომელშიც ინდივიდი თავისთავს მოიაზრებს, საფუძვლად უდევს ჯ. მიდის იდეა „განზოგადებულ“ სხვაზე, რისი საშუალებითაც ხორციელ-

დება საზოგადოების სოციალური პროცესების ზეგავლენა ინდივიდზე და მის აზროვნებაზე.“ინდივიდი აცნობიერებს თავის თავს, -წერს მიდი,-არა პირდაპირ, არამედ ირიბად, მისი ჯგუფის სხვა წევრების ცალკეული მოსაზრებების და სოციალური ჯგუფის განზოგადებული მოსაზრებისა, რომელ ჯგუფსაც ის მიეკუთვნება“(4.p.138).

იდენტურობის ჩამოყალიბება შეუძლებელია, თუ ადამიანი არ დაუსვა კითხვა თავის თავს-ვინ ვარ მე და რა ადგილი მიკავია ამ სამყაროში? ანუ, იდენტობის პოვნა და მისი ჩამოყალიბება განსაზღვრული გზის გავლას გულისხმობს. თითოეული ინდივიდი თვითონ ქმნის თავის სამყაროს და პოტენციურ მილიარდობით მეგობარს უწვდის ხელს სამეგობროდ. სწორედ ეს სამყარო , რასაც ის ქმნის, მან უნდა შეავსოს შინაარსით, მოახდინოს მისი კონსტრუირება, რაც გულისხმობს ფორმის მიცემას და საზღვრების შემოვლებას, ადამიანი ესწრაფვის იყოს სხვებთან ურთიერთკავშირში , ახერხებს თავისი როლური იდენტობებით იყოს, როგორც დამოუკიდებელი ინდივიდი, ასევე სხვებზე დამოკიდებული თავისი მსგავსებით .

გამოყენებული ლიტერატურა

[https://ka.wikipedia.org/wiki/კარლ\\_გუსტავ\\_იუნგი](https://ka.wikipedia.org/wiki/კარლ_გუსტავ_იუნგი)

. . . ; . . . ; . . . ” “  
4-

Marcia, J. E., (1966), Development and validation of ego identity status, Journal of Personality and Social Psychology 3, pp. 551-558

Mead G.H. Mind, Self, Society. Chicago. 1934

**Tsira Putkaradze**

**The role of identity in the compatibility of the environment and personality**

Summary

In the modern global world, many of the once clearly givens, such as social belonging, family, moral needs, gender and some of the others, are becoming arguable and difficult to get. The given is, that the modern man remains on his own and needs to take care of himself. At the same time, on today's, this difficulty is added by the feeling that one person means nothing, that diminishes the desire to establish identity.

James Marcia determined four forms of formation of identity: preliminary identity, diffusive identity, moratorium/deferral and attained identity. Personality and social-cultural development at the

age of adolescence means, the individual had passed the period of making decisions or not, so called the crisis of identity and had taken the obligation to the determined choice or not. The attainment of identity is discussed with two variations. These are the overcome of the crisis of identity and the formation of the worldviews (point of view).

„Who am I and what place do I take in this world?“ is determined not with my talent and ability, but with my choice. The choice is an important notion and it means, that the individual is free in his actions, he does not choose one of his conferred ways, but builds himself. The identity also considers the formation of values, belief and vital plans. Adults expect the teenagers to choose the future profession, friendship circle, loved ones, political and religious views. So, with his views a teenager creates the desired environment for himself.

In conclusion, we would like to say that finding and forming the identity means a passage of a certain road. Every individual creates his own world and offers a friendship to the billions of potential friends in the world. The world created by him, should be filled up with the content and constructed, which implies shaping and establishing boundaries. Man strives to be in the intercommunication with others, he manages both: to be an independent individual with his role-identities and to be dependent on others with his similarities.



... -  
, ,  
, ,  
.  
, ,  
,  
.  
:  
, /  
.  
, -  
,  
.  
( ).  
« ?»  
,  
,  
,



**განათლება**  
**Education**

---

---

**მულტიკულტურული განათლების სოციოლოგიური  
ასპექტები**

*თინათინ გოგმაჩაძე*

განათლების ინტერნაციონალიზაცია დღეს უმნიშვნელოვანეს ამოცანად იქცა, განსაკუთრებით კი საგანმანათლებლო დანესებულებებისათვის, რომელთა სოციალური პასუხისმგებლობაა, შექმნას ისეთი სასწავლო გარემო, სადაც მოქალაქეები იცხოვრებენ და იმუშავებენ მულტიკულტურულ და მრავალფეროვან გარემოში. ყოველივე ამის აუცილებელ წინაპირობას კი მულტიკულტურული განათლება წარმოადგენს. ამ სფეროს რეფორმის მიზანია სკოლების იმგვარი ტრანსფორმაცია, რაც საშუალებას მისცემს ორივე სქესის მოსწავლეებს, რომლებიც, ამავე დროს, სხვადასხვა კულტურულ, ენობრივ და ეთნიკურ ჯგუფებს განეკუთვნებიან, ჰქონდეთ სწავლაში წარმატების თანაბარი შანსი. ამ თვალ-

საზრისით, მულტიკულტურული განათლების რეფორმის ერთ-ერთ ძირითად იდეად, რომლის განხორციელებაც გადაუდებელი საჭიროებაა, უნდა განისაზღვროს სასწავლებლებში გარკვეული ნიშნით მოსწავლეთა დომინანტური ჯგუფების არსებობის პრაქტიკის ნიველირება. მნიშვნელოვანია კამათი მულტიკულტურული განათლების შესახებ, რომელიც მის უწყვეტ განვითარებას უწყობს ხელს. მულტიკულტურული განათლება არის განათლება თავისუფლებისთვის, რომელიც ასე არსებითია თანამედროვე პოლარიზებულ სამყაროში და მისი განვითარებისა და მიღწევების შესახებ სიმართლე მეცნიერული ობიექტურობის შენარჩუნების მიზნით უნდა დავიცვათ.

ბენკსი ხაზს უსვამს იმ მცდარ შეხედულებებს, რომლებიც შორს არის რეალობისაგან: ა) მულტიკულტურული განათლება სხვებისთვისაა, კერძოდ, ამა თუ იმ მარგინალიზებული ჯგუფებისთვის; ბ) მულტიკულტურული განათლება დასავლეთის ინტერესებს ეწინააღმდეგება; გ) მულტიკულტურული განათლება დაანანევრებს ქვეყანას... განათლების რეფორმაზე საუბრისას, აუცილებელია, მულტიკულტურული განათლების იმ განზომილებების გათვალისწინება, რომელსაც ბენკსი გვთავაზობს: შინაარსის ინტეგრაცია, ცოდნის აგების პროცესი, ცრურწმენების შემცირება, მიუკერძოებელი პედაგოგიკა და სკოლის კულტურისა და სოციალური

სტრუქტურის ამალგამა (Banks., 2010) მულტიკულტურული განათლების მიზნების თვალსაზრისიდან სკოლა განიხილება რთულ სოციალურ სისტემად, რომელიც შედგება ურთიერთდაკავშირებული ნაწილებისა და ცვლადებისგან. ამდენად, სკოლის გარდაქმნა განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობის მიღწევის მიზნის შესაბამისად, საკმაოდ რთულია, რადგან ის გულისხმობს სკოლის ყველა ძირითადი ფუნქციური კომპონენტის ცვლილებას და არა ცალკე აღებული რომელიმე მათგანის. ეს კი სკოლის, მთელი მისი საგანმანათლებლო სტრუქტურის ძირეულ ცვლილებას ნიშნავს. სკოლის რეფორმირების პროცესში, როგორც ამას პრაქტიკა გვიჩვენებს, ძირითადი შეცდომა უკავშირდება სწორედ იმას, რომ აქცენტი გადატანილია თუნდაც ძალიან მნიშვნელოვანი, მაგრამ მხოლოდ ერთი კომპონენტის ცვლილებაზე და აქედან გამომდინარე, შედეგიც არასახარბიელოა. ეს ერთი კომპონენტი, როგორც წესი, ფორმალიზებული სასწავლო პროგრამებია. ეს კომპონენტი უაღრესად მნიშვნელოვანია, მაგრამ სკოლის ფუნქციონირების სხვა კომპონენტების პარალელური რეფორმის გარეშე, მაინც არ შეიძლება სასურველი შედეგი მივიღოთ მულტიკულტურული განათლების ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

მოსწავლეებს და მასწავლებლებს სკოლაში მოსვლის დროს უკვე აქვთ საკუთარი ინდივიდუალობა და კულტურა.

ამ შემთხვევაში, განათლების ერთ-ერთ ამოცანად შეიძლება იქცეს რეფლექსია უკვე არსებულზე. მულტიკულტურული განათლება, განსაკუთრებით უხილავ და ხილულ კულტურებზე ორიენტირებული, შეიძლება დაგვეხმაროს პირადი და ჯგუფური რეფლექსიის პროცესში. მასწავლებლები და მოსწავლეები, საკუთარ თავზე დაკვირვებით, თვითჩაღრმავებით უნდა მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ თითოეული მათგანი ერთდროულად არა მხოლოდ ერთ, კონკრეტულ კულტურასთან (მონოკულტურა) იდენტიფიცირდება, არამედ მულტიკულტურული ადამიანია. განსხვავებული კულტურული იდენტობის მქონე ადამიანებთან დისკუსიით, მათი მსჯელობის მოსმენით და ამ მსჯელობის გაანალიზება-შეფასებით მოსწავლეები და მასწავლებლები აღმოაჩენენ ბევრ საერთო და განსხვავებულ პლასტებს ერთმანეთის კულტურული კონტექსტებიდან. მულტიკულტურული განათლება რთული და მრავალშრიანი ფენომენია და არასწორია მისი გამარტივების ნებისმიერი მცდელობა. ამ სკოლის რვა თავისებურება ასე შეიძლება წარმოვადგინოთ: ა) სკოლის პერსონალის დამოკიდებულებები, აღქმა, შეხედულებები და ქმედებები; ბ) ფორმალიზებული კურიკულუმი და კურსი; გ) სწავლა/სწავლების მორგება მოსწავლეთა კულტურულ თავისებურებებზე; დ) სკოლის ენა და დიალექტები; ე) სასწავლო მასალები; ვ) შეფასებისა და ტესტირების პროცედურები; ზ) სკოლის

კულტურა და დაფარული კურიკულუმი; თ) კონსულტირების პროგრამა.

მულტიკულტურული განათლების სფეროს სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ თუ ზემოთ აღწერილი რვა ცვლადი სკოლის გარემოში წარმატებით იქნება რესტრუქტურირებული, ხოლო მულტიკულტურული განათლების განზომილებები დანერგილი, სხვადასხვა ჯგუფის მოსწავლეები შეძლებენ მაღალი აკადემიური მაჩვენებლების მიღწევას და ჯგუფთაშორისი დამოკიდებულებები, შეხედულებები და ქცევა უფრო დემოკრატიული გახდება. მულტიკულტურული განათლების მნიშვნელოვანი მიზანია დაეხმაროს მასწავლებლებსა და მოსწავლეებს სამყაროს ბუნებისა და განვითარების შესახებ აზროვნების გარდაქმნაში და იმ ქმედებებზე პასუხისმგებლობის აღებაში, რომელიც მათ გარემოს უფრო დემოკრატიულსა და სამართლიანს გახდის. ქვემოთ მოცემულია ხუთი პირობა, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მიღწევებს მულტიკულტურული პერსპექტივის ფარგლებში: 1) სკოლის რეფორმა უნდა იყოს ანტირასისტული და არატენდენციური 2) სკოლის რეფორმა უნდა ასახავდეს ყველა მოსწავლის გაგებას და მიღებას. იგულისხმება, როგორც განსაკუთრებული ნიჭის მქონენი, ასევე ის მოსწავლეებიც, რომლებსაც აქვთ ცოდნის შექმნის ჯერ კიდევ ნაკლებად რეალიზებული პოტენციალი. 3) სკოლის რეფორმა მოაზრებული უნდა იყოს კრიტიკული პედაგოგიკის რაკურ-

სში (ფარგლებში) 4) ადამიანები, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი სწავლისა და სწავლების პროცესთან (მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეები) არსებით მონაწილეობას უნდა ღებულობდნენ სკოლის რეფორმაში. 5) სკოლის რეფორმა უნდა ეფუძნებოდეს მაღალ მოლოდინებს და ზუსტ (მკაცრ) სტანდარტებს (A.Bank, 2014)

**მულტიკულტურული მასწავლებლებს** შეუძლია მოსწავლეთა დახმარება, იმისათვის, რომ მათ კომფორტულად იგრძნონ თავი საკუთარი კულტურული იდენტობით და სწავლის პროცესში შეძლონ მულტიკულტურული სწავლების მიდგომის გამოყენება. კულტურის მიმართ მგრძობიარე სწავლება იმით იწყება, რომ მასწავლებელი პიროვნულ დონეზე ეცნობა მოსწავლეებს, სწავლებას შეძლებისდაგვარად აგებს მოსწავლის ინტერესებზე, ცდილობს მათი ნიჭის ამოცნობას და ამ ნიჭს სწავლების ინსტრუმენტად იყენებს. მულტიკულტურული მასწავლებლის კომპეტენციებია: შინაარსის მრავალი კუთხით განხილვა, მათ შორის, მოსწავლეთა პირადი, ოჯახური გამოცდილებისა და კულტურული ნორმებისადმი ყურადღების დათმობა; სხვადასხვა კულტურასა და თემის შესახებ ინფორმაციის მიღება და მოსწავლეთა გამოცდილების, კულტურისა და თემის რესურსების ჩართვა სწავლის პროცესში; ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია ისე, რომ მოახდინონ პატივისცემისა და გულისხმიერების დემონსტრირება იმ კულტურული გამოცდილებისა



და განსხვავებული შეხედულებების მიმართ, რაც მოსწავლეებს მოაქვთ სასწავლო გარემოში.

- 1) კულტურულად რელევანტური შინაარსის ინტეგრირება ისე, რომ დაშენდეს მოსწავლის გამოცდილებაზე.
- 2) დაეხმარონ მოსწავლეს განსხვავებული სოციალური და კულტურული ხედვის უნარის განვითარებაში, რაც ხელს შეუწყობს მათ მიერ ადგილობრივი თუ გლობალური საკითხების გაგებასა და პრობლემების გადაჭრის ახლებური მიდგომების შექმნას.
- 3) მოამზადონ მოსწავლეები კონკრეტული შეფასების ფორმატების მოთხოვნებისათვის და, შესაბამისად, მოამზადონ შეფასებისა და ტესტირების პირობები, განსაკუთრებით შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური სასწავლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისათვის.
- 4) ესმოდეთ სწავლის თეორია, ადამიანის განვითარება, კულტურული მრავალფეროვნება და ინდივიდუალური განსხვავებები და როგორ ახდენს ეს ყველაფერი გავლენას სწავლება/სწავლაზე.
- 5) განვითარების შესაფერისი სასწავლო სტრატეგიების გამოყენება სწავლის მიზნების მისაღწევად.
- 6) ფიქრი საკუთარ წინასწარ განწყობებზე და წვდომა ისეთ რესურსებზე, რომლებიც გააღრმავებს მათ

ცოდნას კულტურული, ეთნიკური, გენდერული და სწავლის სტილის განსხვავებულობაზე, რათა შეძლონ მყარი ურთიერთობების დამყრება და სწავლის უფრო რელევანტური მოლოდინების შექმნა.

- 7) თანამშრომლობა მოსწავლეებთან და მათ ოჯახებთან ერთობლივი მოლოდინებისა და მუდმივი კომუნიკაციის დასამკვიდრებლად, რათა ხელი შეუწყონ მოსწავლის განვითარებასა და მიღწევებს.

და ბოლოს, ისეთ მოსწავლეებთან მუშაობისას, რომლებიც არიან მასწავლებლისგან განსხვავებული ეთნიკური, რასობრივი, ენობრივი თუ რელიგიური ჯგუფებიდან, მნიშვნელოვანია მრავალფეროვნებისა და განსხვავებულობის მიმართ წამახალისებელი(დადებითი, პოზიტიური) დამოკიდებულებების განვითარება. მოსწავლეები სწრაფად შეიცნობენ მასწავლებელს, რომელიც პატივს სცემს მათ კულტურას (Bennett, 2003).

**Tinatin Gogmachadze**

**Sociological aspects of multicultural education**

Summary

Multicultural education is predicated on the principle of educational equity for all students, regardless of culture, and it strives to remove barriers to educational opportunities and success for students from different cultural backgrounds. In practice, educators may modify or eliminate educational policies, programs, materials, lessons, and instructional practices that are either discriminatory toward or insufficiently inclusive of diverse cultural perspective. Multicultural education aims to improve the learning and success of all students, particularly students from cultural groups that have been historically underrepresented or that suffer from lower educational achievement and attainment.

გამოყენებული ლიტერატურა

Retrieved from <https://sol.du.ac.in/mod/book/view.php?id=1449&chapterid=1330>

A.Bank, J. (2014). An introduction to Multicultural Education.

Banks., J. A. (2010). Multicultural Education. Wiley.

Bennett, C. (2003). Comprehensive multicultural education: Theory and practice. Boston.

FIFTH CONFERENCE OF AFRICAN MINISTERS OF CULTURE . (2005). NAIROBI.

შრომების კრებული

PROCEEDINGS

სოციალურ მეცნიერებათა საკითხები

Problems of Social Sciences


XI

რედაქტორი:  
ირაკლი მანველიძე

ტექნიკური რედაქტორი  
გიორგი ქათამაძე

გამომცემლობის რედაქტორი:  
იზა ხარებავა

ტირაჟი 200



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎ : 22 36 09, 8(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge